სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 3 მარტი 2001 №37 (1310) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

რუსეთი - საქართველო

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 14 საათი

გახსოვდეს პროვოკაცია!

გუშინ, როგორც იქნა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თბილისში დარჩენილ ორ წევრს, ბესო უდესიანს და ნონო ანდღულაძეს რუსეთის საელჩომ ვიზები აღირსა. საჭირო საბუთი საფრანგეთში მყოფმა ლევან ჯაველიძემაც მიიღო და პარიზიდან კრასნოდარს მიაშურა. უდესიანი და ანდღულაძე ჯერ მოსკოვს ჩაფრინდნენ, გუნდს კი გამთენიისას შეუერთდებოდნენ. ამრიგად, ხვალ საქართველოს ნაკრები სრული, 22-კაციანი შემადგენლობით დაუპირისპირდება რუსეთს.

ვიზო პრობლემა კი მოგვარდა, მაგრამ რუსებმა რომ არაფერი იღონეს ქართველთა წესისამებრ სამასპინძლოდ, ეს უკვე ცნობილი ამბავია. გამოსწორდა თუ არა სიტუაცია, ამის გასარკვევად გუშინ კრასნოდარში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს დავუკავშირდით.

— რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტს იური ნიკოლაევს მკაცრად ველაპარაკე. ამის შემდეგ ავტობუსი მოგვცეს, სავარჯიშოდ კი აგრარული ინსტიტუტის მოედანზე შეგვიშვეს, მაგრამ ამას მოედანს ნამდვილად ვერ დაარქმევ, ისეა გაპარტახებული. თუმცა, რადგანაც ორი დღეა აქ ვართ და ერთხელაც არ გვივარჯიშია, უარის თქმა სისულელე იქნებოდა.

— „დინამოს“ სტადიონზე, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს, როდის ივარჯიშებთ?

— ჯერ არ შეიძლებაო, მეუბნებიან. იმედია, მატჩის წინ მაინც წაგვავარჯიშებენ.

— რუსეთის რაგბის კავშირმა თავის ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე ბრალი აქვთ რომ დაგვდო, ამაზე თუ ელაპარაკეთ ნიკოლაევს?

— მაგაზეც ველაპარაკე და ტყუილისთვის პასუხიც მოვთხოვე. ასე მითხრა, პირველებმა ქართველებმა დაიწყეთ ინფორმაციული ომი და ჩვენც ამიტომ გიპასუხეთო. რაც შეეხება სავიზო პრობლემას, გვარწმუნებს, ოფიციალური მოწვევა და საჭირო საბუთები დროულად გავგზავნე რუსეთის საელჩოებში და თუ საკონსულომ ვიზების გაცემა უსაშველოდ გააჭიანურა, ეგ ჩემი ბრალი არ არისო.

— იმაზე რაღა თქვა, ორი დღის მანძილზე ელემენტარული პირობები რომ არ შეგიქმნეს მოსამზადებლად?

— თავს იმართლებს. კრასნოიარსკში შევრჩი საქმეებს და, ხომ იცით, უფროსი რომ არ არის, ხელქვეითები ცულლუტობენო. საერთოდ, იცით, რა ხდება? აქ, სასტუმრო „ინტურისტში“, სადაც ვცხოვრობთ, რაღაც „სამხრეთის ქალაქების ყრილობა“ ტარდება. აქ არიან გაგრის, სოხუმის, გროზნოსა და სხვა ქალაქების მერები. ჩვენი ნაკრების მწვრთნელს კლოდ სორელს თეორიული მეცადინეობისთვის ოთახი იმის მომიზეზებით არ გამოუყვეს, აქაოდა, ყველა დაკავებულიაო. ვატყობთ, სასტუმროს ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რათა სოხუმის და გაგრის მერებს სადმე არ შევეჩეხოთ.

— ნაკრების წევრების განწყობა როგორია?

— როგორც ყოველთვის, მათ მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებთ. ბიჭები კბილებს ილესავენ, ლამის მეც გავიდე მოედანზე. ყველა გაფრთხილებულია, რუსთა მოსალოდნელ პროვოკაციებს არ წამოეგონ, თორემ სავალალო შედეგს მივიღებთ. გვიან ღამით საფრანგეთიდან ლევან ჯაველიძე შემოგვიერთდება, გამთენიისას ბესო უდესიანი და ნონო ანდღულაძე დაგვემატებიან. ნაკრების კაპიტანმა ზურაბ მჭედლიშვილმა ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა. ალბათ კვლავ თადარიგში იქნება, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მისი არყოფნა დერეფანში პრობლემებს გაგვიჩენს. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. ბიჭები ჯანზე არიან და საბრძოლველად ემზადებიან.

ბაჩო სვანიძე

საქართველოს ნაკრების საგარაუდო შემადგენლობა

ბესიკ ხამაშურიძე; მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ნონო ანდღულაძე, ვასილ კაცაძე; პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე; მევლუდ მთიულიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გია ლაბაძე, ილია ზედგენიძე

სათადარიგონი

ტარიელ რატიანიძე, ლევან ჯაველიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ბესო უდესიანი, შოთა მოდებაძე, ვასილ აბაშიძე, გუჯა იოვაძე

წერილი საქართველო — რუსეთის საარგბო ურთიერთობებზე იხილეთ მეცხრე გვერდზე

დავით ჯანაშია (მარცხნივ) და ტორპედოელები სეზონს ხვალ განაახლებენ

გადრი კეთილაძის ფოტო

ორშაბათს ერთი და ცენტრალური

ბელგიამოვლილი და ნაკრებში ვალმოხდილი ტორპედოელები ხვალ განახლებულ ჩემპიონატში ჩაებმებიან. ძოძუაშვილ-ყიფიანის შეგირდები ქუთაისში სამტრედიის „იბერიას“ უმასპინძლებენ და, ალბათ, თავიანთ მარაგს სამ ქულასაც შემატებენ. მეცხრამეტე ტურის ცენტრალური მატჩი კი ორშაბათს ვაკეში მშენებარე სტადიონზე გაიმართება. სატურნირო ცხრილის სათავეში მოქცეული გივი ნოდიას „ლოკომოტივი“ უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლ თემურ მახარაძის „ვიტ ჯორჯიას“ შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში პირველობასაც გაიმყარებს.

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

19 ტური

4 მარტი, კვირა

დინამო	დილა
სიონი	მერანი
თსუ	გორდა
ბათუმი	კოლხეთი
ტორპედო	იბერია

5 მარტი, ორშაბათი

ლოკომოტივი	ვიტ ჯორჯია

ლოკომოტივი	18	15	1	2	33:7	46
ტორპედო	17	12	3	2	28:6	39
დინამო	18	12	2	4	43:17	38
ვიტ ჯორჯია	18	9	6	3	26:12	33
კოლხეთი	18	8	4	6	19:14	28
მერანი	17	6	6	5	17:17	24
ბათუმი	18	6	3	9	22:25	21
სიონი	18	5	4	9	13:27	19
გორდა	18	3	8	7	13:22	17
თსუ	18	4	3	11	17:32	15
დილა	18	4	3	11	13:33	15
იბერია	18	0	3	15	3:35	3

ხვალ მელბურნში პრემიერაა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1-ის ჩემპიონატი ტრადიციულად მწვანე კონტინენტის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება. მრბოლები თითქმის ერთი კვირაა, მელბურნში იმყოფებიან და „ალბერტ-პარკის“ ტრასასა და იქაურ 30-გრადუსიან სიცხეს ეგუებიან. გუშინ მათ პირველი ოფიციალური ვარჯიში გამართეს. უსიამოვნება შეემთხვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს. საკონტროლო დროის გასვლამდე ორი წუთიღა იყო დარჩენილი, როცა ერთ-ერთ მოსახვევში ბორდიურზე შემხტარი მისი „ფერარი“ ჰაერში აფრინდა, ორჯერ შემოტრიალდა და ძველი საბურავების კედელს ეძგერა. მანქანა გვარიანად დაილეწა, მრბოლი კი უვნებელი დარჩა და სხვათა დაუხმარებლად ამოვიდა კოკპიტიდან.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ექიმის რეცეპტით

საქართველოს ნაკრები გერმანიაში მოემზადება

გეხსომებათ, ამას წინათ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინელთა მასპინძლობამდე გერმანიაში მომზადების პერსპექტივა გამოუჩნდა.

გერმანელებმა თანხმობა განაცხადეს, სფფ-ის მესვეურთა და საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელთა სურვილისამებრ, ჩვენს გუნდს გერმანიაში ხუთდღიანი შეკრება გაევლო.

თითქოს გადასაწყვეტიც არაფერი იყო, მაგრამ სფფ-ის ჩინოსნები შიშობდნენ, რომ პრინციპული მატჩის წინ საზღვარგარეთული შეკრება დამღლელი იქნებოდა ნაკრებისთვის. „ექიმებს დავეკითხებით, მათგან კონსულტაციას მივიღებთ და თუ ამგვარი შეკრება მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ნაკრები გერმანიაში გაემზავრება“ — გვითხრა რამდენიმე დღის წინ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

გუშინ კი ექიმთა კონსილიუმის შედეგებიც გაირკვა. ნაკრებს გერმანიისკენ გზა ხსნილი აქვს. როგორც სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტში გვითხრეს, ძოძუაშვილი-ყიფიანის გუნდი 20 მარტს გერმანიაში ჩავა და თბილისში მატჩამდე ორი დღით ადრე დაბრუნდება.

ბაატა ძვანტალიანი

მერაბ ჟორდანია

მოდი, ვნახოთ კონტრაქტი

დინამო ჟორდანიასგან დანაპირებს ელის

„თბილისის და კიევის „დინამოებს“ შორის კახა კალაძის სატრანსფერო კონტრაქტს მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ლეგიტიმურ ხელმძღვანელობას გადავცემ“ — სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ეს სიტყვები კარგად ემახსოვრება „სარბიელის“ მკითხველს. ჟორდანიამ ეს სადავო საკითხის წამოჭრის შემდეგ გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე თქვა და მერეც არაერთხელ გაიმეორა.

როცა „დინამოში“ ახალი მეპატრონის მისვლა გადაწყდა, თითქოს მოსაცდელიც არაფერი იყო, გაირკვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კლუბის მეპატრონე იქნებოდა და კალაძის კონტრაქტის გამომზეურებასაც მაშინ ველოდით, მაგრამ სფფ-ის თავკაცი ევროპაში გაემგზავრა და იქიდან დაბრუნებულსაც არ წარუდგენია კონტრაქტი „დინამოს“ ახალი ხელისუფლისთვის.

ჟორდანიას პასუხი მაშინ ასეთი იყო: „სასამართლოს ჯერაც არ გაუტარებია რეგისტრაციაში „დინამო“ და მისი ახალი მეპატრონის ლეგიტიმურობაც ოფიციალურად არ დამტკიცებულა, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და კონტრაქტსაც მაშინ წარმოვადგენ.“

გუშინწინ კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ თბილისის „დინამო“ რეგისტრაციაში გაატარა. შპს საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი მხოლოდ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოა, შესაბამისად ჟორდანიასაც ხელ-ფეხი გაეხსნა საიმისოდ, რომ სკანდალური კონტრაქტი სააშკარაოზე გამოიტანოს.

ამიტომაც გუშინ სფფ-ის პრეზიდენტთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ჟორდანიას მოუცლელობის გამო მასთან შეხვედრა არ მოხერხდა. სამაგიეროდ, დავუკავშირდით „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ნიკოლოზ ივანიშვილს.

„სფფ-ის პრეზიდენტი ჯერ არ შეგვეხმიანებია. ჩვენი რეგისტრაციის საკითხი ორიოდე დღის გადაწყვეტილია, საგანგაშო არაფერია. მერაბ ჟორდანია, ალბათ, რამდენიმე დღეში მოგვაწვდის კახა კალაძის კონტრაქტს“ — გვითხრა ივანიშვილმა.

ბაატა ძვანტალიანი

გერმანია

XXIV ტური

დორტმუნდი 6:1 აინტრახტი

1:0 ვორმსი (30), 1:1 იანგი (46), 2:1, 3:1 რიჯერი (65, 67), 4:1 ბობიჩი (71), 5:1 ადლი (79), 6:1 ბობიჩი (90)

II ბუნდესლიგა

XXIV ტური

ულმი 1:1 ოსნაბრუკი

ოგერჰაუზენი — ზაარბრუკენი

გადაიდო

ინგლისი

I დივიზიონი

XXXV ტური

ბირმინგემი 2:0 უოტფორდი

II დივიზიონი

XXXV ტური

რეძინგემი 3:0 ნორთჰემპტონი

III დივიზიონი

XXXV ტური

ქარდიფი 2:0 ჰალი

პორტუგალია

XXIII ტური

პოვოიშტა 2:0 ბელენენსეში

9 მარტს: ვალანსი (III) — სტრასბური

10 მარტს: სტად რეიმსი (III) — ბასტია; კარკასონი (მოგვ.) — ნანტი; ვანი (IV) — ოსერი; ამიენი (III) — ლე მანი (II); ფონტენეი (IV) — ლიონი; ტრუა — ვასკეალი (II); შატორუ (II) — გრენობლი (III)

იტალია

სერია B

XXV ტური

ემპოლი 0:0 სამპდორია

ჰოლანდია

XXIV ტური

ჰერენვენი 0:0 გრონინგენი

ვალვაიკი 0:0 ბრედა

ჩეხეთი

XIX ტური

ლიბერეცი 1:1 სლავია

თურქეთი

XXIII ტური

გენჩლერბირლიგი 0:2 ტრაბზონი

საფრანგეთი

II დივიზიონი

XXX ტური

სოშო 0:1 ლორიანი

თასის მერვედფინალის წილისყრა

ზესტაფონში წნორელ ქომაგებსაც ელიან

ბაადრი კბილაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა მეორე წრე 18 ტური

წნორელები ცუდი მასპინძლები არიან

გაზაფხულთან ერთად ფეხბურთიც დაბრუნდა საქართველოში. დღეს პირველი ლიგის გუნდებიც ჩაებმებიან გათამაშებაში. ბორჯომში, ქობულეთში, წყალტუბოში, თბილისში, ზესტაფონსა და ლანჩხუთში კვლავ მივა ქართულ ფეხბურთს შერჩენილი ქომაგი სტადიონზე და მონატრებას გაიქარვებს.

ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე შარშან ერთობ საინტრესოდ მიმდინარეობდა პირველი ლიგის ჩემპიონატი, გათამაშებას ოდნავაც არ მოჰკლებია ინტრიგა და სატურნირო სიმწვავე.

თუ გუნდების საშემოდგომო მონაგარს გადავავლებთ თვალს, შევნიშნავთ, რომ ერთბაშად რვა გუნდს აქვს ზედა ექვსეულში მოხვედრისა და უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის ბრძოლის შანსი. ამის შესაძლებლობა თეორიულად „ხობსა“ და ხაშურის „ივერიასაც“ აქვთ, მაგრამ საეჭვოა, ამ გუნდებმა საწადელს მიაღწიონ.

მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის შვილობილი „გურია“ გასული წლის ბოლო მატჩში „მილანთან“ დამარცხდა, მაინც პირველ ადგილზე ჩაამთავრა საშემოდგომო ეტაპი. ლანჩხუთელები შემოდგომაზე ბევრ გოლს კი უშვებდნენ, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე მინიმალური სხვაობითაც ხშირად იმარჯვებდნენ და მათი ლიდერობაც კანონზომიერია. „გურია“ უმაღლესი ლიგის საგზურის უმთავრესი ფავორიტია, ისევე როგორც „მილანი“.

კახელებს საშინაო მატჩებში 100-პროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ. შინაურ კედლებში მოგებულ ცხრავე მატჩში წნორელებმა მხოლოდ სამი გოლი გაუშვეს და პირველი ეტაპის დარჩენილ ხუთ მატჩშიც ისეთი კალენდარი აქვთ, ქულების დაგროვება არ უნდა გაუჭირდეთ.

„ცხინვალს“ ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ სტუმრად ერთობ არასტაბილურად თამაშობს. ამ პრობლემას თუ მოაგვარებენ, გორს შეფარებულმა შიდაქართლელებმა, ეგებ უმაღლეს ლიგაშიც ამოჰყონ თავი.

ექვსეულში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეთ ზესტაფონის „მეტალურგსა“ და ქობულეთის „შუქურას“. ზღვისპირელებმა ჩემპიონატი რიხით დაწყეს და კარგა ხანს ლიდერობდნენ კიდეც, თუმც ნოემბერში ქულები ფანტეს და ბოლოსკენ მოეგნენ გონს.

მეექვსე ადგილისთვის „სამგურალი“ და „ზუგდიდი“ იბრძოლებენ. წყალტუბოელთა შანსი უფრო მეტია. ისე კი, შესაძლოა, „ზუგდიდის“ ბედზე XVII ტურში მომხდარმა ინციდენტმა დიდი გავლენა იქონიოს. ამ გუნდის პრეზიდენტ გელა ბუკიას „შუქურასთან“ მატჩში ატეხილი აურზაური თანამდებობის, მის გუნდს კი სამი ქულის დაკარგვად დაუჯდა. ამის გამო ზუგდიდელები საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მინდორზე გამართავენ.

ბორჯომის „თორს“ მეექვსე ადგილისგან ოთხი ქულა აშორებს და, შესაბამისად, გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც ძალუძს, საამისოდ, დღეს „ზუგდიდის“ დამარცხება ჰაერივით სჭირდებათ. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია სამტრედიული „ოკეანესა“ და „თბილისის“ ბედი. ორივე გუნდი მომავალ ჩემპიონატს, ალბათ, რეგიონულ ლიგაში შეხვდება.

დღევანდელი XVIII ტურიდან გამორჩეულ ინტერესს ზესტაფონური მატჩი იწვევს — „მეტალურგი“ „მილანს“ ეთამაშება. პარალელურად, დღეს 5 შეხვედრაც გაიმართება: „თორი“ — „ზუგდიდი“, „შუქურა“ — „ოკეანე“, „სამგურალი“ — „ხობი“, „თბილისი“ — „ცხინვალი“ და „გურია“ — „ივერია“.

შესაძლოა ისეც მომხდარიყო, რომ ამ მატჩებიდან ზოგიერთი გუნდის ბედი ტექნიკური დამარცხებით წინასწარ განსაზღვრულიყო. ეს იმ შემთხვევაში, თუ პირველლიგელი მოვალენი ფედერაციის ვალს დროულად არ დაფარავდნენ.

გუშინდელი ინფორმაციით, ორი გუნდის გარდა, სფფ-სთან ყველა პირნათელია. „ხობის“ მაგალითს „მილანმა“, „თორმა“ და „თბილისმაც“ მიბაძეს და ვალი სრულად გაისტუმრეს. სფფ-ის საშეკიბრო კომიტეტში გუშინ მხოლოდ „ზუგდიდისა“ და „ივერიას“ წარმომადგენლებს ელოდნენ.

ბაატა ძვანტალიანი

ბომბარდირები

13 - გვირჯიშვილი	ცხინვალი
ქუთათელაძე	სამგურალი
11 - ბოჭორაძე	ცხინვალი
გ. გვაზავა	მეტალურგი
9 - ტოკლიკიშვილი	მილანი

„დორტმუნდი“ — „აინტრახტი“. ექვსიდან ორი გოლი აინტრახტელებს ფრედი ბობიჩმა გაუტანა

REUTERS დორტმუნდიდან

პირველი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 გურია	17	10	4	3	25:20	5	34	8	7	1	0	17:6	11	22	9	3	3	3	8:14	-6	12
2 მილანი	17	10	3	4	25:13	12	33	9	9	0	0	20:3	17	27	8	1	3	4	5:10	-5	6
3 ცხინვალი	17	10	2	5	40:19	21	32	9	8	1	0	31:5	26	25	8	2	1	5	9:14	-5	7
4 მეტალურგი	17	8	6	3	26:15	11	30	8	7	1	0	20:4	16	22	9	1	5	3	6:11	-5	8
5 შუქურა	17	9	3	5	23:14	9	30	8	6	2	0	14:1	13	20	9	3	1	5	9:13	-4	10
6 სამგურალი	17	8	3	6	28:17	11	27	8	7	1	0	24:7	17	22	9	1	2	6	4:10	-6	5
7 ზუგდიდი	17	7	3	7	26:29	-3	24	9	6	2	1	18:10	8	20	8	1	1	6	8:19	-11	4
8 თორი	17	7	2	8	16:15	1	23	8	5	1	2	12:6	6	16	9	2	1	6	4:9	-5	7
9 ხობი	17	4	5	8	11:20	-9	17	9	3	5	1	5:2	3	14	8	1	0	7	6:18	-12	3
10 ივერია	17	4	3	10	11:28	-17	15	9	4	3	2	8:7	1	15	8	0	0	8	3:21	-18	0
11 ოკეანე	17	3	3	11	15:33	-18	12	9	3	2	4	8:11	-3	11	8	0	1	7	7:22	-15	1
12 თბილისი	17	3	1	13	7:30	-23	10	8	3	0	5	6:8	-2	9	9	0	1	8	1:22	-21	1

ვინ უკეთ იცნობს ერთმანეთს?

ვერ გამოდგა დასაწყისი ხეირიანი. ვერაფერი სანახავი იყო მეთვრამეტე ტური. მწვრთნელ-ფეხბურთელებს თუ დავუჯერებთ, პირველ თამაშს მუდამ თან ახლავს გარკვეული ფსიქოლოგიური დაძაბულობა. უსახური თამაშის მიზეზი ჩვენ სხვა რამ გვგონია, მაგრამ ამჯერად იყოს მათებურად.

ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი ტურია, ჰოდა, ახლა უნდა გამოჩნდეს, ზამთრის არდადეგები ვინ უკეთ გამოიყენა.

ხვალ და ზეგ საქართველოს ხუთი ქალაქის ექვს საფეხბურთო მოედანზე გაგორდება ბურთი. იქნება ვნებათაღელვა, შეცდომები. აქა-იქ გამოჩნდებიან მომჩივნები. ალბათ, გოლებიც იქნება, ჩათვლილიც და არჩათვლილიც.

ბოლნისში დაძაბული მატჩია მოსალოდნელი. „სიონი“ — „მერანის“ დაპირისპირებას მუდამ ახლდა თავისებური ინტრიგა. „ბათუმი“ — „კოლხეთის“ ორთაბრძოლაც ყოველთვის საინტერესო სანახავი იყო. გამორჩეული თამაში კი ორშაბათისა გახლავთ. ტურის ცენტრალურ მატჩში თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობს.

რკინიგზელებს და ვეტერინარებს ერთმანეთში თავიანთი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. ურთიერთშეხვედრებში „ვიტ ჯორჯია“ სჯობნის მეტოქეს. რკინიგზელებს დღესაც მწარედ უნდა ახსოვდეთ ვიტელებთან ფრედ ნათამაშევი ის მატჩი, რომელმაც „ლოკომოტივი“ ექვსეულს მიღმა დატოვა.

თავის მხრივ, ვერც „ვიტ ჯორჯია“ დაივიწყებდა თასის მეოთხედფინალის სპასუხო შეხვედრას, გატანილ და უსამართლოდ არჩათვლილ გოლს.

ეს ყველაფერი შარშან იყო. ამას დაუმატეთ მცველ სევასტი ოიდუას გარშემო ატეხილი დავა-კამათი და მიხვდებით, თუ რა აქვთ გასარკვევი ვეტერინარებს და რკინიგზელებს.

4 მარტს პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს გივი ნოდია და თეიმურ მახარაძე. მწვრთნელთა დუელიც ცალკე ინტრიგაა.

მახარაძე ძველი რკინიგზელია, ისევე როგორც ვეტერინართა ახალი შენაძენი, ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი. „ლოკომოტივში“ მახარაძის ერთი ნაშეგირდალი, „დილიდან“ მისივე გადმობირებული მცველი, გიორგი ბალაშვილი თამაშობს. ფაქტი ამას ღაღადებს — მახარაძე უკეთ იცნობს „ლოკომოტივს“, ვიდრე ნოდია „ვიტ ჯორჯიას“.

ზეგ მოპაექრეებს იდეალური არა, მაგრამ კარგი სათამაშო მინდორი ელით. დანარჩენი კი მწვრთნელ-ფეხბურთელებზეა.

წინა ტურთან შედარებით მახარაძე ახალს ვერავის შეიმატებს. მწვრთნელმა შეიძლება შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანოს, მაგრამ ეს არ იქნება დამაბნეველი სიახლე მასპინძელთათვის.

ვიტელი გიორგი ჭანკოტაძე „ლოკომოტივს“ ორშაბათსაც შეუტევს

ნოდიას შეუძლია, ათამაშოს მურთაზ შელია და დავით დათვაძე, თუმც არც ის იქნება გასაკვირი, მწვრთნელმა მოედანზე წინა ტურში გამარჯვებული შემადგენლობა გაიყვანოს.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ტრავმირებული არავინაა და ვნახოთ, პირველ წრეში მცხეთაში განცდილი მარცხის შემდეგ, აიღებენ თუ არა რევანშს რკინიგზელები?!

თუ ვინმეს ჩვენეული პროგნოზი გაინტერესებთ, მაშინ გავბედავთ და მოგახსენებთ: ფრე გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

თავში „ბათუმი“ — „კოლხეთის“ მატჩი ვახსენებთ. ხვალ გამოჩნდება ვისი ნაფიქრი აჯობებს, ასლან ბალაძის თუ სოსო ფილიასი.

სტუმარიც და მასპინძელიც საგაზაფხულო ეტაპისთვის ბულგარეთში ემზადებოდა. ერთმანეთში საკონტროლო მატჩიც უთამაშიათ, ოღონდ შეკრების დაწყებამდე. ორივე გუნდში არიან გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებმაც კარგად უწყიან ერთმანეთის ავანჩავანი.

მოდით, ბათუმურ მატჩშიც ფრეზე შევთანხმდეთ, უგოლო თუ გოლიანი, ამაზე თავად მეტოქეები შეთანხმდნენ. ჩვენ კი ახალს ჯერჯერობით მეტს ვერაფერს დავამატებთ.

„სიონი“ და „მერანი“! ორივე ექვსეულისთვის იბრძვის, შანსი ორივეს აქვს. გათამაშების ცხრილის მიხედვით, სტუმარს უფრო მეტი, მაგრამ ბოლნისში ეს უპირატესობა თითქმის არაფერს ნიშნავს.

ოთარ გაბელიამ „მერანი“ გადაახალისა. მართალია, ოფიციალურ შეხვედრებში ჯერაც არ გვინახავს ავჭალელთა ძალა, მაგრამ საკონტროლო მატჩებში „მერანი“ სოლიდურად გამოიყურებოდა. გაბელია, ალბათ, ვერ დაიხმარს ტრავმამოშუშებულ მიხეილ ფოცხვერიას, რომელიც ინდივიდუალურად ემზადებოდა უკრაინაში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ — „სიონი“ ძალიან მოღონიერდა. სიდამონიძე, დავითაშვილი, კახა გოგოლაძე... სხვებიც გარკვეულ ძალას წარმოადგენენ ქართულ ფეხბურთში. თანაც ბოლნისელები შინ თამაშობენ.

„სიონმა“ მოიგო სადებიუტო მატჩი, „მერანი“ კი ხვალ იწყებს. ესეც გარკვეული უპირატესობაა მასპინძელთათვის.

საქმე პროგნოზზე მიდგა და აქაც ფრეს ვიწინასწარმეტყველებთ. მათ, ქვედა ლიგიდან მოყოლებული, ბოლნისსა თუ თბილისში მატჩების უმრავლესობა ფრედ უთამაშიათ. ტრადიცია პირველად დედაქალაქში დაირღვა. „მერანმა“ მოიგო, ოღონდ არა საკუთარ „სინათლეზე“, არამედ ავლაბარში. პირველ წრეში „სინათლეზე“ კი ისევ ფრე, 0:0 დაფიქსირდა.

ჩემპიონი „ტორპედოც“ იწყებს საგაზაფხულო ეტაპს. ქუთაისელებმა მეთვრამეტე ტური ნაკრების ინტერესების გამო გამოტოვეს, ჰოდა, ახლა საშინაო მატჩით განაახლებენ ჩემპიონატს.

ქუთაისში თითქმის ყველაფერი გარკვეულია. მასპინძლები, ალბათ, მოიგებენ. მხოლოდ ერთია საინტერესო, როგორ თერთმეტეულს იხილავს რიონისპირელი ქომაგი. ამის ამოცნობაა ძნელი, თორემ „იბერია“ რომ წააგებს, ეს ბევრისთვისაა ცნობილი.

ცუდ დღეშია გორის „დილა“. მართალია, საკმაოდ შესუსტებული „დინამო“ ელის, მაგრამ ათგზის ჩემპიონმა როგორც იქნა, გაიარა რეგისტრაცია და სულაც არ გაგვიკვირდება, მეტოქეს ახალი მწვრთნელითა და ორიოდ ახალი მოთამაშითაც დაუხვდეს. ალბათ, „დინამო“ მოიგებს, რაც გორელთა სატურნირო მდგომარეობას ერთობ დაამძიმებს.

სრულიად გაახალგაზრდავებული თსუ და გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერებული „გორდა“ — რომელი აჯობებს?

გია გეგუჩაძეს, ალბათ, კოჭმტკივანი ბურნაძე დაუბრუნდება, ეს კიდევ უფრო გააძლიერებს რუსთაველთა ისედაც მყარ დაცვას.

მერაბ კოჭლაშვილი დისკვალიფიკაციამოხდილ ახალაძეს შეიმატებს და ნახევარდაცვას გააძლიერებს.

„გორდამ“ უნდა მოიგოს, მაგრამ ყველაფერი უკუღმა რომ დატრიალდეს? მაშინ თსუ დიდ ნაბიჯს გადადგამს უმაღლესი ლიგისკენ. ახლა, მოგეხსენებათ, გავარდნის ზღვარზეა.

მეცხრამეტე ტური ბევრსაც ვერაფერს გადაწყვეტს, მაგრამ გარკვეული კონტურები მოიხაზება. ვინ ზევით იქნება და ვინ ქვევით დარჩება (ორ ექვსეულს ვგულისხმობთ), ნელ-ნელა უნდა გამოჩნდეს.

მამუკა კვანტალიანი

ბათუმელი პაატა მაჭუტაძე კოლხთა მეკარე მამუკა გვასალიას ხვალაც შეაწუხებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

ტურის ცენტრალური მატჩი

თბილისი. „26 მაისი“. 5 მარტი. 15 საათი

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალამბერიძე, ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი. „ეროვნული“. 4 მარტი. 15 საათი

დინამო — დილა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ბათუმი. „დინამო“. 4 მარტი. 15 საათი

ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე(სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 4 მარტი. 15 საათი

სიონი — მერანი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი(თბილისი); კ. გაბრიაძე(ქუთაისი), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილენკო

ქუთაისი. „ტორპედო“. 4 მარტი. 15 საათი

ტორპედო — იბერია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ვაკე. „არმაზი“. 4 მარტი. 15 საათი

თსუ — გორდა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

სიონელი სულიკო დავითაშვილი (მარჯვნივ) ყოფილ თანაკლუბელებს თავს აატკივებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიგასთან.

ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის

საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, შიაჯის, გუნდის, გოლის

გამოსაცდელად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელევიზიის და ინტერნეტის შუშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი .....
2. საუკეთესო მეკარე .....
3. საუკეთესო მცველი .....
4. საუკეთესო ნახევარმცველი .....
5. საუკეთესო თავდამსხმელი .....
6. საუკეთესო მწვრთნელი .....
7. საუკეთესო მსაჯი .....
8. საუკეთესო გუნდი .....
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი .....

.....

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბარონ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდონ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

www. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

ო, რა ძნელია, გიყვარდეს ია

სერთიფიკატს მოწყურებული მანჩინი სწავლას დაეწაფა

რობერტო მანჩინი ფლორენციაში დიდ პატივშია

„სარბიელის“ ფურცლებზე, ალბათ, ხშირად წაგითხავთ რობერტო მანჩინის გვარი და ისიც გეცოდინებათ, თუ რამხელა ხმაური ატყდა მისი შესაძლო მწვრთნელობის შესახებ.

ფლორენციულმა „ფიორენტინამ“ თურქი ფათიჰ თერიმი შუა სეზონში მოიძულა და უმწვრთნელოდ დარჩა. გუნდის თავკაცობა მრავალ აღიარებულ სპეციალისტს უმზერდა მუშტრის თვალით, მაგრამ არჩევანი რატომღაც სამწვრთნელო სარბიელზე გამოუცდელ რობერტო მანჩინიზე შეაჩერა. წლეულს ვეტერანი სერია A-ს „ლაციოს“ მოთამაშე-მწვრთნელად მოევლინა, თუმცა ახალგამოცხვარი მოძღვარი სამართლიანად შეიზღუდა დიდი გურუს, სვენ გორან ერიკსონის თანაშემწეობით.

ეტყობა, შვედის შეგირდობით მანჩინი ახალ ხელობაში დაოსტატებას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. მისი ბატონი ინგლისში გადაბარგდა და ეროვნული ნაკრების დამოძღვრას შეუდგა. რობერტოსაც რაღა დარჩენოდა, მწვრთნელობას თავი ანება და ისევ ძველებურად ბურთის გორება მოიწადინა. რომაულ გუნდში, ცხალია, ასაკოვანი კაცი ძველებურად ფრთებს ვეღარ გაშლიდა და მანაც ინგლისურ „ლესტერს“ მიაშურა. იტალიელმა ალბიონზე რამდენიმე მატჩის ჩატარება მოასწრო და მალე სამშობლოდანაც უხმეს.

„იებს“ და მათ პრეზიდენტს, ვიტორიო ჩეკი ვორის მანჩინის ხილვა ფლორენციაში მოსდომებიათ. თავად მანჩინიც გახარებულა „ფიორენტინას“ წინადადებით, მაგრამ არ გეგონოთ, რომ საქმე საბოლოოდ დაგვირგვინდა. დიდი მითქმა-მოთქმა, აზრთა სხვადასხვაობაა იტალიის საფეხბურთო წრეებში.

მანჩინის საქმეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, მსაჯთა კავშირი და ფეხბურთელთა ასოციაცია ერთიანი ძალისხმევით მომავალ ოთხშაბათს განიხილავენ. საკითხი მართლაც პრობლემატურია. იტალიური საფეხბურთო წესრიგი კრძალავს ორი გუნდის მწვრთნელობას ერთ სეზონში. თითქოს ყოველივე ცხადია, მანჩინი წლის ბოლომდე ვერ შეძლებს „ფიორენტინაში“ მუშაობას, მაგრამ გუნდის ვიცე-პრეზიდენტი მარიო სკონჩერტი და მისი ამალა სხვაგვარად ფიქრობენ: „რობერტო მთავარი მწვრთნელი არასდროს ყოფილა, იგი მხოლოდ და მხოლოდ სვენ გორან ერიკსონის თანაშემწე გახლდათ“.

გავრცელდება თუ არა მანჩინიზე მწვრთნელებისთვის დადგენილი კანონები, ოთხშაბათს გავიგებთ. მანამდე კი „იებს“ სერია A-ს მორიგ მატჩში „ბარისთან“ დაპირისპირება ელით. სანამ მანჩინის შესაძლო მწვრთნელობას ზემო ინსტანციებში იხილავენ, გუნდს ლუჩიანო ჩიარუჯი მიხედავს. იგი ოთხმოცდაათიან წლებში „ფიორენტინას“ ჭაბუკთა გუნდში მუშაობდა. თვით რობერტო მანჩინი კი მომავალ შეგირდებს მარიო სკონჩერტისთან ერთად საკვირაო მატჩში ტრიბუნებიდან დააკვირდება: „ის ჩემი სტუმარი იქნება ბარიში, ამასობაში მის ადგილს დროებით ლუჩიანო ჩიარეჯი დაიკავებს“ — საყოველთაო პატივში ჰყავთ ფლორენციელებს მანჩინი.

იკითხავთ, რამ გადარია ეს ხალხი, იტალიაში, სხვა თუ არაფერი, კარგი მწვრთნელი სანთლით საძებარი ნამდვილად არაა. ისე უცნაურია, მაგრამ ფაქტია — მარჩელო ლიპი, ზდენეკ ზემანი, ალბერტო მალესანი ზემოთ ხსენებულ კანონს დროებით უმუშევრებად დუუტოვებია. მთაც არ შეუძლიათ, წლევანდელ სეზონში საყვარელი საქმე აკეთონ. მარჩელო ლიპის „ინტერის“ რისხვა დასტყდომია თავს, ზდენეკ ზემანი და ალბერტო მალესანი კი, „ფიორენტინას“ ყოფილი თავკაცი, შესაბამისად, „რომამ“ და „პარმამ“ მოკვეთეს.

ცუდად აეწყო კიდევ ერთი იტალიელის, ნევიო სკალას უცხოური, კერძოდ კი, თურქული კარიერა. ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ „ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელობა მას უკან, სამშობლოში ისტუმრებს. გაივსო იტალია დაწუნებული მწვრთნელებით. მანჩინის კი ყველაფრის ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტა სწადია. არაა ჩალით გადახურული იტალიელთა საფეხბურთო სახლი და რაღა გასაკვირია, რომ ახალბედა მწვრთნელს მოძღვართა კავშირის მამები უნდობლად უმზერენ. ამიტომაცაა, რომ მანჩინი ჩქარობს, იგი სავალდებულო კურსებსაც გულდასმით გადის, იქნებ ცოტა რამ დარჩეთ მოწინააღმდეგეთ მოსადავებელიო. როგორც ცნობილია, რობერტოს მწვრთნელის პროფესიული სერთიფიკატი ჯერჯერობით არ აქვს. ეს კი, კანონის მიხედვით, შეუძლებელს ხდის სერია A-ში მუშაობას.

მოწინააღმდეგე „ფიორენტინას“ მწვრთნელობის მოსურნეს კი, იცოცხლე, ბევრი ჰყავს. თუნდაც „ბარის“ თავკაცი ეუჯენიო ფაკეტი ვახსენოთ: „კანონი კანონია, გამართლებული არაა მანჩინის მწვრთნელობა. ხოლო თუ კანონს უგულებელყოფ, ცხენმაც კი შეიძლება ამოყოს თავი მწვრთნელის სკამზე“. არ ვიცით, რატომ არის ეგზაჭ აგრესიული ფაკეტი, ვერც კანონის სიწმინდეზე მოგახსენებთ რაიმეს. რობერტოსთვის კი რამდენიმე სახელოვანი პირის ნაღვაწს მიუცია კანონგარეშე ქმედების მაგალითი.

არიგო საკი, რომელმაც თავის დროზე ნაკრები დატოვა, უპრობლემოდ ჩაუდგა „მილანს“ სათავეში. იგივე ითქმის მარკო ტარდელიზე, რომელიც ამ სეზონში ჯერ იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს მოძღვრავდა, ახლა კი მილანის „ინტერს“ წვრთნის. ორივე კანონდარღვევა მილანელთა სინდისზეა. ეტყობა, ასეა მიღებული იტალიაში — მილანში კანონებს მილანელები წერენ.

გიორგი გამარდაშვილი

რობერტო ბაჯოს ამომავალ მზეს ტრაპატონის თვალები შრჩევნია

რობერტო ბაჯო ტრაპატონის თავს აწონებს

ამას წინათ რობერტო ბაჯოზე ერთი ამბავი გაუწყეთ, თითქოს გაბუდისტებულმა იტალიელმა მის ამჟამინდელ კლუბ „ბრეშასა“ და მთლიანად სერია A-ზე გული აიყარა და იაპონურ ჯეი-ლიგაში თამაში განიზრახა. სააგენტოების მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია მართალი არ აღმოჩნდა. ვეტერანმა იტალიელმა ახლახან საპირისპირო რამ თქვა: „იაპონიაში არავისთან მისაუბრია, „ბრეშაში“ ვაპირებ დარჩენას და კარიერის დასრულებას“.

ბაჯოს იაპონიაში წასვლის შესახებ დაახლოებით ერთი კვირის წინ ალაპარაკდნენ. ამის შემდეგ რობერტომ სერია A-ს მორიგ ტურში ჩინებულად ითამაშა და „ფიორენტინას“ ორი გოლი გაუტანა, 31 წლის ფეხბურთელი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

იქნებ ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ ამ ამბით გამხნევებულმა ბაჯომ თავისი ნატვრა გაამხილა: „ჯოვანი ტრაპატონის ჩემთვის პირობა არ მოუცია, მაგრამ თავად მე ამის მჯერა — „ფიორენტინას“ კარში გატანილი ორი გოლი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამან შესაძლოა ჩემს სანაკრებო კარიერაზე დადებითად იმოქმედოს და ნაკრების ხელმძღვანელობამ ყურადღება კვლავ მომაქციოს. 2002 წლის პირველობაზე თამაში ჩემი ოცნებაა, მერე კარიერის დასრულებაც შეიძლება“.

ბაჯო ცდილობს, ჯოვანი ტრაპატონის თავი შეახსენოს. საამისოდ კი სწორედ დღეს ექნება რეალური შანსი. რობერტოს კლუბ „ბრეშას“ რომის „ლაციო“ სტუმრობს და უკეთესთან ვისთან დაამტკიცებს თავის სიძლიერეს, თუ არა ქვეყნის ჩემპიონთან, რომელსაც სკუდეტოს მოსაპოვებლად ფარ-ხმალი არც წლეულს დაუყრია.

„ცხადია, მინდა, „ლაციოსთან“ თავი გამოვიჩინო, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ მათ კარშიც შევაგდებ გოლს. რომაელები ბრეშაში მოსაგებად ჩამოდიან და ყველაფერს იღონებენ, რათა „რომას“ და „იუვენტუსს“ წამოეწიონ. რთული მატჩი გველის“ — ამბობს ბაჯო.

ნიკა ფუგლაძე

ფეხბურთის რუკასთან

ინლანდიელი ნახევარმცველი ტეოდურ გუდიონსენი „დერბი ქაუნთიმ“ „ლას პალმასიდან“ სეზონის ბოლომდე იჯარით გადაიყვანა. შეთანხმებაში ასევე გათვალისწინებულია, რომ თუ პრემიერლიგელები პრიმერადივიზიონელებს ზაფხულში 1,5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, 26 წლის ფეხბურთელს საბოლოოდ დაიტოვებენ „პრაიდ პარკზე“. სადებიუტო მატჩი ისლანდიელმა, შესაძლოა, ამ უქმეებზე „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ ჩაატაროს. აღსანიშნავია, რომ ტეოდურის მამა ინგლისში საქმიანობს, იგი „სტოკ სიტის“ მწვრთნელია. ამავე კლუბში თამაშობს მისი უმცროსი ძმა ბიერნი.

ტუნისის ნაკრების მწვრთნელი ფრანკო სკოლიო თანამდებობიდან გადადგა და უახლოეს მომავალში ალბათ სერია B-ს კლუბ „ჯენოას“ ჩაუდგება სათავეში. თუმცა ეს ჯერჯერობით სააგენტოების ვარაუდია და იტალიური კლუბი ამის თაობაზე ოფიციალურად არაფერს აცხადებს. სკოლიოს თურმე სურდა, ტუნისის ნაკრებშიც ემუშავა და პარალელურად „ჯენოაც“ გაეწვრთნა, მაგრამ ტუნისის ფეხბურთის ფედერაციამ მისი სურვილი არ დაკმაყოფილა და ეროვნულ გუნდში ერთწლიანი მუშაობის შემდეგ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა, „პსვ ეინდჰოვენის“ სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ითამაშა და ორი გოლიც გაიტანა. ფორვარდმა მინდორზე 79 წუთი დაჰყო. მისმა გუნდმა კი „სპარტას“ დუბლებს 6:1 მოუგო. მუხლის რთული ტრავმის გამო ვან ნისტელროის დაახლოებით წელიწადია, არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ შარშან ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს „მანჩესტერ იუნაიტედი“ 18 მილიონ გირვანქად ყიდულობდა, მაგრამ ინგლისელები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არ დაკმაყოფილდნენ და მაშინ ტრანსფერი ჩაიშალა.

ინგლისურმა „ვესტ ჰემმა“ სურვილი გამოთქვა, „ევერტონის“ ნახევარმცველი სტეფან ჰიუზი შეიძინოს და ფეხბურთელი ლივერპულიდან კვლავ ლონდონში დააბრუნოს, ჰიუზი ადრე „არსენალში“ თამაშობდა. „ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ალბათ, შეთანხმებას მივაღწევთ, რადგან ლონდონში დაბრუნება თავადაც სურს“ — განაცხადა „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა. ჰიუზი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, „ევერტონის“ შემადგენლობაში კი მან სულ ოცამდე შეხვედრა ჩაატარა. არ არის გამორიცხული, სტეფანის ტრანსფერი ამ უქმეებზე განხორციელდეს.

იტალიელმა ნახევარმცველმა ანჯელო დი ლივიომ ამ დღეებში „ფიორენტინასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირობითაც ფლორენციაში 2003 წლამდე დარჩება. დი ლივიო ამჟამად 33 წლისაა და მისივე თქმით, კარიერას სწორედ „ფიორენტინაში“ დაასრულებს. შეგახსენებთ, რომ იტალიელი ფლორენციულ კლუბში ტურინის „იუვენტუსიდან“ ჩაირიცხა. ბოლო ხანს გავრცელდა ცნობა, თითქოს ვეტერანი ფეხბურთელის გადაბირებით „რომა“ იყო დაინტერესებული, თუმცა ახალი შეთანხმებით ეს ხმები საბოლოოდ გაქარწყლდა.

პარაგვაის ნაკრების მოთამაშის — რობერტო აკუნიას შეძენის სურვილი ლონდონის „არსენალმა“ გამოთქვა. „სარაგოსას“ ფეხბურთელის აგენტმა დაადასტურა, რომ მას სხვა კლუბებიც დაუკავშირდნენ, ერთ-ერთი მათგანი „ფიორენტინაა“. „არსენალი“ კი თანახმაა, 28 წლის ნახევარმცველს სანაცვლოდ 12 მილიონი დოლარი გადაიხადოს. თუ აკუნია პრემიერლიგაში გადავიდა, მას ბრიტანული სამუშაო ვიზის მიღება არ გაუჭირდება, რადგან ნაკრების ძირითადი მოთამაშეა, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 80-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

I ჯგუფი

უნივერსიტარიო (პერუ) 0:2 ველეს სარსფილდი (არგენტინა)
ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 3:1 როსარიო სენტრალი (არგენტინა)
როსარიო სენტრალი 6:0 უნივერსიტარიო
ველეს სარსფილდი 2:0 ატლეტიკო ხუნიორი

ველესი	2	2	0	0	4:0	6
როსარიო	2	1	0	1	7:3	3
ატლ. ხუნიორი	2	1	0	1	3:3	3
უნივერსიტარიო	2	0	0	2	0:8	0

II ჯგუფი

უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 0:2 სერო პორტენო (პარაგვაი)
სერო პორტენო 3:1 სპორტ ბოისი (პერუ)
სპორტ ბოისი 0:2 უნივერსიდად დე ჩილე

სერო პორტენო	2	2	0	0	5:1	6
უნ. დე ჩილე	2	1	0	1	2:2	3
პალმეირასი	0	0	0	0	0:0	0
სპორტ ბოისი	2	0	0	2	1:5	0

III ჯგუფი

უილსტერმენი (ბოლივია) 4:2 სან ლორენსო (არგენტინა)
ნასიონალი (ურუგვაი) 3:0 უილსტერმენი
დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე) 0:0 ნასიონალი
სან ლორენსო 2:1 დეპორტეს კონსეპსიონი

ნასიონალი	2	1	1	0	3:0	4
უილსტერმენი	2	1	0	1	4:5	3
სან ლორენსო	2	1	0	1	4:5	3
კონსეპსიონი	2	0	1	1	1:2	1

IV ჯგუფი

ემელეკი (ეკვადორი) 1:1 ოლიმპია (პარაგვაი)
ოლიმპია 1:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)
სპორტინგ კრისტალი 0:1 ემელეკი

ოლიმპია	2	1	1	0	2:1	4
ემელეკი	2	1	1	0	2:1	4
კრუზეირო	0	0	0	0	0:0	0
სპორტინგ კრ.	2	0	0	2	0:2	0

V ჯგუფი

გუარანი (პარაგვაი) 3:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი)
რივერ პლეიტი (არგენტინა) 5:1 სთრონგესტი (ბოლივია)
ელ ნასიონალი 1:0 რივერ პლეიტი
სთრონგესტი 1:1 გუარანი

გუარანი	2	1	1	0	4:2	4
რივერ პლეიტი	2	1	0	1	5:2	3
ელ ნასიონალი	2	1	0	1	2:3	3
სთრონგესტი	2	0	1	1	2:6	1

VI ჯგუფი

პენიაროლი (ურუგვაი) 1:2 ამერიკა დე კალი (კოლუმბია)
დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 0:0 პენიაროლი
ამერიკა დე კალი 3:0 დეპორტივო ტაჩირა

ამერიკა	2	2	0	0	5:1	6
პენიაროლი	2	0	1	1	1:2	1
დეპ. ტაჩირა	2	0	1	1	0:3	1
ვასკუ და გამა	0	0	0	0	0:0	0

VII ჯგუფი

დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) 3:2 ოლმედო (ეკვადორი)
კრუზ ასული (მექსიკა) 2:0 დეფენსორ სპორტინგი
ოლმედო 2:3 კრუზ ასული

კრუზ ასული	2	2	0	0	5:2	6
დეფ. სპორტინგი	2	1	0	1	3:4	3
სან კაეტანო	0	0	0	0	0:0	0
ოლმედო	2	0	0	2	4:6	0

VIII ჯგუფი

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:2 კობრელოა (ჩილე)
ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:1 ორიენტ პეტროლერო (ბოლივია)
კობრელოა 0:1 ბოკა ხუნიორსი

ბოკა ხუნიორსი	2	2	0	0	3:1	6
კობრელოა	2	1	0	1	2:2	3
პეტროლერო	1	0	0	1	1:2	0
დეპორტივო	1	0	0	1	1:2	0



შანსები და არგუმენტები
რეალი: სანტიაგო ბერნაბეუ და ფიგუ
ბარსელონა: ისტორია და რიხი



პირველი წრე. ბარსელონა — რეალი. რაული იჭით, ფილიპ კოუუ (ინგ) აჭეთ. სერხი და ფიგუ ერთმანეთს ძმურად დასცილდნენ

იმით დავიწყოთ, რითაც ამ ხუთი თვის წინ, უფრო ზუსტად კი შარშან, 22 ოქტომბერს „ბარსელონა“ — „რეალის“ მატჩის შემდეგ დავსრულეთ. მაშინ მადრიდელმა ქომაგებმა დაიჯდნეს, ჩამოვა „ბარსელონა“ მადრიდში და როგორ დავხვდებით, ნახავსო. თუკი გავიხსენებთ, როგორ დახვდნენ ბარსელონელი ქომაგები „რეალს“ და ლუშ ფიგუს, ძნელი მისახვედრი არაა, რასაც გგმავენ დედაქალაქელები.

თუმცა სანამ დღევანდელ თამაშზე განვიხილავთ, სულ პირველი „რეალი“ — „ბარსელონა“ გავიხსენოთ.

„რეალი“ 1902 წლის გაზაფხულზე შეიქმნა. იმავე წელს ესპანეთში სამეფო თასის პირველი გათამაშება დაიწყო. წილისყრამდე „რეალს“ სულ რამდენიმე თამაში ჩაეტარებინა და პირველივე ეტაპზე მეტოქედ „ბარსელონა“ ერგო. ეს „რეალის“ პირველი ოფიციალური მატჩი იყო დაარსებიდან ორი თვის შემდეგ, 13 მაისს, ზუსტად იმ ადგილას, სადაც 45 წლის შემდეგ ახალი სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“ აშენდა.

1902 წლის 13 მაისი მზიანი დღე იყო. აბა, როგორ იქნებოდა მაშინ ფეხბურთი ასე განვითარებული და მით უფრო საოცარია, რომ მადრიდის ქუჩები აფიშებით აჭრელებულიყო.

ის პირველი თამაში „ბარსელონამ“ 3:1 მოიგო. ისტორიამ საუკუნის წინანდელი გაზეთის ის სტატიაც შემოინახა, რომელშიც ეწერა — „ბარსელონამ“ თავისი ექვსი უცხოელი ფეხბურთელთან დაამარცხა ჩვენი გუნდის ენთუზიაზმი, „რეალს“ მხოლოდ ორი უცხოელი ჰყავდა — მადრიდელთა უცხოელები კუბელები იყვნენ.

ეგებ სწორედ ამ მატჩის შემდეგ დაიწყო ის დაპირისპირება, რომლის მსგავსიც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატში არ არსებობს?

ცოტაოდენი სტატისტიკაც: ესპანეთის ჩემპიონატის მოგებათა 67 პროცენტი „რეალისა“ და „ბარსელონას“ ანგარიშზე მოდის და ჯამში 43-ს უდრის. აქედან „ბარსელონა“ ჩემპიონი 16-ჯერ გამხდარა, ხოლო „რეალი“ 27-ჯერ.

ხოსე მარია ბაკერომ, „ბარსელონას“ ძველმა კაპიტანმა, რომელიც ახლაც „ბარსაში“ მუშაობს, დღევანდელ მატჩზე თქვა, ჩემპიონობის მოპოვება თუ გვსურს, ეს ჩვენი ბოლო შანსიაო. კი, ნამდვილად ასეაო, კვერს უკრავს რეალელი ივან ელგერაც, თუ ჩვენ მოვიგეთ, სხვაობა თორმეტ ქულამდე გაიზრდება და მერე გვდიეთო.

მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ ასე დარწმუნებით „რეალის“ გამარჯვებაზე? ეს თორმეტქულიანი სხვაობა ხომ მხოლოდ მადრიდელთა სურვილია?

„სამეფო კლუბს“ ლაზარეთში ოდენ ფლავიო კონსეისაო ჰყავს და ამასაც რა ხანია შევეჩვიეთ. სხვა მხრივ კი „რეალში“ სრული წესრიგია — გუნდს დაუბრუნდნენ ფერნანდო მორიენტესი და სტივ მაკმანამანი, ლუიშ ფიგუსაც „სანტიაგო ბერნაბეუს“ ყოველი გოჯის ათვისება შეეძლება და არა ისე, როგორც ხუთი თვის წინ „კამპ ნოუზე“ იყო, როცა ყოფილი ბარსელონელი გვერდით ხეთან მიახლოვებასაც ვერ ბედავდა.

მაგრამ „რეალის“ მეტოქე ხომ „ბარსელონაა“? გუნდი, რომელიც არცთუ სუსტ მეტოქეს 7:0 უგებს და აუტსაიდერთან 0:4 აგებს. მოკლედ, „ბარსასგან“ ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი და ისიც სწორად ამითაა საშიში. ჰო, პატრიკ კლუივერტს ექვსი კვირა გოლი არ გაეტანა და წინა ტურში ორჯერ შეაგდო — ესეც კატალონიელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ისევ სტატისტიკა: პრიმერადივიზიონის მატჩებში „რეალი“ და „ბარსელონა“ მადრიდში 70-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამათგან 46 თამაში მასპინძლებმა მოიგეს, 12 ფრედ დასრულდა და 12-შიც ბარსელონელებმა იმარჯვეს. „რეალი“ ბურთების შეფარდებაშიც სოლიდურ უპირატესობას ფლობს — 151:70.

„რა შანსი აქვს „ბარსელონას“ შაბათს? „ბარსელონა ბარსელონაა“! ჩვენ ყოველთვის გვაქვს შანსი, მაშინაც კი, როცა ყველას ბრძოლიდან გამოთიშულნი ვგონივართ“ — ეს კითხვა და პასუხი ლორენს სერა ფერერის მატჩისწინა ინტერვიუდანაა. კატალონიელთა მწვრთნელმა ესეც თქვა: „არავის ჰქონდეს იმედი, რომ „ბარსა“ ისევე ითამაშებს, როგორც „რასინგთან“ ან „დეპორტივოსთან“. „რეალთან“ ყოველთვის განსაკუთრებული განწყობით ვთამაშობთ“. აქვე ვთქვათ, რომ ფერერისთვის ეს პირველი „რეალი“ — „ბარსელონაა“.

ლუიშ ფიგუმ ამ მატჩს დამატებითი ინტრიგა შესძინა, თუმცა სანამ ფიგუს მზადებაზე ვიტყოდით, პორტუგალიელზე რივალდოს აზრი მოვისმინეთ. „ლუიშმა დამაღალატა — ამბობს ბრაზილიელი, ოღონდ იმას არ გულისხმობს, რაც კაცს ერთი შეხედვით შეეძლება ეგონოს — ადრე „ბარსელონას“ წარუმატებლობას ქომაგები ჩემზე და ფიგუზე ტეხდნენ. ახლა ის წავიდა და ყოველი მარცხი, როგორც წესი, მარტო მე მბრალდება“.

ფიგუმ მადრიდში ჩასვლა დააგვიანა. ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პორტუგალია ანდორას შეხვდა და ფიგუმ ორი გოლი გაიტანა. განა მტკიცება უნდა იმას, რომ ფიგუს მადრიდში დაგვიანების მიზეზი მისი თავქარიანობა არ ყოფილა? უბრალოდ, ამინდის ჭირვეულობამ ფრენა გადადო და სხვა რეალელებმა პორტუგალიელზე ერთი დღით ადრე დაიწყეს „ბარსელონას“ დასახვედრად მზადება.

სტატისტიკურად „რეალი“ აშკარად ჩაგრავს „ბარსელონას“ მადრიდში, მაგრამ სტატისტიკა სხვა რამესაც გვაცნობს: პირველ შეხვედრას „ბარსა“ ყოველთვის იგებს. ასე იყო 1902 წელს, როცა ამ გუნდების პირველი მატჩი სამეფო თასზე სტუმრებმა მოიგეს, ეს, და ასე იყო პრიმერადივიზიონის დაარსების დროსაც, როცა 1928 წელს პირველ მატჩში „ბარსამ“ 2:1 მოიგო.

დღეს ახალი საუკუნის პირველი მატჩია. რას იზამს „რეალი“? — ჰკითხეს ლორენს სერა ფერერს. — რა თქმა უნდა, იბრძოლებს. იყო პასუხი — ის პირველი წუთიდანვე შეტევაზე გადმოვა, რადგან იცის, რომ დაცვაში ჩაჯდომით აუცილებლად დამარცხდება“.

„გადამწყვეტი პირველი ოცი წუთი იქნება“ — თქვა გუტიმ — ჩვენ თავიდანვე უპირატესობას მოვიპოვებთ და მეტოქეს გავანადგურებთ“.

გუტი ახალგაზრდაა, უფრო გამოცდილმა ფლორენტინო პერესმა კი ინატრა: „განადგურებაზე არ ვფიქრობ, მთავარია, სამი ქულა მოვიპოვოთ“.

გიორგი ჯარგუანია

დიდი ისტორიის დიდი სახელები:
რეალელი ხოსე ანტონიო კამაჩო და ბარსელონელი იოჰან კრუიფი

იტალია

ჰაბუნა ჰედია

ზიდანი, ეჭიმი, თარჯიმანი... კალაძე მუშაობის საშუალებას არ იძლევა

XXI ტური

დღეს

რეჯინა	ბოლონია
ბრეშა	ლაციო

ხვალ

ვერონა	ატალანტა
ბარი	ფიორენტინა
რომა	ინტერი
უდინეზე	იუვენტუსი
ნაპოლი	ლეჩე
მილანი	პარმა
პერუჯა	ვიჩენცა

სადღეისო ვითარება

რომა	20	15	3	2	38:14	48
იუვენტუსი	20	12	6	2	36:15	42
ლაციო	20	12	4	4	39:23	40
პარმა	20	9	5	6	29:18	32
ატალანტა	20	8	8	4	23:16	32
უდინეზე	20	9	1	10	34:33	28
ინტერი	20	7	7	6	23:22	28
ბოლონია	20	8	4	8	25:26	28
მილანი	20	7	7	6	30:32	28
ფიორენტინა	20	6	9	5	33:28	27
პერუჯა	20	7	5	8	25:28	26
ლეჩე	20	6	7	7	25:31	25
ბრეშა	20	4	9	7	24:28	21
ნაპოლი	20	5	5	10	22:32	20
ვიჩენცა	20	5	5	10	20:32	20
ვერონა	20	4	6	10	25:38	18
რეჯინა	20	4	3	13	15:34	15
ბარი	20	3	4	13	16:32	13

კახა კალაძე გამოჯანმრთელდა და კვირას „სან სიროზე" „პარმას" წინააღმდეგ ითამაშებს.

„წინა შეხვედრაში ფეხი რომ ვიტკინე, ზინედინ ზიდანის ბრალი არ იყო" — განაცხადა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა, რომელიც ერთი კვირის წინ, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე", თამაშის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე მოედნიდან კოჭლობით გავიდა. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში კალაძე „იუვენტუსის" ვარსკვლავს პერსონალურად მეურვეობდა, ხოლო ტურინელებმა მილანელებს 3:0 მოუგეს — „იმ ეპიზოდში შევცდი, ფრანგისთვის ბურთის წართმევა არასწორად დავაპირე და უცბად, ფეხში მწვავე ტკივილი ვიგრძენი, რის გამოც შეცვლა ვითხოვე. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა. ამ დღეებში „პარმასთან" სათამაშოდ ჩვეულებრივად, ფეხბურთელთა ძირითად ჯგუფთან ერთად ვვარჯიშობდი".

კალაძეზე ზიდანსაც დაეკითხნენ. ფრანგმა უპასუხა: „კალაძემ დიდი პრობლემები შემიქმნა. თავისთავად თამაშიც რთული იყო და არც მე გახლდით საუკეთესო ფორმაში, მაგრამ მეურვე წამითაც არ ადუნებდა ყურადღებას, მუდმივად ჩემს გვერდით იდგა და თამაშის საშუალებას არ მაძლევდა. ანჩელოტი („იუვენტუსის" მწვრთნელი) მართალი გამოდგა. ის მეუბნებოდა, თუ დაინახავ, რომ მილანელებმა პერსონალური მეურვე მოგიჩინეს, ნახევარდაცვიდან ცოტა წინ წაიწიეო. მეც ვცადე პოზიციის შეცვლა, მაგრამ კალაძე იქაც არ მომეშვა..."

„რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო დაშავებულ გაბრიელ ბატისტუტას მოისაულისებს

თუმცა, რაც იყო, იყო. ფაქტი ისაა, რომ ბოლოხანს „მილანი" სასურველ შედეგებს ვერ აღწევს და ხვალ „პარმას" მასპინძლობს.

„ყველა ძლიერ განვიცდით დღევანდელ კრიზისს და ყველა იმედოვნებს, რომ „პარმასთან" „მილანი" ძველებურად ათამაშდება. კრიზისული პერიოდის დასაძლევად მთელი გუნდი მობილიზებული გახლავთ. რაც შემეხება მე, იტალიური უკვე თარჯიმნის გარეშე მესმის და ახალ-ახალ ტაქტიკურ სქემებს იოლად ვითვისებ. საერთოდ, იტალიაში დღე ისე არ გავა, რამე ახალი არ შევიტყო" — ამბობს კალაძე.

მაგრამ, ხვალინდელი მატჩისთვის, ცხადია, მხოლოდ „მილანი" როდი ემზადება. „გაძეტა დი პარმა" ამ დღეებში თავისი გუნდის მწვრთნელს აფრთხილებდა: „ულივიერი: გახსოვდეს, მძიმე დღეები მოდის". შემდეგ გაზეთი წერდა: „სასიამოვნოა, რომ დაშავებული ფეხბურთელები გამოჯანმრთელდნენ. კერძოდ, დიეგო ფუზერი და სერჟიო კონსეისაუ „სან სიროზე" სათამაშოდ მზად არიან".

„რთული თამაში იქნება" — ამბობს პარმელთა მცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ფრანგი ლილიან ტურამი — „მილანელები ჩვენთან შეხვედრაში „იუვენტუსისგან" ნაწვნევი მარცხის დავიწყებას შეეცდებიან. თუ ჩვენ, გაისად, ჩემპიონთა ლიგაში თამაში ნამდვილად გვსურს, ასეთ შეხვედრებშიც უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე. დიახ, „მილანთან" დიდი ბრძოლა გადაგვხდება. იმედი მაქვს, რომ მოვლენათა ცენტრში მეც ვიქნები".

ტურამის ბოლო წინადადება მის ვერ მოშუშებულ ტრავმაზე მიგვანიშნებს. თავად ფეხბურთელიც ამბობს, რომ არ ეგონა, ამდენად სერიოზულად თუ იყო დაშავებული.

სატურნირო თვალსაზრისით კი, შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდების დაპირისპირებაა. „პარმა" მეოთხეზეა, „მილანი" — მეცხრეზე. თუ „მილანი" გაიმარჯვებს, მათ შორის სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდება, ხოლო პარმელთა გამარჯვების შემთხვევაში კახა კალაძესა და მის თანაგუნდელებს ძალიან გაურთულდებათ საქმე — მეზობლებს (მილანიდან პარმამდე, მატარებელი დაახლოებით ერთ საათში ჩადის) შვიდი ქულით ჩამორჩებიან.

ტურის ცენტრალურ მატჩად კი იტალიაში „რომა" — „ინტერია" მიჩნეული. „რომა" ლიდერია, მეორე ადგილზე მყოფ „იუვენტუსს" 6 ქულით უსწრებს, მაგრამ, ეჭვი არაა, ტურინელთა დაჟინებული დევნა ნერვებს უშლის. ძნელია, როცა იცი, რომ ფეხი არ უნდა გადაგიბრუნდეს და მით უფრო ძნელია, როცა ასეთ დროს ტრავმები წამოგეწევა.

დიახ, ცუდ დროს ცდილობს იღბალი ფაბიო კაპელოს საჩემპიონოდ შემართულ გუნდს ფეხი დაუდოს. თუ გამოცდას უწყობს? თავად განსაჯეთ, რომაელთა ვარსკვლავი, გაბრიელ ბატისტუტა წინა ტურში დაშავდა, ხოლო ოთხშაბათს, იტალიისა და არგენტინის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში ფეხი, ლამის თილისმად ქცეულმა, ფრანჩესკო ტოტიმაც იტკინა. მარჯვენა ბარძაყის დაზიანების გამო მან ვარჯიშები გამოტოვა, თუმცა იმას ვერ დავამტკიცებთ, რომ „ინტერთან" ნამდვილად არ გავა მოედანზე. ამას დაამატეთ ბრაზილიელების, კაფუსა და ემერსონის ტრავმებიც...

და მაინც, ჯერ ერთი, „რომა" ძლიერი გუნდია, მეორეც — ნებისყოფით გამოირჩევა და იცის, რომ უნდა გაიმარჯვოს, მესამეც, შინ თამაშობს და მეოთხეც, „ინტერი" წლეულს დასუსტებულია. თუმცა, მოგეხსენებათ, იტალიურ ფეხბურთში ყველაფერი პირობითია.

„ინტერი" „რომასთან" სათამაშოდ სერიოზულად რომ მოემზადებოდა, თქმა არ უნდა. აი, კარგი მაგალითიც: მილანელები დედაქალაქში ჩასვლას პარასკევს აპირებდნენ (თამაში კვირა საღამოსაა) და რაღაცის გამო ბოლო წამს გადაიფიქრეს — ამ დილით ესტუმრებოდნენ რომს, სასტუმროში ისაუზმებდნენ და სასტუმროსავე მოედანზე წაივარჯიშებდნენ.

„ამ შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე იმიტომ ვამბობ, რომ შედეგი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, კაპელოს რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა, მაგრამ მის განკარგულებაში ვარსკვლავები ასარჩევად არიან და ეს ვარსკვლავები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოგვიგონ" — განაცხადა მილანიდან გასვლის წინ „ინტერის" კოლუმბიელმა მცველმა ივან კორდობამ.

„რომას" მდევარი „იუვენტუსი" უდინეში თამაშობს. „უდინეზე" მე-6 ადგილზეა და ვინ იცის, გულში, ჩუმად რაზე ოცნებობს.

„ლაციო", რომელიც მესამეა და ტოლს არავის უდებს, დღეს, მე-13 ადგილზე მყოფ „ბრეშას" სტუმრობს. „ბრეშას", მოგეხსენებათ, რობერტო ბაჯო გამოუჯანმრთელდა...

ინგლისი

გივი ჯობავაძე

„ლიდსის" იმედი ენდი კოულის დისკვალიფიკაციაცაა

მერე რა, რომ მშრალია...

XXIX ტური

დღეს

არსენალი	ვესტ ჰემი
ქოვენთრი	ჩელსი
დერბი ქაუნთი	ტოტენჰემი
ევერტონი	ნიუკასლი
ლიდსი	მანჩესტერი
ლესტერი	ლივერპული
სიტი	საუთჰემპტონი
მიდლსბრო	ჩარლტონი

ხვალ

იფსვიჩი	ბრედფორდი

ზეგ

სანდერლენდი	ასტონ ვილა

სადღეისო ვითარება

მანჩესტერი	28	20	6	2	65:18	66
არსენალი	28	14	8	6	44:29	50
ლივერპული	26	13	6	7	47:28	45
სანდერლენდი	28	12	8	8	32:27	44
იფსვიჩი	27	13	4	10	39:33	43
ლიდსი	28	12	7	9	41:36	43
ლესტერი	27	12	6	9	29:29	42
ჩარლტონი	28	11	8	9	38:40	41
ჩელსი	26	10	8	8	48:33	38
საუთჰემპტონი	27	10	8	9	32:34	38
ნიუკასლი	27	11	4	12	32:38	37
ტოტენჰემი	28	9	9	10	32:36	36
ვესტ ჰემი	27	8	11	8	35:32	35
ასტონ ვილა	26	8	9	9	28:28	33
ევერტონი	28	8	7	13	30:42	31
დერბი ქაუნთი	28	7	10	11	28:43	31
მიდლსბრო	28	5	12	11	31:35	27
სიტი	28	6	8	14	31:46	26
ქოვენთრი	28	5	8	15	26:48	23
ბრედფორდი	27	3	7	17	17:50	16

მერე რა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" უახლოეს მდევარს თექვსმეტი ქულით ასწრებს, მერე რა, რომ მისი მეტოქის მეკარემ ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში ხავი მორენოს პენალტი აუღო და ნაკრების კარი მშრალად შეინახა... „მანჩესტერ იუნაიტედი" პროფესიონალთა გუნდია და მუდამ მოგებისთვის იბრძვის, თუნდაც იმიტომ, რომ გულშემატკივარი ფულს ნაღდი ბრძოლის სანახავად იხდის და სამი წლის წინანდელი ამბავიც ახსოვს, როცა თითქმის უეჭველი ჩემპიონობა „არსენალმა" ჩამოართვა.

მაგრამ „მანჩესტერს" არ ეყოლება ენდი კოული, რომელმაც გასულ სეზონში „ელანდ როუდზე" ერთადერთი გოლი გაიტანა და მანჩესტერში სამი ქულა წაიღო. ეს, ცხადია, საქმეს ართულებს, მაგრამ გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ სერ ალექს ფერგიუსონს ოდენ კოულის იმედი ჰქონდეს. ფეხბურთელის არყოფნის მიზეზი დისკვალიფიკაციაა.

დევიდ ოლირის „ლიდსს" პრემიერლიგაში ზედიზედ ექვსი მატჩი არ წაუგია და ჩემპიონთა ლიგაშიც წინ მიიწევს. ამიტომაც სტუმართა უდავო ფავორიტად მიჩნევა შეცდომა იქნება.

საშინელი სირცხვილი ჭამა „არსენალმა" „ოლდ ტრეფორდზე". დიდად ამბიციურმა გუნდმა „მანჩესტერთან" 1:6 წააგო და ახლა ნამუსის მოწმენდა თავმოყვარეობის ამბავია. „ვესტ ჰემიც" არაა ის მეტოქე, კაცმა თქვას, ამას როგორ მოვუგებთო. მით უფრო, რომ სტუმრებს ჯო კოული და მაიკლ კარიკი ალბათ არ ეყოლებათ და, რაც მთავარია, პაოლო დი კანიოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

პრობლემები არსენ ვენგერსაც შექმნია, რაკი მარტინ კიოუნს და ბრაზილიელ ედუს ტრავმები აწუხებთ, სამაგიეროდ, ტონი ადამსი მომჯობინებულა და ესეც რომ არა, უკვე ხომ ვთქვით, „ვესტ ჰემის" დამარცხება, "არსენალისთვის" თავმოყვარეობის ამბავიაო.

ლიგის თასის მომგები „ლივერპული" „ფალბერტ სტრიტზე" „ლესტერს" ეწვევა. აქ საინტერესო სტატისტიკაა: „ლივერპული" პრემიერლიგაში წლეულს არ დამარცხებულა, ხოლო მასპინძლებს შვიდიდან ხუთი შესვედრა წაუგიათ. ამასთანავე „ლესტერის" კარს ტრავმის გამო ვერ დაიცავს მეკარე ტიმ ფლაუერსი. შესაძლოა, „ლივერპულის" სასტარტო შემადგენლობაც არ იყოს უძლიერესი, რადგან ვარაუდობენ, რომ ჟერარ ულიე სანაკრებო შეხვედრიდან მობრუნებულ ნიკ ბარმბის და ემილ ჰესკის სათადარიგოდ იყოლიებს.

„ლესტერზე" უკეთესი შედეგი არა აქვს „ასტონ ვილას". ბირმინგემელებს ბოლო რვა თამაშიდან ექვსი წაგებული აქვთ მაშინ, როცა მათი მეტოქე „სანდერლენდი" მშობლიურ სტადიონზე სეზონში ოდენ ერთხელ დამარცხებულა. სტუმართა იმედი უპირველესად „რივერ პლეიტიდან" გადაბირებული არგენტინელი ხუან პაბლო ანხელია, თუმც მას ჯერ ინგლისური გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, სანდერლენდელი ბომბარდირი კევინ ფილიპსი უკვე თოთხმეტი გოლის ავტორია.

აუტსაიდერი „ბრედფორდი" იფსვიჩის „პორტმან როუდზე" მეტად მწირი მარაგით ჩადის. სტენ კოლიმორის ყოფილ გუნდს სეზონში მხოლოდ სამი თამაში მოუგია და 2001 წელს მხოლოდ ამდენივე გოლი გაუტანია. ამას გუნარ ჰალეს და გარეთ უოლის ტრავმები დავუმატოთ და უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ ვინაა ფავორიტი. თუმც ერთი დანაკლისი „იფსვიჩსაც" აქვს. მისი საუკეთესო მეგოლე მარკუს სტუარტი დისკვალიფიცირებულია.

აბა, ტერი ვენეიბლზის გაწვრთნილ გუნდს პრემიერლიგიდან გავარდნა როგორ უნდა ეშუქრებოდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — „მიდლსბროს" ერთი ნაბიჯი აშორებს კასავარდნთა სიიდან და „ჩარლტონ ატლეტიკთან" მატჩის წინ უგო ეჰიოგუ, კოლინ კუპერი და კეიტ ონილი დისკვალიფიცირებული ჰყავს. „ჩარლტონს" ინგლისის ნაკრების დებიუტანტი, 31 წლის კრის პაუელი არ ეყოლება, რომელსაც კუნთი დაჭიმვია, ხოლო შვედი თავდამსხმელი მათიას სვენსონი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

შესაძლოა, მოედანზე დაბრუნდეს პოლ გესქოინი. თავის დროზე თბილისში ქართველთა შემარცხვენელ გაზას ძველისძველი ტრავმა მოურჩენია და „ნიუკასლის" დასახვედრად ემზადება. გესქოინის მოლოდინს არ იზიარებენ დანკან ფერგიუსონი და ნიკლას ალექსანდერსონი, რადგან ორივე ტრავმირებულია. სტუმართაგან კირონ დაიერი საოპერაციო მაგიდაზე დასაწოლად ემზადება, ხოლო უორენ ბარტონს ყვითელი ბარათები მომრავლებია.

გერმანია

ვანო ოქროპირიძე

იცდის ვილი, თამაშობს ცქიტიშვილი?!

კიკერი: ფინკე, თვალები სად გაქვს?

„სიტუაცია თუ არ შეიცვალა, მკაცრ გადაწყვეტილებას მივიღებ — შვიდ ფეხბურთელს საერთოდ მოვკვეთ გუნდიდან. ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ, ასე თუ გააგრძელებენ, ინანებენ" — „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელის, ბერტი ფოგთსის ამ განცხადებამ ხუთშაბათს გერმანული საფეხბურთო წრეები ფრიად გააკვირვა.

1:2 სტუმრად „ჰანზასთან", 1:3 შინ „კოტბუსთან" — ფოგთსის გუნდმა ბოლო ორ ტურში ქულაც ვერ აიღო, თანაც ვისთან? აუტსაიდერებთან. მწვრთნელიც ამან აღაშფოთა.

რობსონ პონტე, პაულო რინკი, იორგ რეები, თომას ბრდარიჩი, პასკალ ცუბერბიულერი, ადამ მატიშეკი და ფრანკ ჯურიჩი — ფოგთსის რისხვა ამ ფეხბურთელებს დაატყდათ თავს.

ეს ხუთშაბათს იყო, პარასკევს კი ფოგთსმა კონკრეტული ნაბიჯი გადადგა — შვეიცარიელი მეკარე პასკალ ცუბერბიულერი გუნდიდან გაუშვა. „იგი „ლევერკუზენში" აღარ ითამაშებს" — განაცხადა მწვრთნელმა. მიზეზი „ჰანზასთან" და „კოტბუსთან" მისი საზიზღარი თამაში გახლავთ. „ცუბი" გუნდში სეზონის ბოლომდე ივარჯიშებს, ხელფასსაც მიიღებს, თუმცა ლევერკუზენელთა კარს ვედარ დაიცავს.

ხვალ „ლევერკუზენი" „მიუნხენ 1860"-ს სტუმრობს, დაცვის ორი ბურჯის — ლუსიოსა და ნოვოტნის გარეშე. პირველი ბრაზილიის ნაკრებშია და თანაკლუბელებს, ალბათ, ვერ ჩაუსწრებს, ნოვოტნი კი დაშავებულია. მიუხედავად ამისა, ბერტი ფოგთსის შეგირდები მიუნხენური იღბლიანი სერიის გაგრძელებას აპირებენ. ბოლო სამი

ბერტი ფოგთსი

წელია, „ლევერკუზენს" „მიუნხენ 1860"-თან „ოლიმპიაშტადიონზე" ქულაც არ დაუკარგავს.

„ბაიერნი" როსტოკში „ჰანზასთან" ჩადის. ბავარიელებს დღეს დიდი ჯაფა დაადგებათ სამი ქულის მოსაპოვებლად. მასპინძელთა მეკარე მარტინ პიკენჰაგენი მართლაც რომ ჩინებულ ფორმაშია, სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ „ჰანზამ" ბოლო ორი მატჩი მოიგო და გასავარჯნ ზონას თავი დააღწია. „ბაიერნს" როსტოკში ექვსჯერ უთამაშია და მხოლოდ ერთხელ, 1991-92 წლების სეზონში წაუგია. მიუნხენელებს გერმანიის ნაკრებიდან ტრავმირებულნი დაუბრუნდნენ მეჰმეთ შოლი და იენს იერემისი, რომელთა თამაშიც დღეს საეჭვოა. „ისინი გუნდს ასულდგმულებენ და თუ არ მომჯობინდნენ, ძალიან გაგვიჭირდება" — ამბობს მიუნხენელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

გელზენკირხენს „ჰამბურგი" სტუმრობს, ოღონდ ჰანადირის, გროთისა და იებოას გარეშე. მათ ტრავმები აწუხებთ. ისე, „ჰამბურგის" დანაკლისი „შალკესთან" რა მოსატანია, ბოლო ტურებში ჩემპიონობის მაძიებლები ლამის სარეზერვოებს თამაშობენ და ქულას ქულაზე კარგავენ. ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ტონი, კამპუისი და ჰელდი დაშავებულნი არიან, აიგენრაუხს გრიპი აქვს, ნემეცი და ვან ჰოგდალემი კი დისკვალიფიცირებულნი არიან. ერთი სიტყვით, „შალკეს" მწვრთნელ ჰუუბ სტევენსს პრობლემები მოსძალებია.

„როგორც ჩანს, ამდენი პრობლემისთვის მზად არ აღმოვჩნდით, თუმცა საკუთარ თავს უნდა ვძლიოთ და ეს წინააღმდეგობები გადავლახოთ. ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბს სხვა უფლება არც აქვს" — ამბობს სტევენსი.

დაუჯერებელია, „ჰერტას" 22 თამაშში 9 წაუგია, მაგრამ ჩემპიონობის კანდიდატად მოიხსენიება. ბერლინელები ლიდერს (თუ გუშინ „დორტმუნდმა" „აინტრახტი" არ დაამარცხა) ექვსი ქულით ჩამორჩებიან. მაგრამ ერთი მატჩი თადარიგში აქვთ — „უნტერჰახინგთან" გადადებულ საშინაო შეხვედრას 7 მარტს გამართავენ. მანამდე კი, დღეს, არჩილ არველაძის „კიოლნს" უნდა ესტუმრონ.

ქართული „ფრაიბურგი" ბრემენში ჩადის, სადაც „ვერდერი" ელის. იქნება თუ არა ლევან ცქიტიშვილი სტუმართა ძირითადში? ეს კითხვა გერმანულმა გაზეთმა „კიკერმა" წამოჭრა, რომელმაც ხუთშაბათს „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკე გააკრიტიკა.

„რატომ იცდის ვილი და თამაშობს ცქიტიშვილი? — კითხულობს „კიკერი" და აგრძელებს — ამ ფეხბურთელებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ცქიტიშვილი ვილიზე ნელია, თანაც ქართველი მხოლოდ მარცხენა ფეხით თამაშობს, მისგან არ უნდა ველოდოთ მთელი ფლანგის გაკონტროლებას, გარღვევებსა და ჩაწოდებებს, რაც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრ ტობიას ვილის ეხერხება. იგი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია."

ვერ გეტყვით, ყოველივე ამის შემდეგ ათამაშებს თუ არა ფინკე ცქიტიშვილს ძირითადში. „ფრაიბურგს" დღეს „ვერდერი" ერთი სიახლით დაუხვდება. კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელ თომას შაფს კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელა და გასამრჯელოც გაუზარდა. სხვა პრობლემები მწვრთნელებს არ აწუხებთ, ორიოდე დღის წინ ფრაიბურგელი ლარს ჰერმელის მძიმე ტრავმას თუ არ ჩავთვლით.

XXIV ტური

დღეს	
ჰანზა	ბაიერნი
კოტბუსი	ლაუტერნი
ვერდერი	ფრაიბურგი
შტუტგარტი	ვოლფსბურგი
უნტერჰახინგი	ბოხუმი
კიოლნი	ჰერტა
ხვალ	
მიუნხენ 1860	ლევერკუზენი
შალკე	ჰამბურგი
გუშინ	
დორტმუნდი	აინტრახტი

სადღეისო ვითარება

ბაიერნი	23	13	4	6	45:25	43
შალკე	23	12	5	6	43:25	41
დორტმუნდი	23	12	5	6	35:28	41
ლევერკუზენი	23	12	4	7	40:28	40
ჰერტა	22	12	1	9	44:39	37
ლაუტერნი	23	11	4	8	32:30	37
ფრაიბურგი	23	9	7	7	30:24	34
ვერდერი	23	9	7	7	32:32	34
ვოლფსბურგი	23	8	8	7	42:31	32
მიუნხენი	23	8	7	8	30:37	31
კიოლნი	23	8	6	9	40:37	30
ჰანზა	23	8	4	11	22:34	28
ჰამბურგი	23	8	3	12	45:45	27
აინტრახტი	23	8	3	12	29:40	27
კოტბუსი	23	8	2	13	29:39	26
უნტერჰახინგი	22	6	6	10	21:35	24
შტუტგარტი	23	5	7	11	31:37	22
ბოხუმი	23	5	5	13	19:43	20

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

ვისთან დარჩება დემეტრაძე?

XXV ტური

დღეს	
რეალი	ბარსელონა
მალიორკა	დეპორტივო
სოსიედადი	რაიო ვალეკანო
სარაგოსა	ვალენსია
ხვალ	
ესპანიოლი	ალავესი
სელტა	ოვიედო
ოსასუნა	ვალიადოლიდი
ვილიარეალი	მალაგა
ლას პალმასი	ბილბაო
ნუმანსია	რასინგი

სადღეისო ვითარება

რეალი	24	16	4	4	54:27	52
დეპორტივო	24	14	6	4	47:26	48
ვალენსია	24	13	6	5	39:17	45
ბარსელონა	24	13	4	7	51:34	43
ვილიარეალი	24	11	5	8	32:27	38
მალიორკა	24	10	8	6	33:31	38
რაიო ვალეკანო	24	8	10	6	43:38	34
ალავესი	24	10	4	10	34:31	34
ბილბაო	24	9	6	9	33:36	33
ვალიადოლიდი	24	7	11	6	28:27	32
ესპანიოლი	24	9	4	11	31:28	31
მალაგა	24	9	4	11	37:38	31
ლას პალმასი	24	9	4	11	25:41	31
სარაგოსა	24	7	9	8	35:34	30
სელტა	24	7	8	9	29:35	29
ოვიედო	24	8	3	13	31:45	27
ნუმანსია	24	6	5	13	24:41	23
სოსიედადი	24	5	6	13	26:50	21
რასინგი	24	5	5	14	28:41	20
ოსასუნა	24	4	8	12	25:38	20

„ქართულმა" „რეალ სოსიედადმა" სეზონი ხავიერ კლემენტესთან ერთად დაიწყო, მერე პერიკო ალონსოსთან ერთად განაგრძო და ახლა ჯონ ტოშაკთან ერთად წევს მძიმე უღელს.

ტოშაკი თითქოს ურიგოდ არ ირჯება — რა ვუყოთ, რომ წინა ტურში „ბარსელონასთან" წააგო, აბა, „ბარსასთან" ვის არ წაუგია, მაგრამ ცნობა მოვიდა, სანსებასტიანელებს მარიუშ ლეკეტუშის გადაბირება სურთო. ეს ის ლეკეტუშია, რომელსაც „სტიაუაში" თამაშისას ჩემპიონთა თასი მოუგია (სხვათა შორის, ფინალში „ბარსელონას" მოუგო), ბოლო დრომდე რამდენიმე ბუქარესტულ კლუბს წვრთნიდა და ახლა ოვიედოში ისვენებს. რატომ ოვიედოში? ლეკეტუში ერთ დროს იქაც თამაშობდა და ამ ქალაქში სახლიც აქვს. მოკლედ, მოლაპარაკება წარმატებით თუ დასრულდა, ჩვენებური გიორგი დემეტრაძის გუნდს რუმინელი ჩაიბარებს.

მაგრამ ეს მაინც მომავლის საქმეა. იქამდე „სოსიედადს" „რაიო ვალეკანოს" მასპინძლობა უწევს. ცხადია, „რაიო" „ბარსა" არაა, მაგრამ არც ისე ხელწამოსაკრავი გუნდია — უეფას თასის მეოთხედფინალისტია და პრიმერადივიზიონშიც ბოლოს ერთი თვის წინ დამარცხდა.

„ვალენსიაში" აღზრდილი და დავაჟკაცებული ხავიერ ფარნოსი თავისი პირველი კლუბის მესვეურებზე განაწყენდა, სათვალავში არ მაგდებენო და მილანის „ინტერში" გადაბარგდა. ეს ძველი ამბავია, ახალი კი ისაა, რომ ფეხბურთელი სეზონის დასრულების შემდეგ შესაძლოა, ისევ „ვალენსიას" დაუბრუნდეს, რადგან „ინტერში" ძალიან უბედურად გრძნობს თავს. ამას ესპანური პრესა ამტკიცებს. „ვალენსიას" დღეს გასვლითი შეხვედრა აქვს სარაგოსაში, რომლის გუნდიც წინა სეზონში მეოთხე იყო, ხოლო ამ სეზონში ძლივს აცილდა სეგუნდა დივიზიონში გასავარდნთა ზონას. ისე, „ძლივს" ცუდი სიტყვაა, რადგან ბოლო ტურებში „სარაგოსას" თამაშს საკმაოდ კარგიც ეთქმის.

წინა ტურში „მალიორკამ" მოულოდნელად წააგო სანტანდერში, თუმცა „რასინგი" — „ბარსელონას" მატჩის შემდეგ (4:0) გასაოცარი ალბათ, არაფერია. ახლა „მალიორკას" ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე ელის, „დეპორტივოს" სახით, მაგრამ კუნძულელები შინ ძალიან კარგად რომ თამაშობენ, ამის დავიწყებაც არ ივარგებს, მაგრამ არც ხავიერ ირურეტაა გულხელდაკრეფილი და დიეგო ტრისტანს, რომელიც წინა ტურში „რეალთან" შეცვლაზე შეიყვანა და მანაც ქულის მომტანი გოლი გაიტანა, ახლა სასტარტო შემადგენლობაში ყოლას უპირებს.

„ესპანიოლს" ბოლო სამ შეხვედრაში ოდენ ერთი ქულა აუღია და ტრავმის გამო არგენტინელი თავდამსხმელი მარტინ პოსეც არ ეყოლება, თან ამ ტურში მეტოქედ უეფას თასის მეოთხედფინალისტი „ალავესი" ჰყავს. ისე „ალავესის" სისუსტე სწორედ მისი მეოთხედფინალისტობაა, რადგან შუა კვირაში საევროპო მატჩი ელის და ძალის დაზოგვა მართებს.

„რეალთან" გატანილი გოლის მერე დიეგო ტრისტანმა ძირითადში ადგილი გაინაღდა

ერთნაირ დღეში არიან, „ლას პალმასი" და ბილბაოს „ატლეტიკი", ორ-ორი ფეხბურთელი ჰყავთ დისკვალიფიცირებულნი: მასპინძლებს ანხელი და რამონი, ხოლო სტუმრებს იჩიგო ლარაინსარი და ხოსება ეჩებერია. ბასკთა დანაკარგი უფრო სერიოზულია, თუმცა კანარელთა მეცამეტე ადგილი უფრო სახიფათოა, მით უფრო, რომ „ლას პალმასმა" ბოლო სამი შეხვედრა წააგო.

ზემოთ „რასინგი" ვახსენეთ, რომელსაც აუტსაიდერობის მიუხედავად „ბარსელონას" და „მალიორკას" დამარცხებაც შეუძლია დაიკვეხნოს. ჰოდა, რაა „ნუმანსია", არანაკლებ წყალწაღებული გუნდი, რომელსაც თითო-ოროლა მნიშვნელოვანი გამარჯვებაც არა აქვს.

ჩვენთვის საინტერესო აქ ისაა, რომ თუ „რასინგი" „ნუმანსიას" დაამარცხებს, ხოლო „სოსიედადი" „რაიო ვალეკანოს", დემეტრაძის გუნდი სახიფათო ზონას ოდნავ ასცდება.

შეუძლებელი არაფერია!

მიაჩნია „სვენსაციად“ ერიკსონს



REUTERS ბორბინგგმიდან

ერიკსონის ინგლისური და ბექემის სამკლაურიანი დებიუტი: ნაკრების ახალი კაპიტანი ესპანელი ენრიკე ფერნანდესის წინააღმდეგ

ომისშემდგომი ინგლისის ნაკრების ყველა მწვრთნელი და მათი სადებიუტო მატჩები

სერ უოლტერ უინთერბოთომი (1946-62)
28.09.1946 ჩრდ. ირლანდია — ინგლისი 2:7

სერ ალფ რამსეი (1963-74)
27.02.1963 საფრანგეთი — ინგლისი 5:0

დონ რიკი (1974-77)
30.09.1974 ინგლისი — ჩეხოსლოვაკია 3:0

რონ გრინვუდი (1977-82)
07.09.1977 ინგლისი — შვეიცარია 0:0

ბობი რობსონი (1982-90)
22.09.1982 დანია — ინგლისი 2:2

გრეგ ტეილორი (1990-94)
12.09.1990 ინგლისი — უნგრეთი 1:0

ტერი ვენეიბლზი (1994-96)
09.03.1994 ინგლისი — დანია 1:0

გლენ ჰოდლი (1996-99)
01.09.1996 მოლდოვა — ინგლისი 0:3

კევინ კიგანი (1999-2000)
27.03.1999 ინგლისი — პოლონეთი 3:1

როგორც ხედავთ, სვენ გორან ერიკსონის თითქმის ყველა წინამორბედს წარმატებული დებიუტი ჰქონია. ერთადერთი, ვინც პირველივე მატჩში დამარცხება იწვნია, სერ ალფ რამსეი იყო. არადა, სამ წელიწადში ამ კაცმა ფეხბურთის სამშობლოს მსოფლიოს ჩემპიონობა მოაპოვებინა...

ორი დღე დასჭირდა ინგლისის ნაკრების ახალ შვედ თავკაცს, რათა ამ გუნდის ლამის შვიდთვიანი მოუგებელი სერია შეეწყვიტა. ჰოდა, ეიფორიამ მოიცვა ფეხბურთის სამშობლო, ეს რა მწვრთნელი გვიშოვიაო. მედიასა და სპეციალისტებს არც თავად ფეხბურთელები ჩამორჩნენ და სვენ გორან ერიკსონს, რომლის დებიუტიც გაზეთმა „სანმა“ „სვენსაციურად“ მონათლა, ხოტბა არ მოაკლეს.

„ვერც ვიჯერებ, ისე იოლად აღწევს მისი აზრები ჩვენამდე — ამბობს ნაკრების ახალი კაპიტანი დევიდ ბექემი და შვედის საიდუმლოებაში ჩაწვდომას ცდილობს — მისი სტილი შეიძლება ასე შეფასდეს: შეუძლებელი არაფერია. ამ კაცს სულ ორი დღე ჰქონდა ესპანელების წინააღმდეგ მოსამზადებლად და ეს მცირე დრო მაქსიმალურად გამოიყენა. რაც მთავარია, მან იოლად მოხსნა ნერვული სიტუაცია და გუნდში არსებული რაღაც-რაღაც არასაფეხბურთო გაუგებრობებიც მოაწესრიგა“.

მანჩესტერელი ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ ერიკსონის ერთ-ერთი ძლიერი თვისება უმნიშვნელოვანესი პრობლემის წინ წამოწევა გახლავთ: „ჰოდლის და კიგანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მათი გაუთავებელი საუბრების მერე ჩვენთვის ბევრი რამ გაურკვეველი რჩებოდა. თან ისინი ხშირად ფეხბურთელებს ერთმანეთს ან წარსულის ცნობილ ოსტატებს ადარებდნენ. ახალი მწვრთნელი კი ჯერ სათითაოდ გვესაუბრა, მერე კი ერთად შეგვყარა და ზუსტად აგვიხსნა, ჩვენგან რას ითხოვდა. და ეს, ვიმეორებ, ორ დღეში მოასწრო. შედეგად, როცა მოედანზე გავედით, ყველამ ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა, ხაზებს შორის კავშირიც დეტალურად იყო განხილული და რაც მთავარია, ამას შვედმა მეტად იოლად მიაღწია“.

რაც შეეხება თავად ესპანელებთან მატჩს, ბექემი მას ასე აღწერს: „პირველი 20 წუთი ბურთი ვერ დავიჭირეთ, რადგან სტუმრები ჩვენი თამაშის ჩაშლის გარდა არაფერზე ფიქრობდნენ. მერე კი მეტოქე ვაიძულეთ, ჭიდაობის ნაცვლად ფეხბურთი ეთამაშა. ამას რომ მივაღწიეთ, შედეგიც მოვიდა, პირველი გოლის მერე კი უპირატესობა ხელიდან აღარ გაგვიშვია“.

გავალთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე? ინგლისში ნომერ პირველ კითხვას ბექემი ასე პასუხობს: „ჯერ უახლოესი ორი მატჩის უცილობლად მოგება გვჭირდება. იმედია, ასეც იქნება, მით უმეტეს, რომ იმ თამაშებისთვის ერიკსონს ჩვენს მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო ექნება. თუ ეს ფორმა მანამდე შევინარჩუნეთ, ვფიქრობ, ფინეთთან „ენფილდზე“ და ალბანეთთან ტირანაში პრობლემები არ უნდა შეგვექმნას“.

რატომ გამოცვალა შვედმა ახალი კაპიტანი პირველი ტაიმის მერე? „მან გაითვალისწინა, რომ „იუნაიტედს“ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი მატჩი ელის და დასვენების საშუალება მომცა“.

თამაშის შემდეგ დიდად შეგაქოთო — ესაც ჰკითხეს ბექემს. „არც ისე კარგი იყო, მხოლოდ ეს გვითხრა. ვატყობ, ეგ ისეთი კაცია, სიტყვების ბრახუნი არ უყვარს და ზრდილობის გულისთვის არაფერს ამბობს. რახან თქვა, კარგიაო, ესე იგი, ნაღდად კმაყოფილი დარჩა“.

გიგა კოგანიძე

გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
გმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de

პროპოლიტური მიმოხილვა

ეიფორია

ბოლივიის მაღალმთიან სოფელ მონტეტეტიოში ასასვლელად ადამიანს უახლოესი დაბიდან მიხვეულ-მოხვეულ-გადასაჩეხი 70 ნისლიანი კილომეტრის აჯანჯღარება სჭირდება. მაგრამ, ჩვენ რად გვჭირდება მონტეტეტიოში ასვლა? არაფრად.

იქ, მონტეტეტიოში, სოფლის განაპირას, სხვათაგან გამორჩეული სახლი დგას. თუ მონტეტეტიოს მაცხოვრებელთა უმეტესობა შუქს თავისი ერთსართულიანი საცხოვრებლის მხოლოდ ერთ ოთახში ანთებს, ამ ოთხსართულიან სახლში ყველა ოთახი განათებულია და ყველა ოთახში ტელევიზორი ციმციმებს. სახლი სენიორ სანტიაგო ურიკას ეკუთვნის, ხოლო ოთახებში ტელევიზორებს მისი თორმეტი შვილი, ოცდასამი შვილიშვილი, სამოცდასამი მამიდაშვილი, ორმოცდაშვიდი დეიდაშვილი, ორმოცდათოთხმეტი ბიძაშვილი და ჩვიდმეტი მეზობელი მისხდომიან.

ტელევიზორში დიდი მოვლენაა: უცხოური ფეხბურთი უცხოური გუნდების მონაწილეობით. ერთ-ერთ უცხოურ გუნდში კი სენიორ ურიკას მეცამეტე შვილი, სანტიაგო ურიკა მთლად უმცროსი (უფროს ვაჟებსაც სანტიაგოები ჰქვიათ) თამაშობს. ეს მისი სადებიუტო მატჩია კლუბ „ძანძაროს“ შემადგენლობაში. განათებულ ოთახებში ძალიან ნერვიულობენ.

აცხადებენ „ძანძაროს“ შემადგენლობას: ვიტო, სანტინო, ფრედო, მიქელე, კალოჯერო, სი, კრუსიფიციო, სანტიაგო ურიკა, კარლიტო, ზეითუნ ზეთანი, მაზილლა.

ალბათ, მიხვდით, გუნდში ორი ლეგიონერია, სენიორ სანტიაგო ურიკას ვაჟი და დედით ჰუგენოტი, ხოლო მამით ბედუინი ზეითუნ ზეთანი — ვარსკვლავთ ვარსკვლავი, „ცბიერი აქლემი“.

ალბათ, ისევ მიხვდით, რომ განათებულ ოთახებში კიდევ უფრო ნერვიულობენ.

თამაში დაიწყო. მოწინააღმდეგემ „ძანძაროს“ პრესინგი შესთავაზა, ამის შესახებ კომენტატორიც ალაპარაკდა, მაგრამ სენიორ სანტიაგო ურიკამ უცხოური ენა ცუდად იცის და ეგონა, რომ მოწინააღმდეგემ მსაჯს ქრთამი შესთავაზა. მალე სენიორ ურიკა ამაში დარწმუნდა — მისი ვაჟი წაიქცა, მსაჯმა კი ჯარიმა არ დანიშნა.

თამაში გახურდა. ზეითუნ ზეთანმა კალოჯეროს ბურთი სწორად ვერ მიაწოდა. სენიორ ურიკა უკმაყოფილოდ შლის ხელებს. იგივე ჟესტს იმეორებს ოთახებში შეკრებილი 216 ადამიანი.

თამაში გახურდა. სანტიაგო ურიკა მთლად უმცროსმა კარლიტოს სწორად გაუგორა ბურთი. ოთახებში შეკრებილი 216 ადამიანი აღტაცებულ შეძახილს გამოსცემს. სენიორ ურიკა იღიმის, მაგრამ არ ეტყობა.

თამაში აიწეწა. ზეითუნ ზეთანი პასს აწვდის მაზილლას. მაზილლა ხტება, ჰაერში ორ მეურვეს ცდება, ჰაერშივე სწორდება, ჰაერშივე იხედება ბურთისკენ, ჰაერშივე იხედება კარისკენ, ამასობაში მას ეჯახება მესამე მეურვე, მაზილლა ყირავდება, მაგრამ ჰაერშივე სწორდება, არტყამს და... აცილებს. 216 ადამიანი და მთელი სტადიონი მას აგინებს. სენიორ ურიკა ხელებს უკიდეგანოდ შლის და ამბობს: ნწ, ნწ, ნწ...

თამაში აკივლდა. სანტიაგო ურიკა ვიღაცას ფეხებში უვარდება. ის ვიღაცა იგრიხება. 216 ადამიანი სენიორ ურიკასკენ იხედება. სენიორ ურიკა ღირსეული ბარიტონით ამბობს: სწორია, ეგრეა საჭირო. 216 ადამიანი თავს აქნევს და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უყურებს.

თამაში ისტერიკაშია და უცებ... მწვრთნელი სანტიაგო ურიკას ცვლის. 216 ადამიანი უკმაყოფილო ხმას გამოსცემს, დაახლოებით ასე: ეეეე, ოლონდ ბოლივიურად. სენიორ ურიკა ირონიულად ანუ ტუჩის ცალი კუთხით იღიმება.

გადის ოთხი წუთი... ზეითუნ ზეთანი ჯარიმას არტყამს და გოლი გააქვს.

— მაგას თამაშიდან გატანა არ შეუძლია და... — ამბობს ვიღაცა 216-დან.

ბაბუნა ძედია

დავკარგე იუმორის გრძნობა. მპოვნელი დასაჩუქრდება

...და მერე 216 ადამიანი მონტეტეტიოს ქუჩებში გავიდა

გიო ახვლედიანის

სვეტი

საქართველო რუსეთში

რას აკეთებენ რუსები?

ხვალ რაგბია კრასნოდარში და საქართველოს ნაკრები ლამის მთელი კვირაა, მარტვილობს: ჯერ ვიზების ამბავი, მერე ჩვენი გუნდისადმი უსინდისო მოჰყრობა, ვარჯიშის საშუალების წართმევა, ძლივს ბინა, ისევ ვიზების ამბავი და თამაშის დრომაც მოაწია.

რას აკეთებენ?

მე თუ მკითხავთ, რასაც ყოველთვის აკეთებდნენ, იმას აკეთებენ. გასაკვირი ამაში არაფერია, აღმაშფოთებელი — ბევრი. თავიდათავი კი ის არის, რომ რუსებს აუცილებლად უნდათ ჩვენი დამარცხება. ეს გასაგებია. რუსებს, არა თუ რაგბში, ზოგადადაც ყველას დამარცხება უნდათ ამ პატარა დედამიწაზე და რა გასაკვირია, ქართველ მორაგბეებს ჟანგბადი გადაუკეტონ?

ბორჯღალის ხალხმა ორჯერ დაიჭირა რუსეთი თბილისში და ორჯერვე მოუგო.

ახლა რუსები მოძლიერებულან და მოგება სწადიათ, რაც სპორტული თვალსაზრისით მისასალმებელია. მისასალმებელი არ არის მათი ქცევა მინდორსგარეთა ამბავში და რა სამწუხაროა, რომ კეთილშობილურ რაგბის რუსი უფროსები, რუსის ჩინოვნიკებს და პოლიტიკოსებს აჰყოლიან საქართველოს მოგუდვის საკითხში.

ისე, კოჭებში კი ეტყობოდათ.

თბილისში ბოლო შეყრისას დერეფნის გაკეთება არ იკადრეს, რაიც რაგბის კაცობის წესია.

ამის ახსნა ახლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ჩვენებისა ვიკითხოთ.

ის რა არის, რომ ერთს რომელსამე პროვინციულ რუსულ ქალაქის, ერთ ტილიან „ინტურისტის“ ფოიეში დაჯავშნულ ნომრების ვერმიმღებ საქართველოს ნაკრებს ეუბნებიან, აქ ფეხებში გვებლანდებით, ყინვაში მოიცადეთ, სანამ თქვენი საკითხი გაირკვევაო.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს! ყველაზე ამაყ და ღირსეულ ქართულ გუნდს... სტადიონზეც არ უშვებენ სავარჯიშოდ.

გზა ორია: ქუდის დახურვა, წამოსვლა და ჩივილი და გასვლა და მაინც თამაში.

მაინც თამაში — ყველა ამბავში ესა სჯობს. თუნდაც ბორჯღალოსანთა ხასიათის, მათი ჯანის და ჯიგრის გამო.

რა მოვთხოვოთ ძია კლოდის ბიჭებს?

რანიც გახლავან, ის იყვნენ, რაც იციან, იმას მისდიონ და ყველაფერი კარგად იქნება.

არ მოვთხოვოთ, რომ თუ რამე წაგვიხდა, დერეფანი არ გავუკეთოთ. არ გვეკადრება. თუმცა, ესაც თვითონ უკეთ იციან და ამაზე ფიქრი ახლა არ შეიძლება. ყველა ამბავში საქართველო მართალი იქნება.

საქართველო საომრად გადის. ჩვენ შორს ვართ. ჩვენ აქ ვიყვირებთ, ეგებ მივაწვდინოთ ხმა:

საქართველო, წინ!

შიშველი ხელებით დათვის ბუნაგში

გორჯღალოსანი შეიძლება დამარცხდეს, მაგრამ არ შეშინდება

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

cpp — რუსეთი - საქართველო — სრკ

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 14 საათი

დიდზე დიდი მატჩია ხვალ კრასნოდარში. „ევროპის ერთა თასის“ მესამე ტურში მესამეადგილოსანი რუსეთი მეორე საფეხურზე მოკალათებულ საქართველოს ნაკრებს მასპინძლობს. მატჩი „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება და ჩვენი დროით სამ საათზე დაიწყება.

ეს რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება, ეჭვი არავის ეპარება. მატჩის სიმწვავეს მეტოქეთა საერთო სარაგბო წარსული და ეროვნული ასპექტიც განაპირობებს. ერთი კია, რაგბიში არსებული ფასეულობები ყოველგვარ გრძნობაზე მაღლა უნდა დადგეს, რაც მხოლოდ ორივე გუნდისა და ფრანგი მსაჯის პრიუვოს ძალისხმევით თუ მიიღწევა. ქართული სარაგბო თემი იმედიანადაა განწყობილი. კრასნოდარში ქართველი „ბორჯღალოსნების“ ერთადერთი მიზანი გამარჯვება იქნება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ბოლო წლებში ხომ არავის უნახავს დაბნეული და შეშინებული „ბორჯღალოსნები“. თუ მეტოქეთა შესაძლებლობებს გადავხედავთ, შანსები თანაბარია. საქართველო რუსეთს თუ არ სჯობს, ნაღდად არ ჩამოუვარდება ღონით, ტაქტიკით და თავდადებით. სლავთა მოტივაციას კი ის ფაქტი აძლიერებს, რომ ურთიერთშეხვედრების ჯამური ანგარიში 2:1-ია ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ რუსები შინ პირველად გვეთამაშებიან და ალბათ ყველაფერს იღონებენ სერიის გასათანაბრებლად.

იყო დრო, ქართული და რუსული რაგბის თემები ოცდაათი წლის მანძილზე ერთად იღვწოდნენ. საკლუბო დონეზე რამდენჯერ შევეჯიბრეთ ერთმანეთს და როგორია ჯამური ანგარიში, ამაში ჩაძიება შორს წაგვიყვანს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ვაკეში თბილისის „ლოკომოტივი“ რუსულ კლუბებს ბდღვირს ადენდა, ქუთაისის „აია“ ერთიმეორეს მიყოლებით იმარჯვებდა და საბჭოეთის მასშტაბით შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს. ეს გახლავთ ისტორია, რომელიც არასდროს მიეცემა დავიწყებას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთიც ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და აქედან დაიწყო რუსეთ-საქართველოს სანაკრებო მატჩების მცირე მატიანე.

პირველად რუსეთი საქართველოს 1993 წლის 25 მაისს დაუპირისპირდა. პოლონეთის ქალაქ სოპოტში 1995 წლის მესამე მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი ტარდებოდა. მაშინ ჩვენს ქვეყანაში გაგანია ომი იყო, ეკონომიკური კრიზისი. რაგბის კავშირს არ ჰყავდა პრეზიდენტი, ჩვენი ნაკრები ნასესხები ფულით, მოუმზადებელი გაემგზავრა შეჯიბრზე და მართალია, იქ თავი არ დაუზოგავს, მაგრამ რუსეთთანაც წააგო (9:15) და პოლონეთთანაც (6:23). რუსებმა თავიანთ ლიდერ ზიკოვის თამადობით თავიდანვე შემოგვიტიეს. ქართველებს ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ თამაში თანდათან გათანაბრდა და მატჩის ბოლოს ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, ეგებ მოგვეგო კიდეც.

ექსსაბჭოური დერბი მეორედ 1996 წლის 20 ოქტომბერს შედგა თბილისში. „ეროვნულზე“ გამართულ მატჩში „ბორჯღალოსნები“ პირველად შემოსეს შინდისფერი მაისურებით და მათაც თავი არ დაუზოგავთ. ვეტერანებს — გია გიუნაშვილს, კახა მაჩიტიძეს, დიმა ობოლაძეს ახალგაზრდებმა — პალიკო ჯიმშელაძემ, შოთა მოდებაძემ, ლევან ცაბაძემ და გია ლაბაძემ აუბეს მხარი. ქართველებმა ძალიან ლამაზად იბურთავეს, მაჩიტიძემ და იურინმა კოხტა არეკნები შეაგდეს. მაჩიტიძემ კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა, მაგრამ მთავარი მაინც სამი ლელო იყო და კიდევ ის, რომ შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, როცა რუსებმა ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მანამდე გაწუმებულმა გულშემატკივარმა ხმა ამოიღო და ქართველთა შეჩერება შეუძლებელი გახდა. მანამდე იყო ნამდვილი ბრძოლა, ბესელიას დროული გარღვევა, რომელიც აჩიკო ქავთარაშვილმა ლელოთი დაგვირგვინა. ამას მოჰყვა მოდებაძის კლასიკური ლელო, იურინის ქვემეხისებური არეკნი და ვანო ნადირაძის გამარჯვების ლელო — 29:20.

ორი წლის შემდეგ 1998 წლის 20 მაისს საქართველო და რუსეთი მესამედ დაეჯახნენ ერმანეთს. ეს მატჩი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისა იყო და ამდენად მის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მატჩამდე გვარიანად იწვიმა, მაგრამ დიდძალი ხალხი მაინც მოვიდა „ეროვნულზე“ ქართველთა გასამხნევებლად. რუსებმა, რომლებიც საფრანგეთში გადახვეწილი თავისიანებით და ყაზახი უამბავეთი ზედ მატჩის წინ გაძლიერდნენ, თავიდანვე შემოგვიტიეს და ორი გოლით წინ გაიჭრნენ, მაგრამ ქართველები თანდათან დამშვიდნენ და ბრძოლა გათანაბრდა. ჯერ კიდევ ჭაბუკმა მალხაზ ურჯუკაშვილმა სველი ბურთი ოთხჯერ დიდოსტატურად გაატარა ძელებს შორის, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა — 12:6. შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე რუსებმა შტურმი მოუწყვეს მასპინძლებს. მეტოქემ ბარე ათი წუთი უტრიალა ჩვენს ლელოს, მაგრამ ქართველები მედგრად დადგნენ, ბურთიანი მოწინააღმდეგე 30-ჯერ მაინც დასცეს ძირს. საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის საგზურისთვის ბრძოლა განაგრძო, რუსები კი ტურნირს დაემშვიდობნენ.

ამის შემდეგ ჩრდილოეთ მეზობლებმა ბევრი სამუშაო გასწიეს ნაკრების გასაძლიერებლად. გუნდის კაპიტანი გრაჩოვი და უკანასკნელი რაჩკოვი საფრანგეთში მიავლინეს. საფრანგეთშივე მოიძიეს ექსსაბჭოელი მორაგბეები და რუსეთის ნაკრებში ჩარიცხეს. რუსეთის რაგბის კავშირმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ აფრიკასთან. წელიწადში რამდენჯერმე სლავები აფრიკას სტუმრობენ და ადგილობრივი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. ამასთან თვით ქუთაისის „აიას“ ყოფილი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილიც არაოფიციალურად მოძღვრავს რუსებს. შედეგიც სახეზეა.

1998-99 წლების სეზონში რუსებმა სამ საკლასიფიკაციო მატჩში სტუმრად ჯერ პოლონეთს (72:13), ხოლო შემდეგ ჩეხებს (52:13) მოუგეს, ჰენზაში მეზობელი უკრაინა დამარცხეს — 43:13 და უმცროს „ერთა თასზე“ ადგილი დაიბევეს. „ერთა თასის“ სინისთვის რუსებმა კრასნოიარსკში უკრაინელები მეორედ დაიბრიყვეს — 71:5, ვერმანია კრასნოდარში დამარცხეს — 89:6, დანია კოპენჰაგენში 104:7 გაანადგურეს, ხორვატია კი საერთოდ არ ჩასულა რუსეთში.

ასე მოიპოვეს რუსებმა სინი, წლეულს უკვე „ევროპის ერთა თასზე“ ასპარეზობენ და წარმატებითაც. მათ საწყის ორ ტურში ორივე მატჩი მოიგეს და ორივე სტუმრად. რუსეთის ნაკრები 1992 წლიდან არსებობს. დღემდე გუნდმა 32 მატჩი გამართა, 21 მოიგო და 11 წააგო. ბურთების შეფარდება: 1031:641

ბოლო მატჩში ჰოლანდიელების წინააღმდეგ რუსეთის მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** ასეთი შემადგენლობა ათამაშა: ალექსანდრ ზაკარლიუკი (კრასნი იარი), ანდრეი კუზინი (ჰენზა), კონსტანტინ რაჩკოვი (ჰენზა), ალექსეი სერგეევი (მონინო), ოლეგ ჟუკოვი (ფილი), ვლადიმირ სიმონოვი (კრასნი იარი), ვიქტორ მოტორინი (მონინო), ალექსეი ტრავკინი (მონინო), იგორ ნიკოლაიჩუკი (კრასნი იარი), ოლეგ შუკაილოვი (კრასნი იარი), ალეკსეი რეჩნოვი (ენისეი სტმ), სერგეი კლიმენკო (ლიმოჟი), მარატ უამბაევი (გრენობლი), იური შელეპკოვი (ენისეი სტმ), ვიაჩესლავ გრაჩოვი (კაპ) (მონტობანი)

შეცვლაზე შევიდნენ: ბიჩკოვი (კრასნი იარი), ბორისოვი (სტრასბური), ნოვოსიოლოვი (ენისეი სტმ), მარჩენკო (მონინო), ილარიონოვი (კრასნი იარი). ტრავმების გამო ვერ ითამაშეს ვლადიმირ ნეგოდინმა (კრასნი იარი), სერგეი სერგეევმა (მონტობანი), ანდრეი სოროკინმა (მონინო), ვიკტორ იაკოვლევმა (მონინო), ვიტალი სოროკინმა (მონინო) და ანდრეი ევდოკიმოვმა (ფილი).

გაჩო სვანიძე

1996 წლის 20 ოქტომბერი. საქართველო — რუსეთი. ვანო ნადირაძემ რუსებს გამარჯვების ლელო გაუტანა

ფოტო: ალექსანდრ ეფანოვი

„მქვსი ერის“ ჩემპიონატი III ტური. 3 მარტი

ასი ინგლისთან რას გვეუოფა

„ექვსი ერის ჩემპიონატის“ მესამე ტურში ორი მატჩი გაიმართება. უელსი ირლანდიას საქონლის ჭირის (ჩვენებურად თურქულის) ეპიდემიის გამო ვერ უმასპინძლებს. როდის გაიმართება ეს მატჩი, ძნელი სათქმელია, რადგან ევროპელ მორაგბეთა კალენდარი ისეა გადატვირთული, ერთი ფანჯრის პოვნაც შეუძლებელია. უელსელებს ერთადერთი თავისუფალი თარიღი ევროპის თასის ფინალის დღე აქვთ, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, ირლანდიურმა „მანსტერმა“ ნახევარფინალი „სტად ფრანსესთან“ წააგოს. ამასთანავე, ის დაწყვეტილი თურქულიც უნდა დაიძლიოს და სხვა ქვეყნებსაც არ მოედოს, თორემ მერე ხომ შეიძლება საერთოდ ჩაშალოს ტურნირი.

ასეა თუ ისე, სავსებით მოსალოდნელია, უელს — ირლანდიას იგივე ბედი ეწიოს, რაც 1972 წელს ირლანდიელთა მატჩებს. მაშინ ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე მოვლენების გამო „სამყურების“ შეხვედრები გადაიტანეს და შემდეგ საერთოდ აღარც ჩაუტარებიათ. სანამ ამ საქმეს ნათელი მოეფინება, დღევანდელ თამაშებს მივხედოთ.

კლაივ ვუდვორდი

ინგლისი — შოტლანდია

შარშანდელი შემოდგომის შემდეგ კლაივ ვუდვორდის შეგირდების მიერ ნაჩვენები თამაში და მიღწეული შედეგები შოტლანდიელებს თვიქნებში გამარჯვების თიოქმის არანაირ შანსს არ უტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოტებმა პირველ ტურში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ფრანგებს, მაინც ვერ შეძლეს „მამლების“ დაცვის გარღვევა და ლელოს გატანა. ინგლისელთა დაცვა კი თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება ფრანგებისას. ხოლო შოტლანდიელთა დამრტყმელი ლოგანი რომ საშუალო დონისაა და მისი გარეგნით მოგება თითქმის წარმოუდგენელია, ამას ჯერ კიდევ წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით.

ორი კვირის წინ უელსთან მატჩში სკოტებმა პირველ ტაიმში იმდენი შეცდომა დაუშვეს, იმის ნახევარი მაინც ინგლისთან რომ გაიმეორონ, საკუთარ შესაძლებელია, ასტრონომიული ანგარიშით წააგონ. ამასთანავე, სტუმრებს არ ეყოლებათ გარე ნახევარმცველი და შეტევების სულისჩამდგმელი გრეგორ თაუნსენდი, რომელიც ტრავმირებულია. ეს კი მათ წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს, თუმცა „მამაცი გულის“ შთამომავლებს ხანდახან აფეთქება და ფანტასტიკური თამაში შეუძლიათ, რაც მათ შარშანდელი „ექვსი ერის“ ბოლო ტურში სწორედ ინგლისთან შეძლეს. მაშინ იენ მაკგიჭანის გაწვრთნილებმა ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ აჯობეს მეტოქეს, რითიც ტურნირში ყველა მატჩწაგებულისთვის განკუთვნილ „ხის კოვზს“ აერიდნენ, ინგლისს დიდი სლემი არ შეასრულებინეს და კალკუტას თასიც დაიბრუნეს, რომელსაც ხვალაც გააფთრებით დაიცავენ.

ამ საქმეში მაკგიჭანს ყველაზე მეტად მცველი კრის პატერსონის და კვაჭ ტომ სმიტის ეიმედება. სწორედ ამ ორმა მორაგბემ იტვირთა ლიდერობა უელსთან და მეორე ტაიმში ფაქტობრივად წაგებული მატჩიც სკოტებმა ფრედ დაასრულეს.

მასპინძლთა მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ყველაზე უკეთ იცის, რომ უპირობო ფავორიტის როლი „ექვსი ერის“ მატჩების დროს ძალიან მძიმე ტვირთად აწვება მორაგბეებს, მეტოქეს კი დამატებით სტიმულს აძლევს. ეს ერთ-ერთი მიზეზიცაა იმისა, რომ ინგლისმა ბოლო ტურში ზედიზედ ორჯერ დაკარგა დიდი სლემი (1999 წელს უელსმა მოუგო), ამიტომაც ინგლისი დღეს მთელი სერიოზულობით იბრძოლებს.

რაც შეეხება შემადგენლობას, შემცვლელი სამმეოთხედელი მაიკ ტინდელი ტრავმის გამო დააკლდება სთადარიგთა სკამს. თუმცა მთავარი დანაკლისი მაინც მორკინალ ნილ ბეკის არყოფნა იქნება. გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ მოსალოდნელია, მისი ადგილი დალალიოსა და ჰილის გვერდით მისივე ლესტერელმა თანაგუნდელმა მარტინ კორიმ დაიკავოს.

ცოტა ისტორიასაც გადავხედოთ. 1871 წლის 27 მარტიდან მოყოლებული ინგლისი და შოტლანდია 117-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან ინგლისელებმა 60-ჯერ იმარჯვეს, სკოტებს 40 მოგება დაუგროვდათ, 17 მატჩი კი ფრედ დასრულდა. თვიქნებში 39-ჯერ დაპირისპირებიან ეს გუნდები ერთმანეთს — სტუმრებს ოდენ 4 გამარჯვებისთვის (ბოლო 1983 წელს) და 5 ფრისთვის (ბოლო 1989 წელს) მიუღწევიათ.

დაბოლოს, ამ მატჩის ანონსი სკოტთა შერკინების მესამეხაზელ ბაჯუტნის სიტყვებით დავასრულოთ: „ჩვენ ღღეს ისეთ ფორმაში ვართ, მოგების შანსი არ გვაქვს. თუ ორივე გუნდი თავისი შესაძლებლობების ას პროცენტს გამოავლენს, ნაღდად წავაგებთ. ბრძოლა თანაბარი რომ იყოს, ჩვენ 120 პროცენტზე უნდა გავიღეთ.“

იტალია — საფრანგეთი

წესით და რიგით, სტუმრებს გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან ამ გუნდების 21 დაპირისპირებიდან ოდენ ერთი დამთავრდა იტალიელთა სასარგებლოდ — 1997 წელს გრენობლში „ხუთ ერზე“ დიდი სლემის შესრულებით მეტად კმაყოფილი ფრანგები აპენინელებთან პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად შერცხვნენ.

შეჯიბრის პირველ ორი ტურში „სკუადრა აძურა“ ირლანდიასთან (22:41) და ინგლისთან (23:80) დამარცხდა. თუმცა პირველი ტაიმები მეტოქეთ ტოლ-სწორად ეპაექრა და მხოლოდ მეორე ორმოცწუთიანებში დანებდა ძალაგამოცლილი. ამჯერად იტალიას გაკილებით უკეთ შეეძლება ენერგიის მთელ მატჩზე თანაბრად განაწილება, რადგან მინდორზე მისი გამოცდილი ნახევარმცველები დაბრუნდებიან — ალესანდრო ტრონკონი დისკვალიფიცირებული იყო, დიეგო დომინგე კი ნაკრებს გამოეთხოვა, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შეცვალა.

დომინგესს 61 კეპი და 819 ქულა აქვს მოხვეჭილი. 34 წლის დამრტყმელი მშვენივრად წარმართავს თავისიანთა იერიშებს და მატჩის ბედის მარტოს გადაწყვეტაც შეუძლია. ფრანგების მთავარი ამოცანაც სწორედ მისი გაუვნებლება იქნება. არგენტინელი წარმოშობის იტალიელის ყოფილ მწვრთნელ („სტად ფრანსესში“) ბერნარ ლაპორტს ეს კარგად ესმის და „მამლების“ საამმატჩოდ დამოძღვრაშიც ძირითადად დომინგესის წინააღმდეგ მოქმედების გეგმებზე გაუმახვილებია ყურადღება. თითოეული ჯარიმა მეტოქის სამი ქულაა, უთქვამს ლაპორტს შეგირდებისთვის და უთხოვია, რაც შეიძლება იშვიათად დაარღვიონ თამაშის წესები.

რამდენად შეასრულებენ ფრანგები მის მითითებებს, მატჩის მსვლელობა აჩვენებს. ერთი რამის თქმა კი თამამად შეიძლება. თუ ლაპორტს ვინმეს გარჯა არ მოეწონა, მეისვე გაუშვებს ნაკრებიდან. დასტური გნებავთ? ირლანდიასთან წაგების შემდეგ საფრანგეთის მთავარმა მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობა 40 პროცენტით შეცვალა.

კალიფორნიის მეცხრე ბლიცი

დუბაის (საემიროები)
ღია პირველობა
ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

ძნელი სათქმელია, სულსწრაფობის ბრალია თუ ისლამის რაიმე მოთხოვნის, მაგრამ დუბაიში საჩოგბურთო ტურნირის მიმდინარეობა ჩვეულ რიტმს ყოველთვის ერთი ღღით უსწრებს. გასულ კვირაში ქალთა პირველობა კვირის ნაცვლად შაბათს დასრულდა და ასე მოხდება კაცებს შორისაც.

ასე რომ, ხუთშაბათს საემიროებში უკვე ნახევარფინალისტთა ვინაობაც გაირკვა. მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარატ საფინი კი ირწმუნებოდა, ცუდ ფორმაში ვარ და მწვრთნელის შველა მჭირდებაო, მაგრამ მოულოდნელად ძველებურად ათამაშდა და მორიგი მეტოქე, უკრაინელი ანდრეი მედვედევი სულ 53 წუთში გაანადგურა — 6:1, 6:2.

21 წლის რუსი გულზე და მაღაზე სწრაფად მოვიდა: „სულ უფრო და უფრო უკეთ ვთამაშობ და საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, მზად ვარ ამ ტურნირის მოსაგებად“.

მეოთხედფინალი: ხუან კარლოს ფერერო (7, შვედეთი) — მაგნუს ნორმანი (2, შვედეთი) 6:2, 4:6, 6:4; დიმიტრი ჰრბატი (6, სლოვაკეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:5, 6:4; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — მაჭა მირნი (ბელარუსი) 6:4, 6:4

სან ხოსე (აშშ). SYBASE OPEN
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 400 ათასი $

უშუქობა და ავადსახსენებელი ენერგობლოკების ავარიული გამორთვა თურმე მხოლოდ საქართველოს საფირმო ნიშანი არ ყოფილა — ხუთშაბათს მზიურ კალიფორნიაში ჯიბესქელ ამერიკელებსაც ანალოგიური პრობლემები შეექმნათ. ადგილობრივი ქვესაღგურის დაზიანების გამო სან ხოსეს დიდი ნაწილი კარგა ხნით უდენოდ დარჩა. ჩაბნელდა საჩოგბურთო „სან ხოსე არენაც“ და რაც არანაკლებ საოცარია, ასეთ მინი-კატასტროფებს დაუჩვევიელ ტურნირის ორგანიზატორებს გენერატორიც კი არ აღმოაჩნდათ.

ელექტროენერგიის მიწოდება თითქმის სამსაათიანი შეფერხების შემდეგ აღდგა და მატჩების უმეტესობა გვიან ღამით დასრულდა. ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს გაუმართლა — მისი შეხვედრა შედარებით ადრე დაიწყო, თუმცა მეოთხედფინალისკენ გზა თავად ოზმა გაიგრძელა. იმის ნაცვლად, რომ რუსი ანდრეი სტოლიაროვისთვის ბოლო დროულად მოედო, ჰიუიტმა მეორე ხელში 5:2 უპირატესობა გაანიავა და კორტზე სასურველზე ორჯერ მეტხანს მოუხდა სირბილი.

„დამსახურებას ვერ დაუკარგავ, მან ბოლომდე იბრძოლა. ჩემივე ბრალია, მატჩი ასე რომ გაჭიანურდა, თავი გასახდელში მანამ წარმოვიდგინე, სანამ საქმეს წერტილს დავუსვამდი. ისე, წამითაც არ მინერვიულია, ვიცოდი, რომ საჭირო მომენტში უკეთესად ვითამაშებდი“ — გაიხსენა მოგვიანებით პიუიტმა. თუმცა ჩვენი მხრივ ისიც უნდა დავამატოთ, რომ მეტად „საჭირო მომენტში“ — მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ავსტრალიელი სწორედაც რომ საზიზღრად გაისარჯა და უამრავი შეცდომა დაუშვა.

ჰიუიტი არც გადამწყვეტ ხელში ბრწყინავდა მაინცდამაინც და მომდევნო ეტაპზე გაღწევა მხოლოდ მეშვიდე მატჩ-პოინტზე მოახერხა — 6:2, 6:7 (8:10), 6:3.

თინეიჯერის (13-19 წელი) სტატუსს ავსტრალიელი გასულ შაბათს გამოეთხოვა — 20 წლის გახდა და თავი ლამის ტურის ვეტერანადაც მიაჩნია: „დაბადების დღეზე კარგა დიდი წვეულება მოვაწყვე, თუმცა საუკეთესო საჩუქარი აქ კარიერის პირველი ჭერქვეშა ტურნირის მოგება იქნება. საკუთარ კარიერას რომ გადავხედავ, ვფიქრობ, ფანტასტიკური მიღწევები მაქვს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რამხელა ზეწოლის ქვეშ მოვექეცი, მას შემდეგ რაც 16 წლისამ პირველი ტიტული მოვიგე, ვფიქრობ, იმედები არავისთვის გამიცრუებია“.

წლეულს ჰიუიტი უპირველესად დიდი სლემის ტურნირებზე წარმატებით ასპარეზობას გეგმავს: „შარშან აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში გაღწევამ თავდაჯერება ერთობ შემმატა, მივხვდი, რომ სწორი გზით მივდივარ. დარწმუნებული ვარ, ცოტა მოწოდება რომ გავაუმჯობესო, ნებისმიერ საფარზე ნებისმიერ ჩოგბურთელს გავეჯიბრები“.

„მეიჯორებზე“ თავის გამოჩენაზე ოცნებობს ჰიუიტის მომდევნო მეტოქე გრეგ რუზეიკიც. 27 წლის ინგლისელს კარგად მოეხსენება, რომ სულ ერთი-ორი სეზონი და ამის რეალური შანსი აღარ ექნება, ამიტომ მზადაა, ღღე და ღამე შრომაში გაასწოროს. მწვრთნელად უიმბლდონის ჩემპიონ პატ კეშის გარდა ინგლისელმა კიდევ 3 ავსტრალიელი დაიქირავა, რათა მის ფიზიკურ მომზადებას თვალყური ადევნონ და ამხელა ასაკში ზოგიერთი დარტყმის ტექნიკის შეცვლასაც არ შეუშინდა.

„ალბათ, სიტყვებით ვერ გამოვთქვამ, რამდენად მწყურია ელიტაში ადგილის დაბრუნება. ჩემი მთავარი მიზანი კი უიმბლდონის ჩემპიონობაა — არ მალავს რუზეიკი, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი გახლდათ — ყველამ ვიცით, ვინ იქნება მთავარი მეტოქე „ოლ ინგლენდ კლაბში“. პიტი (სამპრასი) ჯერაც ბალახის მეფეა. თითქოს იქამდე ცუდად თამაშობს ხოლმე, მაგრამ როგორც კი უიმბლდონი იწყება, ყველას აჩუმებს“.

რუზეიკის მერვედფინალში დიდი ოფლისღვრა არ დასჭირვებია. იტალიელ ვეტერან რენცო ფურლანს მან იოლად, 6:3, 6:2 აჯობა. ოთხშაბათს კი კანადური წარმოშობის ინგლისელმა თავისი ყოფილი საშშობლოს საყვარელი სპორტი გაიხსენა და ადვილობრივ ჰოკეის გუნდ „სან-ხოსე შარქსის“ მატჩს დაესწრო საპატიო სტუმრად. პირველ და მეორე ტაიმებს შორის შესვენებაზე მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონმა რუზეიკიმ ყინულზეც გაისეირნა და კარში ჩამდვარ კლუბის სიმბოლოს ჩოგნითა და ბურთით ათიდან ოთხი გოლი გაუტანა.

მერვედფინალი: ანდრე აგასი (1, აშშ) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 6:2; ხუან გალესესი (ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) 6:4, 6:7 (4:7), 7:6 (7:3); ტომი ჰაასი (4, გერმანია) — მაგნუს გუსტავსონი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:4; ფაბიო ფაბიანი (ბელგია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4; ფან-მაიკლ გეგბილი (6, აშშ) — ენდი როდიკი (აშშ) 7:6 (7:5), 7:6 (7:1)

აკაპულკო. მექსიკის ღია პირველობა. თიხნარი საპრიზო 800 ათასი $

მერვედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) 6:4, 6:0; ჰარლოს მოია (3, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:3; გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:6 (7:4), 2:6, 6:3; სერხიო ბრუგერა (ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (5, ესპანეთი) 7:5, 6:3.

სკოტსდეილი (აშშ).
STATE FARM TENNIS CLASSIC
ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $

მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 7:5, 6:2; მონიკა სელეში (2, აშშ) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:0, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — იანა ნეიდლი (კანადა) 6:2, 6:4; კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 5:7, 6:2, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

ლეიტონ ჰიუიტი ოცი წლის გახდა

ლინარესის სუპერტურნირი

კასპაროვი: ჰლუს სამი

გარი კასპაროვი „მკვლელის ინსტინქტმა“ ხელახლა გაიღვიძა. ვიიკ აან ზეეს სუპერტურნირი მან მეტოქეთა კლასში დაჩაგვრით მოიგო, ლინარესის სტარტზე ოდნავ უნდილი ჩანდა, მაგრამ მეოთხედან მეექვსე ტურის ჩათვლით პარტიების მოსაგებად 35 სვლა არც ერთხელ არ დაუხარჯავს. ექსჩემპიონს ჯერ ნორჩი ალექსანდრ გრიშჩუკი ემსხვერპლა, მერე სხვა ექსჩემპიონი, კარპოვი და გუშინწინ — „ჰომო კომპიუტერი“ პეტერ ლეკო. ახალგაზრდა ლეკომ ელიტაში უკვე დაიბევა ადგილი, მაგრამ ცოტა ქომაგი ჰყავს, რადგან აქამდე მისი თამაში ასი პროცენტით პრაგმატიზმის ნიმუშია და არც ერთით — რომანტიზმისა. პუბლიკას კი, მოგეხსენებათ, ყაიმები კი არა, სანახაობა სწყურია. ლინარესში 5 ტური უნარულმა მშვიდობიანად იარა, არავინ დაუჩაგრავს და არვის. დაჩაგვრინებია, მეექვსეში კი კასპაროვის პირისპირ გააწყო ფიგურები. მათი პირველი წრის პარტიაში ლეკომ თეთრებით თამაშის კოზირი გაფლანგა, კასპაროვი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვაგვარად მოიქცა, მას მოგების მეტი არაფერი უნდოდა. ესპანურ დაცვაში უნგრელმა მარშალის იერიში ჩაიფიქრა, მაგრამ თეთრებმა ამ ამბავს თავი აარიდეს და სხვა გზით წავიდნენ. მე-14 სვლაზე ლეკომ კასპაროვის თეთრუჯრიანი კუს შესახლეულადვი კამპანია დაიწყო, მაგრამ ექსჩემპიონის მცდელობით კუ მაინც გაიშალა მხრეებში, შემდეგ კი კასპაროვმა კიდევ ერთხელ დაარტყა შავების ბანაკს და 31-ე სვლაზე ქულა აიღო. პარტია ტურში ულამაზესი იყო, რადგან სხვები უფრო უჯიგროდ იბრძოდნენ. კარპოვს თეთრები ჰყავდა, მაგრამ მთელი პარტიის მანძილზე მცირე თეორიული უპირატესობა ვერაფერით გაზარდა — ალექსეი შიროვი ზუსტი იყო და აღარც თავისებურად ღია ჩხუბის გაჩაღება უცდია. შედეგად ყაიმი.

შედარებით დიდი ფორიაქი ატყდა იუდით პოლგარისა და გრიშჩუკის დაფაზე. ენდშპილამდე თანასწორობა სუფევდა, მერე კი პოლგარმა წონასწორობა დაარღვია და ამით მხოლოდ თავი აიტკივა — ჯერ 3, მერე კი 2 ზედმეტი პაიკით გრიშჩუკმა პირველი მოგების შანსი მიიღო. მას იმდენი რამის და ისე კარგად გაკეთება შეეძლო, რომ დაიბნა და ვერაფერი ვერ გააკეთა. საკონტროლო სვლების შემდგომ ახლა მანდილოსანი ცდილობდა მოგებას, მაგრამ ამაოდ.

დავით გულუა

სატურნირო ვითარება
6 ტურის შემდეგ

1. კასპაროვი 4,5; 2. ჰოლგარი 3,5; 3. შიროვი 3; 4-5. ლეკო, კარპოვი 2,5; 6. გრიშჩუკი 2.

იწყება!

ხვალ მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით ფორმულა 1-ის მორიგი, 52-ე სეზონი გაიხსნება. უკან დარჩა ბოლიდებში ოთხთვიანი, გაუთავებელი კრკიტი და თბილი ქვეყნების ტრასებზე ერთფეროვანი ვარჯიში. ისე, ძნელია, 300-კილომეტრიანი სიჩქარით წრის შემოვლაზე მონოტონური ითქვას, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ტესტირებაა, ანუ განახლებული მანქანის გამოცდა და ახლოს საკვალიფიკაციო ბრძოლასთანაც კი ვერ მივა.

თერმეტივე გუნდმა სეზონთშორის პერიოდში საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესატყვისად იშრომა. ყველა მზადყოფნაშია და ოპტიმისტურად განწყობილი, შარშანდელ აბსოლუტურ გამარჯვებულ „ფერარიდან“ მაჩანჩალა „პროსტამდე“ — ჩემპიონატის სტარტზე ხომ ყველა ერთნაირ მდგომარეობაშია, რადგან ყველაფერი ნულიდან იწყება. მიხაელ შუმახერის ტრიუმფიც უკვე გასული საუკუნის კუთვნილებაა.

„ფერარიმ“, „მაკლარენმა“ და „ჯორდანმა“ შარშანდელი შემადგენლობა უცვლელად შეინარჩუნეს, ექვს საჯინიბოში თითო მრბოლს შეელიენ, ხოლო პეტერ ზაუბერმა და ჯანკარლო მინარდიმ ორივე თავისი პილოტი მოხსნეს. წლეულს დებიუტანტი ოთხია. საყოველთაო ყურადღება ხუან პაბლო მონტოიასკენაა მიმართული. 25 წლის კოლუმბიელი უკვე საკმაოდ სახელოვანი მრბოლია — შარშანწინ ამერიკული „კარტის“ ჩემპიონატი მოიგო და ევროპაშიც არანაკლები ამბიციით გამოჩნდა. „უილიამსის“ პრიმა პილოტი რალფ შუმახერი და მონტოია ჯერ კიდევ გაცნობამდე სიტყვიერად წაეკიდნენ ერთმანეთს. ხუანმა ჩასვლისთანავე განაცხადა, რომ ფორმულაში მაღალი მიზნებით მივიდა, რალფზე არაფრითაა ნაკლები და სულაც არ თვლის მას გუნდის ლიდერად. გაღრმავდება თუ არა ფრენკ უილიამსის „ბიჭების“ კონფლიქტი, მომავალი გვიჩვენებს.

წლევანდელ სეზონშიც, შარშანდელის მსგავსად, 17 დიდი პრიზი გათამაშდება. ყველა ქვეყანამ თავისი ეტაპი შეინარჩუნა, მხოლოდ რბოლათა თანმიმდევრობა შეიცვალა. გასული წლის უხეირო ექსპერიმენტის შემდეგ, როცა ბრიტანული ეტაპის აპრილში გადმოტანამ სიცივისა და უამრავი გულშემატკივრის უკმაყოფილების გარდა არაფერი მოიტანა, „სილვერსტოუნის“ რბოლა კვლავ ივლისში დაუბრუნეს. ასევე კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მალაიზიის დიდი პრიზი ოქტომბრის ნაცვლად სეზონის დასაწყისში გათამაშდება, ხოლო ავსტრია ტრადიციულზე ორი თვით ადრე უმასპინძლებს „სამეფო რბოლებს“.



ვის ერგება ახალ საუკუნეში პირველად ჩემპიონის თასი?

ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც: ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ პირველად ჩემპიონატში დასაქმებული პერსონალისთვის საყოველთაო-სავალდებულო შვებულება გამოაცხადა. 30 ივლისიდან შუა აგვისტომდე ყველამ უნდა დაისვენოს დაძაბული სამუშაოსგან და ორიოდე კვირა მაინც გაატარონ თავიანთ ოჯახებთან. ამ პერიოდში გუნდებს ვარჯიშიც კი აეკრძალათ.

პირველობის უმთავრეს პრეტენდენტებად წლეულსაც, ცხადია, სამგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი და ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი რჩებიან. მათ დავაში ჩარევის ყველაზე კარგი შანსი დევიდ კულჰარდს აქვს. მით უმეტეს, რომ შოტლანდიელი მრბოლი თავისი ახალი „მაკლარენით“ აღტაცებას ვერ მალავს, ასეთი სწრაფი და საიმედო მანქანა არასოდეს მყოლიაო. რაც შეეხება მეორე ფერარელს, რუბენს ბარიკელომ საქვეყნოდ აღიარა, რომ ტრასაზე შუმახერს არასოდეს შეებრძოლება და ყოველმხრივ დაეხმარება ტიტულის შენარჩუნებაში. ასე რომ, ბრაზილიელი უმთავრესად ქარავანის შუაგულში იტრიალებს და შეეცდება, შუმის ზურგი გაუმაგროს. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, რალფ შუმახერის, ჯანკარლო ფიზიკელას, ჟაკ ვილნევის, ედი ირვინის, ხუან მონტოიას მთავარი ამოცანა ექვსეულში მოხვედრა და ყოველ რბოლაში ორი-სამი ქულის მოპოვება იქნება, უკეთეს შემთხვევაში კი პოდიუმზე შედგომა. დანარჩენებს პელოტონის და სატურნირო ცხრილის კუდში ყოფნა გარანტირებული აქვთ, ზოგს ბოლიდის, ზოგსაც საკუთარი დონის გათვალისწინებით.

საჯინიბოებისა და პილოტების გარდა, დამდეგ სეზონში დიდი ბრძოლა გაჩაღდება საბურავების მწარმოებელთა შორისაც. „ფეხსაცმლით“ ფორმულის ბედაურებს აქამდე ერთი ფირმა, იაპონური „ბრიჯსტოუნი“ ამარაგებდა. ახლა კი, რამდენიმეწლიანი იზოლაციის შემდეგ, ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა ფრანგული კონცერნი „მიშელინი“. ასე რომ, „რეზინის ომიც“ მოსალოდნელია.

გია ახალაძე

№	მრბოლი	ქვეყანა	გუნდი	ასაკი	სიმაღლე	წონა	რბოლა	მოგება	პოდიუმი	პოული	ქულა
1	მიხაელ შუმახერი	გერმანია	ფერარი	32	174	74	145	44	83	32	678
2	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	ფერარი	28	172	79	129	1	15	3	139
3	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	მაკლარენი	32	179	70	145	18	48	26	383
4	დევიდ კულჰარდი	დ. ბრიტანეთი	მაკლარენი	29	182	75	107	9	41	10	294
5	რალფ შუმახერი	გერმანია	უილიამსი	25	178	73	66	—	9	—	86
6	ხუან პაბლო მონტოია	კოლუმბია	უილიამსი	25	168	72	—	—	—	—	—
7	ჯანკარლო ფიზიკელა	იტალია	ბენეტონი	28	172	70	74	-	8	1	67
8	ჯენსონ ბატონი	დ. ბრიტანეთი	ბენეტონი	21	182	74	17	-	-	-	12
9	ჟაკ ვილნევი	კანადა	BAR	29	171	67	82	11	21	13	197
10	ოლივიე პანი	საფრანგეთი	BAR	34	173	76	91	1	5	-	56
11	ჰაინც ჰარალდ ფრენცენი	გერმანია	ჯორდანი	33	178	65	114	3	17	2	153
12	იარნო ტრული	იტალია	ჯორდანი	26	173	60	63	-	1	-	17
14	იოს ფერსტაპენი	ჰოლანდია	ეროუზი	29	175	72	74	-	-	-	16
15	ენრიკე ბერნოლდი	ბრაზილია	ეროუზი	22	178	68	-	-	-	-	-
16	ნიკ ჰაიდფელდი	გერმანია	ზაუბერი	23	175	70	16	-	-	-	-
17	კიმი რაიკონენი	ფინეთი	ზაუბერი	21	-	-	-	-	-	-	-
18	ედი ირვინი	დ. ბრიტანეთი	იაგუარი	35	178	70	113	4	24	-	177
19	ლუჩანო ბურტი	ბრაზილია	იაგუარი	26	174	69	1	-	-	-	-
20	ფერნანდო ალონსო	ესპანეთი	მინარდი	19	171	68	-	-	-	-	-
21	ტარსო მარკეში	ბრაზილია	მინარდი	25	176	76	12	-	-	-	-
22	ჟან ალეზი	საფრანგეთი	პროსტი	36	170	74	184	1	32	2	236
23	გასტონ მაცაკანე	არგენტინა	პროსტი	25	173	68	17	-	-	-	-

2001 წლის კალენდარი

4	მარტი	ავსტრალიის დიდი პრიზი (მელბურნი)
18	მარტი	მალაიზიის დიდი პრიზი (კუალა ლუმპური)
1	აპრილი	ბრაზილიის დიდი პრიზი (სან პაულუ)
15	აპრილი	სან მარინოს დიდი პრიზი (იმოლა)
29	აპრილი	ესპანეთის დიდი პრიზი (ბარსელონა)
13	მაისი	ავსტრიის დიდი პრიზი (შპილბერგი)
27	მაისი	მონაკოს დიდი პრიზი (მონტე კარლო)
10	ივნისი	კანადის დიდი პრიზი (მონრეალი)
24	ივნისი	ევროპის დიდი პრიზი (ნიურნბერგი)
1	ივლისი	საფრანგეთის დიდი პრიზი (მანი კური)
15	ივლისი	ბრიტანეთის დიდი პრიზი (სილვერსტოუნი)
29	ივლისი	გერმანიის დიდი პრიზი (ჰოკენჰაიმი)
19	აგვისტო	უნგრეთის დიდი პრიზი (ბუდაპეშტი)
2	სექტემბერი	ბელგიის დიდი პრიზი (სპა ფრანკორშამი)
16	სექტემბერი	იტალიის დიდი პრიზი (მონცა)
30	სექტემბერი	აშშ-ის დიდი პრიზი (ინდიანაპოლისი)
14	ოქტომბერი	იაპონიის დიდი პრიზი (სუძუკა)

ისტორიიდან

ერთ სეზონში 17 რბოლა მაქსიმალური რაოდენობაა და დღემდე სულ ოთხჯერ იყო — 1977, 1996, 1997, 2000 წლებში.

ყველაზე ნაკლები, შვიდი ეტაპი შედიოდა პირველი (1950) და 1955 წლის ჩემპიონატების კალენდარში. თითქმის ყოველწლიურად რბოლების რიცხვი იზრდებოდა და 1976 წელს 16-ს მიაღწია.

სხვადასხვა იყო ქულათა დარიცხვის სისტემაც. თავიდან, ათი სეზონის მანძილზე, პირველ ხუთ ადგილზე გასული პილოტები შესაბამისად 8, 6, 4, 3, 2 ქულას იღებდნენ. ერთ პრემიალურ ქულას კი უსწრაფესი წრის ავტორს ურიცხავდნენ.

60-იანი წლებიდან გამარჯვება ცხრა, ხოლო ბოლო ათი წელი უკვე ათ ქულად ფასობს, ის კინკილა ქულა კი მეექვსე ადგილისანს ერგება.

F1

პირველი მტაპი ავსტრალიის დიდი პრიზი

ალბერტ-პარკი

მელბურნი, 4 მარტი



ტრასის სიგრძე . . . . . 5.303 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . 58 წრე — 307.574 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 7 საათზე

შარშანდელი შედეგები: 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 რ. შუმახერი (უილიამსი); 4 ვილნევი (BAR); 5 ფიზიკელა (ბენეტონი); 6 ზონტა (BAR)

წრის რეკორდი: 1997 — ფრენცენი (უილიამსი) 1:30.585

ყველა გამარჯვებული

1985	კეკე როსბერგი	ფინეთი	„უილიამსი“
1986	ალენ პროსტი	საფრანგეთი	„მაკლარენი“
1987	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	„ფერარი“
1988	ალენ პროსტი	საფრანგეთი	„მაკლარენი“
1989	ტიერი ბუტსენი	ბელგია	„უილიამსი“
1990	ნელსონ პიკე	ბრაზილია	„ბენეტონი“
1991	აირტონ სენა	ბრაზილია	„მაკლარენი“
1992	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	„მაკლარენი“
1993	აირტონ სენა	ბრაზილია	„მაკლარენი“
1994	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	„უილიამსი“
1995	დეიმონ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	„უილიამსი“
1996	დეიმონ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	„უილიამსი“
1997	დევიდ კულჰარდი	დიდი ბრიტანეთი	„მაკლარენი“
1998	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	„მაკლარენი“
1999	ედი ირვინი	დიდი ბრიტანეთი	„ფერარი“
2000	მიხაელ შუმახერი	გერმანია	„ფერარი“

REUTERS მელბურნიდან

„ფერარი“ შარშანდელი დუბლის გამეორებას შეეცდება

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. 24-ე ტური

3 მარტი

18.30	002	ჰანზა-ბაიერნი	4,2	3,0	1,8
18.30	003	კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი	2,5	2,9	2,6
18.30	004	ვერდერი-ფრაიბურგი	1,75	3,0	4,4
18.30	005	შტუტგარტი-ვოლფსბურგი	2,0	3,0	3,5
18.30	006	უნტერჰახინგი-ბოხუმი	1,8	3,0	4,2
23.15	007	კიოლნი-ჰერტა	2,3	3,0	2,9

4 მარტი

20.30	008	მიუნხენ 1860-ლევერკუზენი	2,5	3,0	2,5
20.30	009	შალკე-ჰამბურგი	1,45	3,4	6,5

გერმანია. II ბუნდესლიგა. 24-ე ტური

3 მარტი

18.00	012	ნიურნბერგი-არმინია	1,4	3,5	7,0
	013	ნიურნბერგი-არმინია 0:1	2,0	3,2	2,3
18.00	014	მაინცი-ქემნიცი	1,45	3,4	6,5

4 მარტი

18.00	015	ალემანია-ფიურტი	2,3	2,9	3,0
18.00	016	ალენი-დუისბურგი	2,4	2,9	2,8
18.00	017	ვალდჰოფი-კიკერსი	1,4	3,5	6,0
18.00	018	როიტლინგენი-ჰანოვერი	1,8	3,1	4,0

5 მარტი

23.15	019	ზანქტ პაული-მიონხენგლადბახი	2,5	2,9	2,6

ინგლისი. პრემიერლიგა. 29-ე ტური

3 მარტი

15.30	020	ლიდსი-მანჩესტერი	2,8	2,9	2,3
19.00	021	არსენალი-ვესტ ჰემი	1,4	3,5	7,0
	022	არსენალი-ვესტ ჰემი 0:1	2,0	3,2	2,3
19.00	023	ქოვენთრი-ჩელსი	3,0	3,1	2,1
19.00	024	დერბი-ტოტენჰემი	2,3	2,9	3,0
19.00	025	ევერტონი-ნიუკასლი	2,3	2,9	3,0
19.00	026	ლესტერი-ლივერპული	2,7	3,0	2,3
19.00	027	სიტი-საუთჰემპტონი	2,2	3,0	2,9
19.00	028	მიდლსბრო-ჩარლტონი	2,2	3,0	3,1

4 მარტი

20.00	029	იფსვიჩი-ბრედფორდი	1,3	4,0	7,5
	030	იფსვიჩი-ბრედფორდი 0:1	1,9	3,2	2,6

5 მარტი

24.00	031	სანდერლენდი-ასტონ ვილა	1,8	3,0	4,0

ინგლისი. I დივიზიონი. 35-ე ტური

3 მარტი

19.00	033	ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი	1,65	3,1	5,3
19.00	034	ქრიუ-ტრანმერი	1,9	2,9	4,0
19.00	035	კრისტალ პალასი-პრესტონი	2,5	3,0	2,5
19.00	036	გრიმსბი-ბარნსლი	2,0	2,9	3,6
19.00	037	ჰადერსფილდი-ნორვიჩი	2,0	3,2	3,1
19.00	038	პორტსმუთი-ბარნლი	2,3	2,9	3,0
19.00	039	ქუინზ პარკი-შეფილდი	2,5	3,0	2,5
19.00	040	უენსდი-ჯილინგემი	2,1	3,0	3,3
19.00	041	სტოკპორტი-უიმბლდონი	2,7	3,0	2,4
19.00	042	ვულვერჰემპტონი-ნოტინგემი	2,4	2,9	2,8

4 მარტი

17.00	043	ფულემი-ბოლტონი	1,6	3,2	5,0

ინგლისი. II დივიზიონი. 35-ე ტური

3 მარტი

19.00	045	ბორნმუთი-ბრენტფორდი	2,2	2,8	3,3
19.00	046	ბრისტოლი-ოქსფორდი	1,2	5,0	9,0
	047	ბრისტოლი-ოქსფორდი 0:1	1,7	3,2	3,2
19.00	048	ბერი-სუონსი	1,6	3,3	5,3
19.00	049	კემბრიჯი-ოლდემი	2,4	2,9	2,8
19.00	050	ლუტონი-როვერსი	1,95	3,1	3,2
19.00	051	მილუოლი-პიტერბრო	1,4	3,5	7,0
	052	მილუოლი-პიტერბრო 0:1	2,0	3,2	2,3
19.00	053	ნოტსი-უოლსოლი	2,4	3,0	2,7
19.00	054	რედინგი-როტერჰემი	1,9	3,1	3,6
19.00	055	სტოკი-კოლჩესტერი	1,5	3,4	6,5
19.00	056	უიგანი-სუინდონი	1,3	4,0	7,5
	057	უიგანი-სუინდონი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	058	უიკომბი-პორტ ვეილი	1,7	3,2	4,4

ინგლისი. III დივიზიონი. 35-ე ტური

3 მარტი

19.00	060	ბარნეტი-პლიმუთი	2,2	2,9	3,0
19.00	061	ბლეკპული-კიდერმინსტერი	1,6	3,1	5,3
19.00	062	კარლაილი-დარლინგტონი	2,1	3,1	3,2
19.00	063	ჩელტენჰემი-ექსეტერი	1,65	3,2	4,0
19.00	064	ლეიტონი-ბრაიტონი	2,4	3,0	2,7
19.00	065	მაკლსფილდი-ჩესტერფილდი	3,0	2,9	2,2
19.00	066	მენსფილდი-ლინკოლნი	1,5	3,5	6,0
19.00	067	შრიუსბერი-ჰალიფაქსი	1,9	2,9	3,6
19.00	068	საუთენდი-როხდეილი	2,1	2,9	3,2
19.00	069	ტორკი-სკანთორპი	2,1	3,1	3,2
19.00	070	იორკი-ჩარტლპული	2,9	3,0	2,2

საფრანგეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

3 მარტი

20.15	071	ლიონი-ბორდო	2,2	2,8	3,3
23.00	072	სტრასბური-გენგამი	2,5	2,9	2,6
23.00	073	სედანი-ლანსი	1,65	3,0	5,6
23.00	074	ლილი-მარსელი	1,6	3,2	5,0
23.00	075	ოსერი-მონაკო	2,1	2,9	3,2
23.00	076	მეცი-სენტ ეტიენი	1,8	3,1	4,0
23.00	077	პსჟ-ტულუზი	1,45	3,4	6,5
23.00	078	ბასტია-ტრუა	1,85	2,9	4,2

4 მარტი

23.45	079	რენი-ნანტი	2,5	3,0	2,5

საფრანგეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

3 მარტი

23.00	081	შატორუ-ბოვე	1,75	2,8	4,4
23.00	082	აიაჩო-კრეტეი	1,8	2,9	4,4
23.00	083	კანი-გენიონი	2,3	2,9	3,0
23.00	084	მარტიგი-ლავალი	2,6	2,8	2,6
23.00	085	მონპელიე-ლე ავრი	1,5	3,2	7,5
23.00	086	ანჟე-ნანსი	3,0	2,9	2,2
23.00	087	ნიორი-ნიცა	1,5	3,1	7,0
23.00	088	კაენი-ნიმი	2,2	2,8	3,3
23.00	089	ლუ მანი-ვასკეალი	1,8	2,7	4,4

იტალია. სერია A. 21-ე ტური

3 მარტი

18.00	090	რეჯინა-ბოლონია	2,5	2,8	2,7
23.30	091	ბრეშა-ლაციო	4,0	2,9	1,9

4 მარტი

18.00	092	ვერონა-ატალანტა	2,4	2,8	2,9
18.00	093	ბარი-ფიორენტინა	2,5	2,9	2,5
18.00	094	უდინეზე-იუვენტუსი	3,1	2,8	2,2
18.00	095	ნაპოლი-ლეჩე	1,9	2,9	4,0
18.00	096	მილანი-პარმა	1,9	2,8	4,2
18.00	097	პერუჯა-ვიჩენცა	1,7	2,9	5,3
23.30	098	რომა-ინტერი	1,7	3,0	5,0

იტალია. სერია B. 25-ე ტური

4 მარტი

18.00	100	ანკონა-კოზენცა	2,3	2,6	3,3
18.00	101	კალიარი-პიაჩენცა	2,2	2,6	3,5
18.00	102	კროტონე-ვენეცია	2,6	2,5	2,9
18.00	103	ჯენოა-ტერნანა	2,3	2,6	3,3
18.00	104	რავენა-პესკარა	1,9	2,6	4,2
18.00	105	სიენა-სალერნიტანა	1,85	2,6	4,7
18.00	106	ტორინო-მონცა	1,3	3,5	9,0
18.00	107	ტრევიზო-პისტოიზე	1,9	2,6	4,2

5 მარტი

23.45	108	ჩიტადელა-კიევო	2,8	2,4	2,8

იტალია. სერია C1/a. 25-ე ტური

4 მარტი

18.00	109	ალბინოლეფე-ბრეშელო	1,6	2,8	6,5
18.00	110	ალესანდრია-ლეკო	2,3	2,6	3,1
18.00	111	ალძანო-ნოზენა	2,8	2,5	2,7
18.00	112	კარარეზე-ლუმეცანე	2,2	2,6	3,5
18.00	113	კომო-სპალ	1,6	2,7	7,0
18.00	114	ლუკეზე-პიზა	2,0	2,6	4,2
18.00	115	ვარეზე-მოდენა	3,3	2,6	2,2
23.30	116	ლივორნო-სპეცია	1,6	2,7	7,0

5 მარტი

23.30	117	რეჯანა-არეცო	2,7	2,6	2,7

იტალია. სერია C1/b. 25-ე ტური

4 მარტი

17.30	118	ფიდელის ანდრია-ტორესი	2,8	2,6	2,6
18.00	119	აველინო-აკილა	1,9	2,6	4,2
18.00	120	ბენევენტო-პეზარო	2,1	2,5	4,0
18.00	121	დი სანგრო-ჯულიანოვა	1,75	2,6	5,6
18.00	122	კატანია-პალერმო	2,4	2,5	3,0
18.00	123	ფერმანა-ლოდიჯანი	1,75	2,7	5,0
18.00	124	მესინა-ასკოლი	1,9	2,6	4,7
18.00	125	საკოია-ნოჩერინა	1,6	2,6	7,0
18.00	126	ვიტერბეზე-ატლეტიკო	1,5	2,8	6,5

ესპანეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

3 მარტი

21.00	127	მალიორკა-დეპორტივო	2,5	2,9	2,6
21.30	128	სოსიედადი-რაიო	2,1	2,9	3,2
23.00	129	სარაგოსა-ვალენ	2,5	2,9	2,6
24.00	130	რეალი-ბარსელონა	1,75	2,9	4,7

4 მარტი

20.00	131	ესპანიოლი-ალავესი	2,0	3,0	3,5
20.00	132	სელტა-ოვიედო	1,6	3,0	6,5
20.00	133	ოსასუნა-ვალიადოლიდი	2,4	2,8	2,9
20.00	134	ნუმანსია-რასინგი	2,0	2,9	3,6
21.00	135	ლას პალმასი-ბილბაო	2,0	2,9	3,6
23.00	136	ვილიარეალი-მალაგა	1,65	3,0	5,6

ესპანეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

3 მარტი

21.00	137	ბეტისი-კორდობა	1,5	3,2	7,5
21.00	138	კომპოსტელა-უნივერსიდადი	1,55	3,1	6,0
21.00	139	ლევანტე-ეიბარი	1,85	2,8	4,4

4 მარტი

14.30	140	ხეტაფე-მურსია	2,5	2,9	2,6
15.00	141	ლეგანესი-ლეიდა	1,7	2,8	5,6
15.00	142	ხაენი-ტენერიფე	2,6	2,9	2,5
15.00	143	ალბასეტე-სევილია	2,5	2,9	2,6
20.00	144	ელჩე-ბადახოსი	2,4	2,7	3,0
20.00	145	ფეროლი-ატლეტიკო	2,6	2,9	2,5
20.00	146	უელვა-ესტრემადურა	1,7	2,8	5,6
20.00	147	სპორტინგი-სალამანკა	2,3	2,9	3,0

პორტუგალია. I ლიგა. 23-ე ტური

3 მარტი

22.00	149	სალგეირუში-სპორტინგი	2,9	3,0	2,3

4 მარტი

19.00	150	ამადორა-ფეგეირა	2,3	3,0	2,7
20.00	151	ლეირია-კამპომაიორენსე	1,7	2,9	5,3
20.00	152	ბეირა მარი-მარიტიმუ	1,9	3,0	3,8
20.00	153	ავეში-გიმარაეში	2,2	3,0	3,1
20.00	154	ეილ ვისენტე-ალვერკა	2,2	2,9	3,0
23.00	155	ბრაგა-ბენფიკა	2,5	2,9	2,6
01.00	156	პორტუ-ფარენსე	1,25	4,4	8,0

	157	პორტუ-ფარენსე 0:1	1,8	3,3	2,8

პორტუგალია. II ლიგა. 23-ე ტური

3 მარტი

20.00	158	აკადემიკა-ფრეამუნდე	1,4	3,5	7,0
	159	აკადემიკა-ფრეამუნდე 0:1	2,0	3,2	2,3

4 მარტი

19.00	160	ნავალი-ფელგეირაში	1,5	3,5	6,0
19.00	161	ლამაში-ვარზიმი	2,5	3,0	2,5
19.30	162	პენაფიელი-ლეცა	1,55	3,3	6,0
20.00	163	სეტუბალი-რიუ ავე	1,9	2,9	4,0
20.00	164	შავეში-სანტა კლარა	3,2	2,9	2,2
20.00	165	მაია-ნასიონალი	2,0	2,9	3,6
20.00	166	ესპინიუ-ოვარენსე	1,9	2,9	4,0
20.00	167	მარკუ-იმორტალი	1,45	3,5	6,0

ჰოლანდია. I დივიზიონი. 23-ე ტური

3 მარტი

22.30	170	ტილბურგი-გრააფსხაპი	1,4	3,6	6,5
	171	ტილბურგი-გრააფსხაპი 0:1	2,0	3,2	2,3
22.30	172	პსვ-როდა	1,3	4,0	7,5
	173	პსვ-როდა 0:1	1,9	3,2	2,6

4 მარტი

17.30	174	სპარტა-ტვენტე	2,4	3,0	2,7
17.30	175	უტრეხტი-სიტარდი	1,25	4,4	8,0
	176	უტრეხტი-სიტარდი 0:1	1,8	3,3	2,8
17.30	177	ვიტესი-ფეიენოორდი	2,7	3,0	2,4
17.30	178	ნაიმეგენი-ალკმაარი	1,9	3,1	3,6
20.15	179	როზენდალი-აიაქსი	5,0	3,4	1,5

ჰოლანდია. II დივიზიონი. 23-ე ტური

3 მარტი

22.00	180	ვეენდამი-პელმონდი	2,6	2,9	2,5
22.00	181	დენ ჰაგი-ემენი	2,9	3,0	2,3
22.00	182	დენ ბოსხი-იგლსი	1,45	3,2	6,5
22.00	183	ექსელსიორი-ვოლენდამი	1,75	3,0	4,4
22.00	184	ვენლო-დორდრეხტი	1,85	2,9	4,0
22.00	185	მაასტრიხტი-კამბური	1,85	3,1	3,6

4 მარტი

17.30	186	ტელსტარი-ჰაარლემი	1,35	3,5	7,0

5 მარტი

23.00	187	ზვოლე-ჰერაკლესი	1,55	3,2	5,6
23.00	188	ეინდჰოვენი-ოსი	1,9	3,0	3,5

ბელგია. I დივიზიონი. 24-ე ტური

3 მარტი

21.00	189	ლიერსი-ანდერლეხტი	3,8	3,1	1,8
23.00	190	მუსკრონი-ბევერენი	1,4	3,5	7,0
	191	მუსკრონი-ბევერენი 0:1	2,0	3,2	2,3
23.00	192	გენტი-შარლუა	1,55	3,0	6,5
23.00	193	გენკი-ანტვერპენი	1,6	3,3	5,3
23.00	194	ბეერსხოტი-მეხელენი	1,3	3,8	8,0
	195	ბეერსხოტი-მეხელენი 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	196	სტანდარდი-სენტ ტრუიდენი	1,25	4,4	8,0
	197	სტანდარდი-სენტ ტრუიდენი 0:1	1,8	3,3	2,8
23.00	198	ლუვიე-აალსტი	2,3	3,0	2,7

4 მარტი

18.00	199	ლოკერენი-ვესტერლო	2,3	3,0	2,9
18.00	200	ბრიუგე-ჰარელბეკე	1,15	5,6	10,0
	201	ბრიუგე-ჰარელბეკე 0:1	1,5	3,5	3,5

ბელგია. II დივიზიონი. 26-ე ტური

3 მარტი

22.30	202	გეელი-სერკლი	1,55	3,2	5,0
22.30	203	დესელი-დაინკე	2,1	2,9	3,2
23.00	204	ჰეკელგემი-ლომელი	5,3	3,3	1,5
23.00	205	ოსტენდე-რუსელარე	2,5	2,9	2,5

4 მარტი

18.00	206	დენდერლეუ-მონსი	2,1	3,0	3,1
18.00	207	ტინანი-ლიეჟი	1,8	3,1	4,0
18.00	208	სტრომბეკი-ინგელმუნსტერი	2,5	3,0	2,5
18.00	209	ტურნჰაუტი-მაასლანდი	1,45	3,4	6,5
18.00	210	მოლენბეკი-ჰეუსდენი	1,45	3,4	6,5

საბერძნეთი. 21-ე ტური

3 მარტი

21.00	211	ირაკლისი-არისი	1,75	3,0	4,2

4 მარტი

17.00	212	იანინა-ეთნიკოსი	1,85	2,9	4,2
18.00	213	პაოკ-პანილიაკოსი	1,15	5,6	10,0
	214	პაოკ-პანილიაკოსი 0:1	1,5	3,5	3,5
18.00	215	კალამატა-იონიკოსი	2,6	2,9	2,5
18.00	216	ქსანთი-ოფი	1,4	3,4	6,0
18.00	217	პანიონიოსი-ათინაიკოსი	1,55	3,3	5,3
21.00	218	ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	1,75	2,9	4,7

5 მარტი

19.00	219	პანაჰაიკი-აეკ	4,4	3,0	1,75

ჩეხეთი. მე-19 ტური

3 მარტი

19.30	221	ბეპლიცე-ვიტკოვიცი	1,6	3,3	5,3

4 მარტი

17.00	222	პრჟიბრამი-ბლშანი	1,45	3,5	6,0
17.00	223	ბანიკი-ბუდეიოვიცე	1,7	3,0	5,0
17.00	224	ბოჰემიანსი-დრნოვიცე	1,85	2,9	3,8
17.00	225	პლზენი-სინოტი	2,5	2,9	2,6
19.30	226	სიგმა-ბრნო	1,4	3,5	7,0
	227	სიგმა-ბრნო 0:1	2,0	3,2	2,3

5 მარტი

22.00	228	სპარტა-იაბლონეცი	1,15	5,6	10,0
	229	სპარტა-იაბლონეცი 0:1	1,5	3,5	3,5

თურქეთი. 23-ე ტური

3 მარტი

16.00	231	ანთალია-ადანა	1,65	3,2	5,0
16.00	232	იეთფა-გაზიანთეფი	4,2	3,1	1,75
16.00	233	იოზგათი-ფენერბაჰჩე	4,7	3,1	1,7
21.00	234	სამსუნი-ბურსა	1,7	3,1	4,2

4 მარტი

16.00	235	რიზე-დენიზლი	1,8	2,9	4,4
16.00	236	ქოჯაელი-ერზურუმი	1,45	3,5	6,0
21.00	237	ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ	1,25	4,4	8,0
	238	ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ 0:1	1,8	3,3	2,8

შოტლანდია. 30-ე ტური

3 მარტი

19.00	239	დანდი იუნაიტედი-სენტ მირენი	1,65	3,2	4,4
19.00	240	კილმარნოკი-აბერდინი	1,65	3,4	4,0
19.00	241	რეინჯერსი-ჰართსი	1,25	4,4	8,0
	242	რეინჯერსი-ჰართსი 0:1	1,8	3,3	2,8
19.00	243	სენტ ჯონსტონი-დანდი	2,2	3,0	3,1

4 მარტი

18.35	244	დანფერმლაინი-სელტიკი	5,6	3,2	1,5
22.05	245	ჰიბერნიანი-მოზერუელი	1,45	3,4	6,5

ავსტრია. 23-ე ტური

3 მარტი

18.30	246	ლინცერი-გრაცერი	2,5	3,0	2,5
18.30	247	ზალცბურგი-ადმირა	1,3	4,0	7,5
	248	ზალცბურგი-ადმირა 0:1	1,9	3,2	2,6
18.30	249	შტურმი-რიდი	1,4	3,5	7,0
	250	შტურმი-რიდი 0:1	2,0	3,2	2,3
22.30	251	ტიროლი-ბრეგენცი	1,2	5,0	9,0
	252	ტიროლი-ბრეგენცი 0:1	1,7	3,2	3,2

4 მარტი

19.30	253	აუსტრია-რაპიდი	2,4	3,0	2,7

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური

3 მარტი

20.30	254	სენტ გალენი-ლუგანო	1,85	2,9	4,2

4 მარტი

17.30	255	სიონი-გრასჰოპერი	2,5	3,0	2,5
19.15	256	ციურიხი-სერვეტი	1,95	3,0	3,6

შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-2 ტური

4 მარტი

17.30	257	ლუცერნი-ქსამაქსი	1,8	3,1	3,8
17.30	258	იანგ ბოისი-აარაუ	1,9	3,1	3,6
17.30	259	ივერდონი-ვინტერთური	1,75	3,0	4,4

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური

4 მარტი

17.30	260	ბადენი-დელემონი	2,5	3,0	2,5
17.30	261	სოლოთურნი-ლოკარნო	2,2	3,0	3,1
17.30	262	ვანგენი-თუნი	2,5	3,0	2,5
19.15	263	კარუჟე-კრინსი	2,4	3,0	2,7

კალათბურთი

3 მარტი

00.30	811	ვანკუვერი-ლეიკერსი	3,1	12,0	1,25
05.30	812	დალასი-ჰიუსტონი	1,4	12,0	2,3
05.30	813	მილუოკი-ჩიკაგო	1,05	12,0	7,5
05.30	814	სან ანტონიო-ატლანტა	1,05	12,0	7,5
06.00	815	ფინიქსი-დენვერი	1,25	12,0	3,1
07.00	816	პორტლენდი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5

4 მარტი

21.30	817	ტორონტო-ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
24.00	818	დეტროიტი-ორლანდო	2,0	12,0	1,5
24.00	819	ბოსტონი-შარლოტი	1,7	12,0	1,7
24.00	820	ინდიანა-ნიუ ჯერსი	1,15	12,0	4,0
24.00	821	ვაშინგტონი-იუტა	3,1	12,0	1,2
00.30	822	მინესოტა-სიეტლი	1,3	12,0	2,8
04.30	823	კლივლენდი-მაიამი	2,1	12,0	1,45
06.30	824	ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5

5 მარტი

04.30	825	ატლანტა-იუტა	3,1	12,0	1,25
04.30	826	მაიამი-დეტროიტი	1,1	12,0	5,0
04.30	827	ნიუ ჯერსი-მილუოკი	2,3	12,0	1,35
04.30	828	ორლანდო-დალასი	1,6	12,0	1,8
07.00	829	ვანკუვერი-სან ანტონიო	2,8	12,0	1,3
07.30	830	კლიპერსი-დენვერი	2,0	4,0	1,5

ჰოკეი

3 მარტი

22.00	908	ბოსტონი-სან ხოსე	2,2	4,0	2,0
24.00	909	კოლორადო-ბუფალო	1,55	4,0	3,2
04.00	910	ტორონტო-ოტავა	2,0	4,0	2,2
04.00	911	მონრეალი-ფილადელფია	2,8	4,0	1,65
04.00	912	აილენდერსი-ტამპა ბეი	1,6	4,0	3,0
04.00	913	ვაშინგტონი-პიტსბურგი	1,75	4,0	2,6
04.00	914	ატლანტა-ფლორიდა	1,75	4,0	2,6
07.00	915	კალგარი-სენტ ლუისი	2,5	4,0	1,8
07.00	916	ლოს ანჯელესი-დეტროიტი	2,3	4,0	1,9

4 მარტი

24.00	917	ჩიკაგო-კაროლინა	1,85	4,0	2,4
24.00	918	დალასი-ბუფალო	1,8	4,0	2,5
24.00	919	ნეშვილი-რეინჯერსი	1,9	4,0	2,3
02.00	920	ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი	1,3	4,0	5,6
05.00	921	ფინიქსი-კოლორადო	2,1	4,0	2,1
05.00	922	ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი	2,4	4,0	1,85
07.00	923	ვანკუვერი-მინესოტა	1,4	4,0	4,2

5 მარტი

04.00	924	რეინჯერსი-აილენდერსი	1,5	4,0	3,4
04.00	925	ფილადელფია-ბოსტონი	1,5	4,0	3,4

რაგბი. ექვსი ერის თასი. მე-3 ტური

3 მარტი

18.00	701	იტალია-საფრანგეთი	7,5	15,0	1,05
18.30	702	ინგლისი-შოტლანდია	1,05	15,0	7,5

ფეხბურთის "I ტაიმი/ძირითადი დრო" კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. XVI ტური. 31 თებერვალი - 1 მარტი

A ჯგუფი

ულქერი 92:88 ცეპტერი

ულქერი: აჩიკი (10), ერდენაი (13), გოლოვიჩი (26), გონლუმი (2), გიულერი (4), ჰენდლოგტენი (23), ლოლისი (14), ილდირიმი

ცეპტერი: ადომაიტისი (18), ავლიაში, კოსციუკი (2), მარქსი (2), მაკნაული (10), მიგლინიეკსი (11), ტომჩიკი (12), ვოიციკი (21), ზიელინსკი (10)

ლიეტუვოს რიტასი 92:93 სიენა

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (8), ა. იავტოკასი (2), რ. იავტოკასი (19), კაზლაუსკასი (11), მასიაულსკასი (19), შესტოკასი (6), შიშკაუსკასი (10), სლეზასი (17)

სიენა: ალბერტი (12), კიჩიგი (10), ბ. ევანსი (35), გორენეცი (8), გრეი (4), მეისი (17), როსეტი, სკარონე (7)

სპლიტი 84:78 ვილერბანი

სპლიტი: ბადეიმი (7), გრეგოვი (5), გრგურევიჩი (12), ლენდი (13), პოლიაკი (11), რენჩერი (10), სუბოტიჩი (3), ჟუჩიჩი (20), ჭიუჩი (3)

ვილერბანი: ბილბა (8), ბლომი (1), ედვარდსი (34), ფრიგუ (14), ჰოფმანი, პაშუტინი (17), პლუვი (4), სკიარა

ცსკა 69:68 რაანანა

ცსკა: ალანოვიჩი (2), ალექსეევი, დომანი (1), ეინიკისი (4), ფეტისოვი (10), კირილენკო (5), კუდელინი (20), ლარუ (9), პადიუსი (5), პეტრენკო (13)

რაანანა: კოენი, გუდესი (11), გრინი (5), იცხაკი (6), კანტორი (8), სელტერსი (14), სავანოვიჩი (13), სტანოევიჩი (11)

ალბა 79:71 პანათინაიკოსი

ალბა: ალექსისი (16), გარისი, კოტუროვიჩი (15), ლუტკე (4), ოზთურქი (8), პაპიჩი, პეშჩი (5), ფელპსი (20), როდლი (11), შულცე

პანათინაიკოსი: ალვერტისი (8), ბალოიანისი (3), ბოდიროგა (16), ბერკი (2), ფოტისი (12), ჯენტილე, კალაიძისი (5), კოხი (5), დ. მიდლტონი (3), რებრაჩა (17)

ცსკა	16	12	4	1274:1210	28
პანათინაიკოსი	16	11	5	1302:1217	27
სპლიტი	16	11	5	1211:1170	27
ულქერი	16	10	6	1311:1244	26
ალბა	16	8	8	1275:1252	24
ვილერბანი	16	8	8	1236:1225	24
ცეპტერი	16	7	9	1274:1272	23
ლიეტ. რიტასი	16	5	11	1330:1376	21
სიენა	16	5	11	1250:1329	21
რაანანა	16	3	13	1144:1312	19

B ჯგუფი

ირაკლისი 98:87 ბაიერი

ირაკლისი: ხაძივრეტასი (35), დიამანტიდისი (7), ჰუპმანი (1), კამარიოტისი (8), კარაგუტისი (8), კარასიოვი (12), ნაკიჩი (9), პაპადოპულოსი (17), პაპაიოანეიმი (1), ლიმპარისი

ბაიერი: ბესტი (28), ჩ. ევანსი (12), გაიბი (2), გისეკი (2), ტნდი (16), ჰენიკი (2), ჰაჩისონი (4), ლარკიო (9), ლოხმანნუკი (12)

სკავოლინი 118:97 ოსტენდე

სკავოლინი: ბუკერი (12), გიგენი (12), ჯონსონი (17), მაჯოლი (13), მანიფიკო (3), ლ. მიდლტონი (3), პანიკი, პეჩილე (12), ტრაინა (13), ტუშეკი (13), ძანელი (10)

ოსტენდე: ბეგინი, ბიგსი (15), დე ბელი (2), დოილი (24), ჰოლდენი (26), კულამი (5), მენამა (2), ჰეჰეა, პრაშკევიჩუსი (21), ვან დე კეერე, ვან დენ შიიგელი (2)

კრკა 97:92 პლანია

კრკა: ანზულოვიჩი (9), არაპოვიჩი (3), კორტნი (15), დევისონი (10), დონჩიჩი (13), დ. დრობნიაკი (20), გრუმი (19), პეტროვი (8)

პლანია: აულანდერი (6), ლუნდალი (17), ნიკოლასი (24), პარნი (19), პატიეიუნასი (9), ტომასი (17)

პო ორტეზი 80:93 მაკაბი

პო ორტეზი: დიავი (8), დიუბო (6), ესტელერი (11), ფოტუ, დ. გადუ (5), ლოუსონი (4), მაკკალოფი (17), მურეშანი (10), ფ. პიეტრუსი (3), მ. პიეტრუსი (16)

მაკაბი: ბრისკერი, ბურშტეინი (18), ჩურჩიჩი (4), ჰენფელდი (4), ბაფმანი (17), მაკდონალდი (14), პარკერი (20), რადოვიჩი, შარფი (5), შელეფი (11)

პარტიზანი 79:68 ეფესი

პარტიზანი: ბერჩიჩი (12), ჩანკი (5), კოტონი (2), გაიჩი, გლინტიჩი (18), მილისავლიევიჩი (16), პეტროვიჩი (12), ვარდა (14)

ეფესი: ბეშოკი, ბ. დრობნიაკი (14), მულამეროვიჩი (16), ოქური (18), ონანი (2), შჩეპანოვიჩი (5), თუნჩერი (6), ილმაზი (7)

მაკაბი	16	13	3	1426:1199	29
ეფესი	16	11	5	1290:1210	27
პარტიზანი	16	11	5	1338:1327	27
ირაკლისი	16	9	7	1337:1327	25
სკავოლინი	16	8	8	1395:1333	24
პო ორტეზი	16	8	8	1304:1271	24
ოსტენდე	16	7	9	1301:1376	23
კრკა	16	6	10	1246:1309	22
ბაიერი	16	5	11	1375:1436	21
პლანია	16	2	14	1222:1446	18

REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — ეფესი. ბრანკო მილისავლიევიჩი და ეფესელი ვლადო შჩეპანოვიჩი (№7)

ევროლიგა

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე).

საპასუხო მატჩები. 31 თებერვალი - 1 მარტი

ოლიმპია 79:81 კინდერი

კინდერმა მოიგო სერია 2:0

ოლიმპია: ველში (3), გოლემაცი (4), უდრიჰი (8), ბეჩეროვიჩი (25), მოდირჩი (5), ბრეფეცი (9), კოტნიკი (3), ევანსი, არსიჩი (13), მ. ფუკაუსკასი (9)

კინდერი: ჯინობილი (14), აბიო (10), ბონორა (4), იესტრატიევიჩი, ამბრასა, ანდერსენი (8), გრიფიტი (26), სმოდიში (8), იარჩი (11)

ტაუ 98:76 ოლიმპიაკოსი

ტაუმ მოიგო სერია 2:0

ტაუ: სკოლა (11), გარსია, ბენეტი (27), ვიდალი (2), ტიმინსკასი (9), შტომპერგასი (9), ალექსანდერი (10), ობერტო (21), კორჩიანი (9)

ოლიმპიაკოსი: ბუდურისი (3), ჟუკჩევიჩი (4), პაპანიკოლაუ (9), ეკონომუ (24), რიზაშე (13), სულისი, ტომიჩი (3), ფემერლინგი (8), რაჯა (6), რივერსი (6)

ბენეტონი 90:74 აეკ

სერიის ანგარიშია 1:1

ბენეტონი: ნიკოლა (10), ბრაუნი (27), პიტისი (5), მარკონატო (4), ბულერი, ნაუმოსკი (17), სანტოსი (2), ნახბარი, ტომიდი (6), გარბახოსა (19)

აეკ: სტეფანოვი (10), ჰანსელი (6), ჰამინკი (2), ხაძისი (10), ქუთლუაი (6), დიკუდისი (12), მიუურსეპი (9), ბეტსი (13), კაკიუზისი (6)

რეალი 88:57 ფორტიტუდო

სერიის ანგარიშია 1:1

რეალი: ა. ანგულო (11), სტრიულენსი (8), ჯორჯევიჩი (13), ლ. ანგულო (10), ნუნიესი (9), ერეროსი (8), მილიჩი (11), ზიდეკი (15), იტურბე (2), ელსავა (1)

ფორტიტუდო: ოტრი (6), ფუჩკა (7), დე პოლი (7), მაიერსი (5), ს. ვრანკოვიჩი, ბაზილე (8), ბოუი (9), ე. ფუკაუსკასი (4), გალანდა (5), მენეგინი (6)

გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 7 მარტს

Euroleague

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სიბრძნე ადმირალისა

1 მარტი

სან ანტონიო 91:71 ფინიქსი

სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ფინიქსი: დელკი (18)

კლივლენდი 99:101 სიეტლი

(ძირითადი დრო 93:93)

კლივლენდი: მიურეი (21 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (18)

სიეტლი: პეიტონი (27), პატერსონი (22), ვილიამსი (18)

ნიუ იორკი 95:88 ბოსტონი

ნიუ იორკი: კემბი (27 ქულა, 17 მოხსნა), ჯონსონი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (23), ვილიამსი (21)

ვილუოკი 91:108 ჰიუსტონი

მილუოკი: კასელი (23), რობინსონი (19)

ჰიუსტონი: ფრენსისი (29), ანდერსონი (21)

პორტლენდი 94:81 კლიპერსი

პორტლენდი: საბონისი (23), სტუდემაიერი (17)

კლიპერსი: პიატკოვსკი (15)

ექსჩემპიონ „სან ანტონიო სფურზს“ „ფინიქს სანზის“ ჯინი სჭირს. შარშან პლეი ოფის პირველივე წრიდან სწორედ „ფინიქსმა“ გამოაგდო ჩემპიონი „სფურზი“, რაშიც ტიმ დანკანის არყოფნამაც წააველა ხელი. დღესდღეობით დანკანი ფორმაშია და მისი დახმარებით „სან ანტონიომ“ იოლად დაჩაგრა მეტოქე. „ფინიქსს“ ასე ცოტა ქულა მიმდინარე სეზონში არ ჩაუგდია, რაც, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ წამყვანი მოთამაშეები, შონ მარიონი და ანფერნი ჰარდეკეი აკლდა. თუმც „ფინიქსის“ ლიდერთა არყოფნა სულაც არ აკნინებს „სფურზს“. დანკანმა იოლად შეასრულა დუბლი, რომელიც მის ოთხწლიან კარიერაში მე-200 გამოდგა. ათზე მეტი ქულა-მოხსნის მოხვეჭა არც დანკანის უფროს თანაგუნდელს, დევიდ რობინსონს გასჭირვებია. მას ახალბედა იაკოვოს ცაკალიდისის წინააღმდეგ თამაში უწევდა და „ადმირალმა“ ყმაწვილ ბერძენ ცენტრს გაკვეთილი ჩაუტარა. სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი ცაკალიდისი წინა შეხვედრაში „ორლანდოსთან“ რიგიანად ირჯებოდა, პირად კარიერაში ყველაზე მეტ, 17 ქულასაც მოუყარა თავი, გამოცდილ რობინსონთან ჭიდილში კი ქულაც ვერ მოიპოვა და მისმა მონაგარმა მხოლოდ ოთხი მოხსნა შეადგინა.



REUTERS კლივლენდიდან

კლივლენდი — სიეტლი. ჯელანი მაკკოიმ კლივლენდელ კრის გეტლინგს ჩაუტენა

გაზაფხულის პირველი დღე კიდევ ერთი ტესასური გუნდისთვის, „ჰიუსტონისთვის“ გამოდგა იღბლიანი. „რაკეტებს“ მიმდინარე სეზონში ცენტრალური დივიზიონის წარმომადგენელთან არ წაუგიათ და არც ამჯერად მოეცარათ ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის უძლიერესს, „მილუოკის“ ხვდებოდნენ, ამასთან, მისსავე მოედანზე, სადაც „მილუოკის“ „ჰიუსტონზე“ ბევრად ღონიერი მეტოქენიც დაუჩოქებია.

დღის ყველაზე დაძაბულ შეხვედრას „კლივლენდ კავალიერზმა“ უმასპინძლა და მორიგი მარცხიც მიითვალა. კლივლენდური „კავალერია“ სტუმარ „სიეტლს“ ბოლო მეოთხედში ათ ქულას უგებდა, მაგრამ იმდენი ჭა, სიეტლელთა სათადარიგო გამთამაშებელ შემონდ ვილიამსს ანგარიში გაათანაბრებინა. ბრძოლა ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც „კლივლენდი“ საწყის ორ წუთში 6:2, მთლიანობაში კი 99:95 დაწინაურდა და გულშემატკივრებს მოგების იმედიც ჩაუსახა. და სწორედ იმ დროს, როცა მასპინძლებს ეგონათ, ძირითად დროში დაკარგული დამატებითში ავინაზღაურეთო, სიეტლური დაცვითი მანქანა ამუშავდა და დარჩენილ სამ წუთში „კავალერიას“ ექვსი უპასუხო ქულა შეაგება.

„პორტლენდს“ დასავლეთში პირველობის პრეტენზია აქვს, მაგრამ, თავისდა სამარცხვინოდ, უხეირო „კლიპერსთან“ ამ სეზონში ორჯერ წაგება მოასწრო. „ბლეიზერსი“ პირველი ნახევრის შემდეგ ამ თამაშსაც აგებდა 45:46, რამაც კიდევ ერთხელ შერცხვენის პერსპექტივით შეშფოთებული მასპინძლები გოხს მოიყვანა. „პორტლენდს“ ბებერი ლიტველი ცენტრი, არვიდას საბონისი წაუძღვა. თავისი საამმატჩო 23 ქულიდან 15 მან მეორე ნახევარში მოინაგრა და ეს ტაიმი თავისიანებს 49:35 მოაგებინა.

ირაკლი ფირაგვილი



თებერვლის საუკეთესო ტრეისი მაკგრეიდი • ორლანდო •

თებერვალი მიიწურა და თვის რჩეულთა დასახელების დროც დადგა. საუკეთესო მოთამაშედ „ორლანდო მეჯიქის“ ჭაბუკი სუპერვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიდი აღიარეს, რომელმაც თავის გუნდს ამ თვეში 12 თამაშიდან 9 მოაგებინა.

21 წლის მაკგრეიდის თამამად შეუძლია თქვას, რომ ასეთი ნაყოფიერი თვე ოთხწლიან კარიერაში არ ჰქონია. თორმეტი მატჩიდან იგი ათში ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში. 20 თებერვალს მან „ფინიქსს“ 44 ქულა ჩაუგდო და კარიერის რეკორდი დაიმყარა. საბოლოოდ მაკგრეიდის თებერვალის თამაშებში საშუალოდ 29,3 ქულა, 7,8 მოხსნა, 4,4 პასი, 1,5 ჩაჭრა და 1,5 დაფარება მოუგროდა, მისმა სასკოლო შედეგიანობამაც 27,1 ქულას უწია. ეს კი ლიგაში მეშვიდე და თავისთავად არცთუ ურიგო შედეგია პირტიტველა ყმაწვილისთვის. ისიც აღსანიშნავია, რომ მაკგრეიდმ 11 თებერვალს „ოლ სტარშიც“ ითამაშა, ამასთან, აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულშიც აირჩიეს, მაშინ, როცა ამ კონფერენციაში მის ამპლუაში ბევრი კარგი კალათბურთელი თამაშობს.

თვის საუკეთესო თამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში მაკგრეიდმ აჯობა ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან ალენ აივერსონი, კარლ მელოუნი და რეი ალენი.

თებერვლის რჩეული ახალბედაც ორლანდოელია, მაიკ მილერი, რომელმაც ამ თვეში საშუალოდ მატჩში 15,6 ქულა და 3,6 მოხსნა შეაშველა „ჯადოებს“. მილერს ტიტულში ეცილებოდნენ ნიუჯერსელი კენონ მარტინი, გოლდენსტეიტელი მარკ ჯეკსონი, კლიპერსელი დარიუს მილზი და „ფინიქსის“ ცენტრი იაკოვოს ცაკალიდისი. ეს უკანასკნელი ტომით ბერძენი გახლავთ, დაბადებით კი სოხუმია დაბადებული, ფეხიც იქ აიდგა და კალათბურთსაც ამ ქალაქში ეზიარა.

თებერვალ საუკეთესო მწვრთნელის წოდება არავის დაანება „იუტა ჯაზის“ მხცოვანმა დამრიგებელმა ჯერი სლოუნმა, რომელმაც ამ თვეში შეგირდებს თორმეტი თამაშიდან ათი მოაგებინა და დასავლეთ კონფერენციის საერთო ცხრილის სათავეშიც აღაზევა.

ხელებს ნუ იბანთ, ბრაზობს პრემიერი

ფინეთში სადოპინგე რია-რიამ პირამდის პიკს უწია. გუშინწინ კომენტარები გააკეთეს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა და თვით პრეზიდენტმა. ყველაზე მაღალი პერსონა შეშფოთებული ჩანდა. „მომხდარმა ფინეთის საერთაშორისო რეპუტაცია შერყვნა“ — განაცხადა ფინეთის პრეზიდენტმა ტარია ჰალონენმა. პრემიერმა პაავო ლიპონენმა უფრო კონკრეტულად ილაპარაკა. მან ფინეთის თხილამურობის ასოციაციას (ფსა) ხელების დაბანა კი არა, თავისი წილი პასუხისმგებლობის გაზიარება მოსთხოვა, როგორც კულტურის მინისტრმა სუვი ლინდენმა წინადღით. „არ კმარა ყველაფრის მოთხილამურეებზე, მწვრთნელებსა და ექიმებზე დაბრალება — აღნიშნა ლიპონენმა — ცნობილია, რომ ასოციაცია სპორტსმენებზე ზემოქმედებდა, რათა მათ საუკეთესო შედეგები ეჩვენებინათ. ეს დოპინგის მიღების ირიბი საბაბი მაინც იყო“. ამხელა კაცის ნაუბრის მიუხედავად, ფსა-ს შეფი პაავო პეტაია გადადგომის შესახებ არაფერს ამბობს, უფრო სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე საუბრობს. „მომხდარის მიუხედავად, იქ წესიერი ნაკრები უნდა გავგზავნოთ“ — აცხადებს პეტაია, თუმცა ეს ამბავი რომ გაჭირდება, ცხადია. იარი იზომეცას და ანე ინონენს უკვე გამოუწერეს ორწლიანი უქმობა, იგივე ელით მიკა მულულას, ჰარი კირვისნიემისა და ორ რჩეულ მანდილოსანს. ვინღა დარჩა?

სამოძავლოდ მსგავსი შემთხვევები რომ არ დაუშვას, ფინეთის მთავრობა ახალ კანონს ამზადებს, როგორც ეს საგარეო საქმეთა მინისტრ ერკი ტუომიოიას განცხადებაში ჩანს. „კანონის ამუშავების შემდგომ დოპინგად აღიარებული ნივთიერებების ფინეთში იმპორტი, წარმოება და გავრცელება კრიმინალად ჩაითვლება“. — აღნიშნა ტუომიოამ. უპრიანი იქნებოდა, ფინეთის მაგალითისთვის დანარჩენ ქვეყნებსაც მიებაძათ და ზომები იქამდე მიეღოთ, სანამ რამე მომხდარა. ბოლო დღეებში ათასი ხმა ისმის, თითქოს სხვა ქვეყნების მოთხილამურეებიც იყენებდნენ აკრძალულ ნივთიერებებს, რამაც ყველაზე ადრე ნორვეგიელები შეურაცხყო. მათ ლაჰტის მსოფლიოს პირველობა საუკეთესო შედეგით (6 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო) დატოვეს და გული ყველაზე მეტად ეტკინათ. ნორვეგიელთა მთავარი მწვრთნელი პაალ გუნარ მიკელსპლასი აცხადებს, რომ ყოველი მოთხილამურე მზადაა, ტესტირება გაიაროს და ამით საკითხის ირგვლივ ყოველგვარ სპეკულაციას ბოლო მოეღოს.

უფრო ცნობილი ნორვეგიელები კი კვლავ გამოთქვამენ უარყოფით აზრებს დოპინგის შესახებ. „ტრაგიკული დღეა“ — უთხრა ბიორნ დელიმ ტაბლოიდ „ვერდენს განგს“, როცა იზომეცას შემდეგ მულულას ამბავი შეიტყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვეგარდ ულვანგმა დაახლოებით იგივე საგენტო NTB-ს განუცხადა.

დავით გულუა

საქართველოს ჩემპიონატი

ბასკომ მოგვანყინა: უჩვეულო არაფერი ხდება

2 მარტი. ბათუმი

ბასკო 105:76 აზოტი

26:18, 21:16, 26:24, 32:18

ბასკო: როჯერსი (20), ბეჟანიშვილი (14), ორმოცაძე (10), ვ. ნაცვლიშვილი (22), კილაძე (8); მ. მარკოიშვილი (10), გ. ნაცვლიშვილი (5), ნიკოლაძე (7), ქარაბაკი (2), აბრამიძე (2), საყვარელიძე (2), კეშელავა (3)

აზოტი: ულენტი (12), გოგობერიშვილი (15), ბაბიაშვილი (2), ჯაფარიძე (6), შენგელია (10); კოკოლიშვილი (7), ტურაშვილი (15), ბერუაშვილი (9), გაბისონია, ჩაჩუა

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

„ბასკოს“ ბათუმური უძლეველობის მითი არც ახლა დაიმსხვრა. გუშინდელი მეტოქენი ამ სეზონში მესამედ შეიყარნენ, აქედან ზღვისპირეთში — მეორედ და ყველა შემთხვევაში ტაბლოს „ბასკოს“ იოლი გამარჯვების მანიშნებელი ანგარიში შერჩა.

არადა, „აზოტის“ ჩემპიონთან ბრძოლას ყველა ინტერესით ელის, იქნებ რამე უჩვეულო მოხდესო. ცხადია, ამაში „ბასკოს“ მარცხს გულისხმობენ, მაგრამ ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ რუსთაველებს ორი ლიდერი შეემატა — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე. ჰოდა, ინტრიგაც აგორდა: ეგ არის და „ბასკოს“ ძლევა შეიძლებაო. თუმცა პორტუგალიიდან დაბრუნებული რუსთაველები სასურველი ფორმიდან შორს რომ არინ, ამ მატჩმაც ნათლად დაგვანახა.

თამაში ორივე გუნდმა ნერვიულად დაიწყო. უშედეგო შეტევები წუთნახევარს გაგრძელდა. მერე ვალერი კილაძემ ერთი საჯარიმოთი ანგარიში გახსნა და „აზოტის“ მთავარი დაღმასვლა მყისვე დაიწყო. კიდევ ორი წუთი და ბეჟანიშვილის მცდელობით „ბასკო“ 7:0 დაწინაურდა. რუსთაველებმა პირველი ქულა მეოთხე წუთზე გააკეთეს, როცა შენგელიამ ორი საჯარიმოდან ერთი გამოიყენა. იქვე ვახტანგ ნაცვლიშვილიც ათამაშდა და „აზოტის“ მწვრთნელის, ოთარ ხმელიძის პირველი წუთშესვენებისას ანგარიშში სხვაობა 13-ქულიანი იყო — 14:1.

მწვრთნელის დარიგებამ სტუმართა თამაში დროებით კი დაალაგა, მაგრამ ყმაწვილი მანუჩარ მარკოიშვილის გამოჩენამ და მისმა ზუსტმა სროლებმა მამუკა ტურაშვილის და კახა შენგელიას ძალისხმევა წყალში ჩაყარა. პირველი მეოთხედი მარკოიშვილის სროლით მორჩებოდა, ტურაშვილს ბოლო წამზე სამქულიანი რომ არ ჩაგდო — 26:18.

მეორე მეოთხედის დასაწყისი კვლავ „ბასკოსი“ იყო. გამთამაშებელმა ჯეფ როჯერსმა არჩილ ულენტის მეურვეობას ხომ გაართვა თავი, თან შეტევისთვისაც მოიცალა. მას არც გიორგი ნიკოლაძე ჩამორჩა და მეოთხედის შუაწელში სხვაობამ 21 ქულას მიაღწია — 39:18.

ალეგუშეკა ფხაკაძე ბათუმიდან

ბასკოელი ვახტანგ ნაცვლიშვილი (№13) და ზვიად ბაბიაშვილი ფარზე ბრძოლისას

ჯეფ როჯერსი რუსთაველ რამაზ გოგობერიშვილს გაექცა

18 ქულაზე „გაყინულმა“ „აზოტმა“ მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღვიძა და ოდნავ შვებამიცემულმა ჟენტმა სხვაობა შეამცირა. ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე „ბასკოს“ ლევან ქარაბაკი მძიმედ დაუშავდა. მან ფეხი იტკინა. ქარაბაკის წამლობას თამაშის შეჩერება მოჰყვა. განახლებისთანავე რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი გააქტიურდა და ტაიმი „ბასკომ“ 47:34 მოიგო.

მესამე მეოთხედში თამაში ქულა-ქულაში წარიმართა. მასპინძელთაგან კვლავ როჯერსმა აიწყვიტა, ხოლო სტუმართაგან ტურაშვილმა, ჟენტმა და ბერუაშვილმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდეს. მათ პირველ ტაიმში ჩრდილში მყოფი გოგობერიშვილიც აჰყვა და ანგარიშში სხვაობა ოდნავ შემცირდა.

აქ კი გაბისონიას უმტყუნა ნერვებმა. იგი მსაჯმა მაჩალაძემ დაავარიმა, რუსთაველთა აზრით ყოვლად უსაფუძვლოდ. გაბისონიამ პროტესტი გამოხატა და კინაღამ მაყურებელთან კონფლიქტი შეემთხვა. მსაჯებმა მისი ქმედება ტექნიკური ჯარიმით შეაფასეს და როჯერსმა ხუთი საჯარიმო ესროლა. აქედან ზუსტი მხოლოდ ორი იყო. თუმცა, ნიკოლაძემ იქვე სამიანი მიაყოლა და „ბასკო“ უფრო დაწინაურდა.

ამის შემდგომი მონაკვეთი ტუტორობისა იყო და გოგობერიშვილმა და ჯაფარიძემ ჩამორჩენა საგრძნობლად შეამცირეს — 63:54.

ეს იყო და ეს. როჯერსის პასით ვახტანგ ნაცვლიშვილის ულამაზესმა ჩატენვამ „ბასკო“ იშტაზე მოიყვანა. მეოთხე მეოთხედი ჯაფარიძისა და ბეჟანიშვილის კინკლაობით დაიწყო. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩაწყნარდა და „ბასკომ“ როჯერსისა და ორმოცაძის მეთაურობით პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე. საათადარიგოებმაც გამოიღეს ხელი და „აზოტმაც“ ნელ-ნელა მოუკლო წინააღმდეგობას. ანგარიშიც თვალნათლივ იზრდებოდა. ლაშა კეშელავას სროლით ასქულიანი ზღვარი გადაილახა, ხოლო აბრამიძემ და მარკოიშვილმა მატჩს წერტილი დაუსვეს.

მატჩის შემდეგ

მოგების მიუხედავად „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტოგარაძე ნირწამხდარი იყო: „ქარაბაკის ტრავმამ ეს მოგება წაგების ტოლფასად გვიქცია. ტრავმის სერიოზულობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ თავად ფაქტია სამწუხარო. თამაშზე რა გითხრათ? „აზოტის“ ძალა სრულად ჯერ არ წარმოჩენილა. ჯაფარიძის და გოგობერიშვილის ათამაშების შემდეგ რუსთაველთა თამაში ძირეულად გადახალისდება და პლეი ოფისთვის მათი სახით ძლიერი მეტოქე გვეყოლება. დღეს კი ჩვენ იოლად ვიმარჯვეთ.“

ოთარ ხმელიძე („აზოტის“ მთავარი მწვრთნელი): „მიუხედავად იმისა, რომ დიდი სხვაობით დავმარცხდით, მაინც დაძაბული თამაში იყო. ჩვენ სასურველი ფორმიდან ჯერ შორს ვართ. გუნდი შეუთამაშებელია, რადგან ერთად მხოლოდ აქ, ბათუმში ვივარჯიშეთ. ისე კი, მსაჯმა თამაში გააფუჭა, როცა გაბისონია დაავარიმა. სიტუაცია დაიძაბა, თორემ უფრო ლამაზი ბრძოლა იქნებოდა.“

ბასკო	21	21	0	2110:1547	42
აზოტი	19	14	5	1573:1390	33
სტუ-ჯეოსელი	18	13	5	1683:1540	31
მაკაბი	18	10	8	1579:1490	28
თსუ	19	7	12	1608:1731	26
შევარდენი	19	7	12	1456:1533	25

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ჩეხმანეკმა ჩეხი აქო

1 მარტი

ბოსტონი 3:1 ტამპა (0:0 1:1 2:0)

0:1 ლეკავალიე 22 (17), 1:1 ტორნტონი 34 (21), 2:1 ტორნტონი 50 (25), 3:1 ტორნტონი 60 (26)

ვაშინგტონი 2:3 ტორონტო (0:0 1:2 1:0 0:1)

1:0 გონჩარი 25 (15), 1:1 პერო 28 (19), 1:2 პერო 39 (20), 2:2 საკო 52 (51), 2:3 რობერტსი 62 (24)

ჩიკაგო 2:2 სენტ ლუის ბლუზი (0:1 2:1 0:0 0:0)

0:1 ლ. რობიტაილი 4 (31), 0:2 გ. მიურეი 21 (13), 1:2 დაზე 31 (27), 2:2 ამონტე 40 (31)

ოტავა 8:4 სან ხოსე (2:2 3:2 3:0)

1:0 იაშინი 2 (29), 1:1 ნოლანი 6 (19), 2:1 ფიშერი 10 (4), 2:2 ჰარვი 11 (8), 3:2 ალფრედსონი 21 (17), 3:3 მატო 22 (11), 4:3 ალფრედსონი 23 (18), 5:3 მაკიჩერნი 29 (23), 5:4 ნოლანი 30 (20), 6:4 ალფრედსონი 42 (19), 7:4 ბონკი 53 (19), 8:4 ჰოსა 60 (226)

პილენდერსი 1:3 კაროლინა (1:3 0:0 0:0)

0:1 ბრინდამორი 6 (14), 1:1 სკაჩარდი 11 (14), 1:2 ფრენსისი 13 (13), 1:3 ოზოლინში 18 (6)

ნეშვილი 2:5 კოლუმბუსი (0:2 1:2 1:1)

0:1 სანდერსონი 12 (28), 0:2 ჰაინცი 14 (21), 0:3 სანდერსონი 30 (29), 0:4 ჰაინცი 34 (22), 1:4 ტიმონენი 40 (12), 1:5 ნუმელინი 60 (3), 2:5 რ. რობიტაილი 60 (6)

ფილადელფია 2:0 გუშგალი (0:0 2:0 0:0)

1:0 პრიმო 24 (28), 2:0 დეფარდენი 34 (12)

კალგარი 1:1 მინესოტა (0:0 0:0 1:1 0:0)

0:1 გაბორიკი 43 (15), 4:1 უიმერი 55 (8)

სანხოსელები მოუთმენლად ელოდნენ ოუენ ნოლანის დაბრუნებას. ზუსტად ერთი თვის წინანდელის საქციელმა ერთობ დააზარალა ისიც და მისი გუნდიც. „ზვიგენთა“ კაპიტანი დალასელი გრანტ მარშალს უხეშობის გამო თავადვე გაუსწორდა და 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მან მთელი თებერვალი გამოტოვა. ნოლანს, როგორც თავად ამბობს, ერთი სული ჰქონდა, ყინულზე დაბრუნებულიყო, მით უმეტეს, რომ მის არყოფნაში გუნდს ძალიან გაუჭირდა, ზედიზედ ორი მარცხი იწვინია, თანაც ბოლო მატჩში სენტ ლუისმა 7:2 გაანადგურა. ამიტომაც ნოლანმა ოტავასთან ეროთბ მოიწადინა, კარგად გაუძღვა პარტნიორებს და თავადაც ორი გოლი გაიტანა, მაგრამ... სულ ახლახან ლიგაში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე (სენტ ლუისთან მარცხამდე მხოლოდ 132 შაიბა ჰქონდა გაშვებული) სანხოსელთა დაცვა კვლავ უსუსურად გამოიყურებოდა და ვერც მეკარეებმა გამოიჩინეს თავი. ევგენი ნაბოკოვი, რომელიც „კოლდერ ტროფის“ მთავარი მაძიებელია, წინა მატჩში შვიდი შაიბის გაშვების შემდეგ ისევ არადამაჯერებლად თამაშობდა. მესამე გოლის მერე იგი სტივ შილდსმა შეცვალა, თუმცა მადაზე მოსულმა ოტაველებმა არც ის დაინდეს და ხუთჯერ გამოატანინეს შაიბა კარიდან. „სენატორები“ იმ დღეს უზუსტესად ურტყამდნენ მიზანში. მათმა ოთხივე სამეულმა აწიოკა მეტოქე. გოლებს მოწყურებული კაპიტანი დანიელ ალფრედსონი შეუჩერებელი იყო. მეორე პერიოდის ორწუთიან ინტერვალში მან ორჯერ გაიყვანა წინ თავისიანები, მესამის დასაწყისში კი ალექსეი იაშინის დახმარებით ჰეთრიქი შეასრულა და საბოლოოდ გატეხა „ზვიგენები“. „ცხადია, გაწბილებული ვარ ჩემების თამაშით, მაგრამ ოტავამ დღეს ნამდვილად გამოოგნა. მისი მთელი შეტევითი ხაზი მრისხანედ გამოიყურებოდა“ — თქვა მატჩის შემდეგ სანხოსელთა თავკაცმა დერილ სატერმა.

ბოსტონისა და ტამპას შეხვედრა 1997 და 1998 წლების დრაფტების პირველი ნომრების — ჯო ტორნტონის და ვენსან ლეკავალიეს დუელად იქცა. ორივემ გაამართლა იმედები. ლეკავალიემ 19 წლის ასაკში მიაღწია კაპიტნობას, მაგრამ საუკეთესოთაგან მაინც მეტს ელიან. ამიტომაც ტორნტონს მუდამ მკაცრი მაიკ კინენი მაინც აკრიტიკებდა. ალბათ იმიტომ, რომ თავკაცმა იცის, რისი გაკეთება ძალუძს მის შეგირდს. ასე რომ, დღეს იგი ფრიად კმაყოფილი უნდა იყოს. თებერვლის შუა რიცხვებიდან ჯო აშკარად უკეთ ათამაშდა და მისი ჰეთრიქიც სწორედ ამაზე მეტყველებს. ლეკავალიემ კი მას მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა.

ბუფალოს მეკარე დომინიკ ჰაშეკს წლეულს ძალიან იღბლიანი კონკურენტი გამოუჩნდა. 29 წლის ფილადელფიელმა რომან ჩეხმანეკმა ყველა დაარწმუნა თავის სტაბილურობასა და საიმედოობაში, მაგრამ მას განსაკუთრებით კარგად გამოსდის თამაში ბუფალოსთან. „ხმლებთან“ რიგით მესამე შეხვედრაში რომანმა მესამე შათაუტი მიითვალა და მათი საერთო რაოდენობით (8) სახელოვან ჩეხს გაუტოლდა. მართალია, ამჯერად მას ბევრი საქმე არ ჰქონდა, მაგრამ ორჯერ სამჯერ ნამდვილად იხსნა თავისი გუნდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მესამე პერიოდში კერტის ბრაუნს მოუგო პირადი დუელი. „დომინატორი“ მაინც საუკეთესოა. ის აგერ უკვე შერამდენე წელია, თამაშობს, მე კი მხოლოდ ვსწავლობ მისგან“ — მოკრძალებით აღნიშნა ჩეხმანეკმა თავის თანამემამულეზე.

სეზონის დებიუტანტ მინესოტას კი კაპიტნების ყოველთვიურად შეცვლა ტრადიციად ექცა. გასაგებიცაა, „ციხეურ ჟაკეტებს“ ხომ აშკარად გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ. მცველი ბრედ ბომბარდირი ასრულებდა ამ მოვალეობას იანვარსა და თებერვალში, ახლა კი მან უფლებამოსილება ჰენდრიქსონს გადასცა, თუმც შესაძლოა, მომავალში იგი ნორჩმა სლოვაკმა მარიან გაბორიკმა შეცვალოს. 18 წლის ბიჭუნა, რომელიც 2000 წლის დრაფტში მესამე ნომრად აირჩიეს, კლუბის საუკეთესო მეგოლეა. კალგარისთანაც ხომ გუნდის ერთადერთი (მისთვის მე-15) გოლი მან გაიტანა.

საბველ ლარიბიანი

მძლეოსნობა

საბო — სეკელი, ლანძღვა-ჩივილი

რუმინეთისა და მსოფლიოს ორი რჩეული მძლეოსანი, გაბრიელა საბო და ვიოლეტა სეკელი, წაიჩხუბნენ. ორიოდე დღის წინ საბო რუმინეთის PRO TV-ს ესაუბრა და სხვათა შორის ასეთი რამეც თქვა, „შტუტგარტის გრან-პრის“ ორგანიზატორებს სეკელის ნახვა ძლიერ არ ეპიტნავებათ და ამიტომაც არ მიიწვიეს იქ სარბენადო. შემდეგ მაყურებელმა იხილა, როგორ სთხოვა საბომ ჟურნალისტებს, ეს ამბავი არ გაავრცელოთო, მაგრამ ნათქვამი ეთერში გაიჭრა და აღრესატის პროტესტმა არ დაახანა. სეკელმა გუშინ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. „საბომ ჩემი ღირსება ხელყო — განუცხადა მან „როიტერის“ სააგენტოს — მე მას ვუჩივლე და მორალურ და მატერიალურ ანაზღაურებას მოვთხოვ. ჩემი ადვოკატი საამისოდ უკვე მუშაობს“.

არადა, წინადღით ყველაფერი საუცხოოდ იყო. ორივე მძლეოსანი რუმინეთის ნაკრებში მოხვდა, რომელიც მომავალ კვირას ლისაბონში ჩავა და დარბაზების მსოფლიოს პირველობაზე იღვაწებს. 5000 მეტრზე ოლიმპიურ ჩემპიონ საბოს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, 1500 მეტრზე ირბინოს, 3000-ზე (რომელშიც დარბაზების მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის) თუ ორივე დისტანციაზე. ყოველ შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, ლისაბონში საბომ და სეკელმა გვერდიგვერდ ასპარეზონ. ეს ამბავი რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ იოლანდა ბალასსაც ეამაყებოდა. „ეს იქნება ყველაზე დიდებული შოუ ლისაბონში“ — მისი სიტყვებია. ახლა წყალი აიმღვრა. ცხადია, ბოლომდე არავინ განავრცობს საბოზე რუმინეთის კანონს, რომელიც აღწერილ შემთხვევაში ორწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. საუბარი, ალბათ, ფულად ჯარიმაზე იქნება.

დავით გულუა

REUTERS ლას ვეგასიდან

გულში რა ჰქონია?!

ესაც ამბავი. მაიკ ტაისონი, რომელიც გასულ შემოდგომაზე ამბობდა, კრივს ვეთხოვებიო, ახლა ლას ვეგასში ჩასულა თავის მრჩეველ შელი ფინკელთან ერთად, კრივზე მწერლები შეუყრია და გამოუცხადებია: მე უნდა ვეჩხუბო ევანდერ ჰოლიფილდს, მერე ლენოქს ლუისს და შევიქნა მსოფლიოს უდავო ჩემპიონით.

ტაისონს უთქვამს, რომ მისი შემდეგი შეტოქე სწორედ ჰოლიფილდ — ჯონი რუისის საჩემპიონო რემატჩში გამარჯვებული მოკრივე იქნება. ამ ორთა ბრძოლა კი დღეს გაიმართება ლას ვეგასის „შუნდალი ბეი რიზორთ ენდ კაზინოში“.

იფ...

შეხვედრიან

დუბაის „ჯაბელ ალი ჰოტელში“ ერთმანეთს წაყრიან მეგოლფე ტაიგერ ვუდსი და ჩოგბურთელი პატრიკ რაფტერი. პირველი იქაური „დუბაი დიზერთის“ ტურნირში მონაწილეობს, მეორე კი უკვე გავარდნილა დუბაის ღია ჩემპიონატიდან. ჰოდა, რაფტერს უთქვამს, ახლა დრო ბევრი მაქვს დავჯდები და ვუდსის ყვანჯოსნობას ვუყურებო.

REUTERS დუბაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი სინგაპურიდან

REUTERS სინგაპურიდან

„მანჩესტერ იუნაიტედი“ რომ მთელ მსოფლიოში მისდევს წარმატებულ ბიზნესს, ცნობილი ამბავია. განსაკუთრებულად ყვავის საკლუბო საქმეები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სინგაპურში კი საერთოდაც ფეხბურთი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰგონიათ. ვიზას ახალ საკრედიტო ბარათს, სწორედ კლუბის სინგაპურული ოფისის წარმომადგენელი ჯერემი გუნი წარუდგენს მედიას. „იუნაიტედის“ სამოსი, სუვენირები, რაღა თქმა უნდა, აქციები და საკრედიტო ბარათები აზიაში, ეს ყველაფერი ძალიან ბევრი მილიონის მომტანია.



REUTERS კლივლენდიდან

ბოლო წამი

სიეტლელი შემონდ ვილიამსის ზუსტმა ტყორცნამ „სუპერსონიქსს“ სულ ბოლო წამს მოაგებინა თამაში „კლივლენდ კავალიერზთან“. სიეტლელთა ლიდერი გერი პეიტონი კი ჩვეულად, ბიჭბუჭურად ხარობს გამარჯვებით. ოფიციალურად კი 101:99 ნამიწისძვრალ სიეტლელთა სასარგებლოდ.

REUTERS ბომბეიდან

კვლავ ოზები

ბომბეიში, ავსტრალიელმა მოკრიკეტეებმა ბოლომდე მიიყვანეს საქმე, მასპინძლები საბოლოოდ მოგუდეს და ინდოელებთან ზედიზედ მეთექვსმეტე სატესტო გამარჯვება ჩაიწერეს. ტესტის პირველ დღეს, ბომბეელი ქომაგები თავიანთ გუნდს აუჯანყდნენ და სულ უმაქნისები უძახეს, მეორე დღეს კი გამარჯვებულ ოზებს სულ ხელები დაუკოცნეს. ჯულკრისტმა ძლივს გამოართვა ხელი ნამდვილი კრიკეტის დამფასებელ ბომბეელებს. ავსტრალიელებმა კი ჩვეული სალუდო ზეიმი გამართეს თავიანთი დიადი კაპიტნის, შეინ ვორნის თამადობით.

REUTERS ბომბეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge